# საერთო გაზეთი

№27 (760)
ოთხშაბათი
31 ივლისი,
2024 წ.
ფასი 1.50 ლ.

## „ჩვენ არ გვჭირდება პრორუსული საქართველო!"



**ომის პარტიის მიზნების განხორციელებაში ბიძინა ივანიშვილი ბარიერს წარმოადგენს**

**სერიოზული ტერორისტული აქტები „დიდი კატაკლიზმების" მომასწავებელია**

**ანაკლიის პორტის აშენება გლობალური ინტერესების კვეთაზეა**

**მხატვრული პრეზერვატივების წარმოება, ანუ ანანიას „ბიზნეს-ჰობი"**

**კოზმანისა და დამიანეს სალოცავიდან „დევის ხვრელამდე"...**

## ჯო ბაიდენი: მსურს, ესტაფეტა ახალ თაობას გადავცე



## „ანტიფა" და სათნო ჯო

## ოპოზიცია მალე რუსეთის მომხრეთა მოწინავე რიგში ჩადგება

# ირაკლი კობახიძე: „ქართული ოცნების“ არჩევა არის აუცილებელი პირობა იმისთვის, რომ ქვეყანამ განაგრძოს წინსვლა ევროინტეგრაციის გზაზე

ერთი მესიჯი, რის გატანასაც ცდილობენ კოლექტიური „ნაცმოძრაობა“ და მათი მფარველები, არის ის, რომ თუ „ნაცმოძრაობა“ არ დაბრუნდება ხელისუფლებაში, მაშინ არ იქნება ევროინტეგრაცია. მინდა, გარანტია მივცე ყველას, რომ თეორიულად რომ დავუშვათ „ნაცმოძრაობის“ დაბრუნება, საერთოდ უკან მოგვრჩება ევროინტეგრაციაც და ყველაფერიც, - ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი კობახიძემ გადაცემა “იმედი LIVE”-ში განაცხადა.

მთავრობის მეთაურის თქმით, „ქართული ოცნების“ არჩევა არის აუცილებელი პირობა იმისათვის, რომ ქვეყანამ განაგრძოს წინსვლა ყველა მიმართულებით, მათ შორის ევროინტეგრაციის გზაზე.

„თეორიულად რომ დავუშვათ „ნაცმოძრაობის“ დაბრუნება, საერთოდ უკან მოგვრჩება ევროინტეგრაციაც და ყველაფერიც. გარანტიას ვიძლევი იმისა, რომ თუ ასეთი თეორიული სცენარი შეიძლება წარმოვიდგინოთ, ერთი კვირა არ დასჭირდებათ იმისთვის, რომ აქ გახსნან მეორე ფრონტი. პიარულადაც კი არ შეფუთავენ ამ ყველაფერს. პირდაპირ შეუდგებიან საქმეს. აქედან გამომდინარე, „ქართული ოცნების“ არჩევა არის პირიქით, აუცილებელი პირობა იმისათვის, რომ ქვეყანამ განაგრძოს წინსვლა ყველა მიმართულებით, მათ შორის ევროინტეგრაციის გზაზე“, - აღნიშნა პრემიერ-მინისტრმა.

●

სალომე ზურაბიშვილი კოლექტიური „ნაცმოძრაობის“ არათუ ნაწილია, ის არის ამ კოლექტიური „ნაცმოძრაობის“ ერთი ჩვეულებრივი თოჯინა, პატარა, მარტივი მარიონეტია, მეტი როლი მას არ აქვს, - ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა, ირაკლი კობახიძემ გადაცემა „იმედი LIVE“-ში განაცხადა.

როგორც მთავრობის მეთაურმა აღნიშნა, სალომე ზურაბიშვილს რასაც ჩასძახებენ, იმას ამოსძახებს.

„მეტი რესურსიც არ აქვს სალომე ზურაბიშვილს, რასაც ეტყვიან, პირდაპირ იმას გაიმეორებს. ის დიდი ხანია, აღარ არის ამ ქვეყნის პრეზიდენტი. დიდი ხანია, არის „ნაცმოძრაობის“ პრეზიდენტი. მას შემდეგ, რაც ის თანამდებობაზე დატოვა „ნაცმოძრობამ“, მიუხედავად კონსტიტუციის აღიარებული დარღვევისა, შესაბამისად, ის ჩვეულებრივი მარიონეტივით იმოქმედებს, თუმცა სალომე ზურაბიშვილი ვინ არის და რა არის, საზოგადოებამ ძალიან კარგად გაიგო, აქედან გამომდინარე, მის არც ერთ განცხადებას არავითარი ფასი არ ექნება“, - განაცხადა ირაკლი კობახიძემ.

●

„სტანდარტული პრაქტიკაა, რომ იღებენ ხოლმე ადგილობრივი ენჯეოების დასკვნებს და პირდაპირ ხდება ამ დასკვნების დაკოპირება. ენჯეოები დასკვნებში იმეორებენ მუდმივად ერთსა და იმავე სიტყვას - ეს არის სავარაუდო, ვერსად ვერ წერენ, რომ ეს არის მოსყიდვა, ადმინისტრაციული რესურსის გამოყენება, დაშინება და ა. შ. ყველგან წერია, რომ არის სავარაუდო მოსყიდვა, სავარაუდო გამოყენება, სავარაუდო დაშინება და ა. შ. მერე ეს გადადის ხოლმე ზოგადი ჩანაწერების სახით სხვა დასკვნებში და ეს არის სტანდარტული პრაქტიკა. მე კიდევ ერთხელ მინდა, შეგახსენოთ, რომ ბევრი რამ შეიცვალა იმისათვის, რომ თუნდაც სპეკულაციები გამოირიცხოს არჩევნების შემდეგ, მათ შორის არჩევნების დღისთვის რადიკალურად გარდაიქმნა პროცედურები, შემოღებული იქნა ელექტრონული ხმის მიცემის რეგისტრაციის დათვლის წესი, რაც სპეკულაციებისგან მაქსიმალურად იცავს საარჩევნო პროცესს. ასეთ პირობებში პივიტის გაყალბებას აზრი ეკარგება, სხვა ზედმეტობებთან დაკავშირებით ყალბ ინფორმაციას ველარ დადებენ, არჩევნების შედეგები როდის გამოქვეყნდა ამაზე ვერაფერს იტყვიან და ა.შ. მიუხედავად იმისა, რომ სიყალბე იყო, მაინც გარკვეული როლი შეასრულა ამ სიყალბემ 2020 წელს, როდესაც სამი ყალბი ინფორმაცია გაავრცელეს, ახლა ასეთი სპეკულაციებისთვისაც კი არ რჩებათ რეალურად სივრცე. ასეთ პირობებში ყველაფერი შეიძლება, სცადონ, მაგრამ საზოგადოება დაინახავს, რომ არავითარი საფუძველი არ ექნება არც ერთ სპეკულაციას“, - განაცხადა ირაკლი კობახიძემ.




●

„ანაკლიის საქმე თავისი შინაარსით იყო ძალიან მარტივი, იქიდან გამომდინარე, რომ სახელმწიფომ ყველა პირობა შეუქმნა ხაზარაძე-ჯაფარიძის კონსორციუმს იმისთვის, რომ მოეზიდათ ინვესტორები და განეხორციელებინათ ეს ძალიან მნიშვნელოვანი პროექტი...

შეგახსენებთ, კონსტიტუციაშიც კი შევიტანეთ ჩანაწერი ანაკლიასთან დაკავშირებით სწორედ იმის გამო, რომ კონსორციუმს გაადვილებოდა ინვესტორების მოზიდვა. სახელმწიფომ რამდენჯერმე, არაერთგზის გადაუვადა ვალდებულების შესრულება. სიმართლე დაადგინა საერთაშორისო არბიტრაჟმა, სადაც თავიდან ბოლომდე გამტყუნდა, რა თქმა უნდა, ხაზარაძე-ჯაფარიძის მხარე იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ მათ ჩააგდეს პროექტი, ვერ მოახერხეს ინვესტორების მოზიდვა. შეგახსენებთ, ინვესტორებს ეძებდნენ ყველგან, როგორც დასავლეთში, ისე აღმოსავლეთში, ასევე ჩრდილოეთში, თუმცა ვერსად მოახერხეს ინვესტორის მოზიდვა. აქედან გამომდინარე, რეალურად მათი ბრალია ამ საქმის წაგება და სახელმწიფო ამ საქმეში აბსოლუტურად პირნათელია. რაც მთავარია, ჩვენ ვიყურებით წინ და ჩვენი ერთ-ერთი უმთავრესი ამოცანაა ანაკლიის პორტის მშენებლობა. ამისთვის უკვე შეჯერებულია შეთანხმება ჩინურ კომპანიასთან. უკვე შერჩეულია შესაბამისი კომპანია და ძალიან მალე დაიწყება, უშუალოდ, სამშენებლო სამუშაოები. ყველაფერი გაკეთდება იმისთვის, რომ ხაზარაძე-ჯაფარიძის მიერ ჩაგდებული პროექტი რეალურად განხორციელდეს. გარდა ამისა, სახელმწიფოს ინტერესები იქნება მაქსიმალურად დაცული ანაკლიის პორტის მშენებლობის დროს. მათ შორის, ხაზი უნდა გაესვას იმას, რომ სახელმწიფო იტოვებს წილის 51%-ს. ეს ნიშნავს იმას, რომ სტრატეგიული კუთხით ჩვენი ინტერესები ბოლომდე იქნება გათვალისწინებული, რაც ვერ გააკეთეს ხაზარაძე-ჯაფარიძემ, იმას აუცილებლად გააკეთებს ქართული სახელმწიფო“, - განაცხადა პრემიერ-მინისტრმა.

●

მთავრობის მეთაურის თქმით, ზოგადად, „ნაცმოძრაობის“ წარმომადგენლებმა არაერთხელ უჩივლეს საქართველოს და არაერთი საქმე წარიმართა სხვადასხვა საერთაშორისო ინსტანციაში საქართველოს წინააღმდეგ „ნაცმოძრაობის“ ინიცირებით.

„ძირითადად ეს უკავშირდება სტრასბურგის სასამართლოს. იყო საქმე, მაგალითად მაშინდელი „რუსთავი-2 საქართველოს წინააღმდეგ“, „საakaშვილი საქართველოს წინააღმდეგ“, „უგულავა საქართველოს წინააღმდეგ“ და ა. შ. ყველა შემთხვევაში გამარჯვებული დარჩა საქართველო. ამ შემთხვევაშიც იყო საქმე, რომელიც წარმოებდა საერთაშორისო არბიტრაჟში, ეს იყო საქმე - „ხაზარაძე-ჯაფარიძე საქართველოს წინააღმდეგ“ და ამ შემთხვევაშიც საქართველო გამოვიდა გამარჯვებული ერთი მარტივი მიზეზის გამო - სახელმწიფო ყოველთვის იცავს წესებს, როდესაც მოქმედებს. ეს პრაქტიკა დაინერგა საქართველოში 2012 წლის შემდეგ და სწორედ ამის გამოა, რომ ყველა საერთაშორისო სასამართლო ინსტანციაში, მათ შორის არბიტრაჟში, საქმეებს იგებს ხოლმე სახელმწიფო, სადაც წარმოებს დავა „ნაცმოძრაობის“ წარმომადგენლებსა და საქართველოს წარმომადგენლებს შორის. ხაზარაძე-ჯაფარიძეც არიან ამ კოლექტიური პოლიტიკური ძალის წარმომადგენლები, მათაც სცადეს საერთაშორისო არბიტრაჟის გამოყენება ქართული სახელმწიფოს წინააღმდეგ, თუმცა ამ შემთხვევაშიც გაიმარჯვა სიმართლემ და სახელმწიფომ, რომელიც მოქმედებს სამართლიანი წესების შესაბამისად ყველა შემთხვევაში“, - აღნიშნა პრემიერმა.



# „ანტიფა“ და სათნო ჯო

პრეზიდენტ ბაიდენის ჯანმრთელობის ამბისა ხომ არაფერი იცით, გაუარა კოვიდმა თუ უფრო გაუმძაფრდა?

კულტურულად, ამ კაცს მე „ხანკუი ხანცუი“ შევარქვი და ეს მხოლოდ კუი ყოფილა, ერთი ჩვეულებრივი კუანა ჯო. საიდან მოიგონა კოვიდი — ისედაც მოჩვენებებს ართმევს ხელს და ბარემ ჯილა გამოთაყვანებულის როლი ეთამაშა ბოლომდე, ხან მართლა გამოშტერდებოდა, ხან ითამაშებდა და იქნებოდა ასე, ტიკინასავით.

სანამ ტრამპს ესროდა „ჩვენი ანტიფას ბიჭი“, მანამდე რომ გამოეცხადებინა, კოვიდი მაქვსო




და ტრამპის მკვლელობის მცდელობის კვალს მისი სახელის სიახლოვეს ჩაევლო, მაშინ არავინ დაიჯერებდა, რომ ამ საქმეში ჯო უბრალო იყო, კოვიდს ებრძოდა გათანგული და ახლა მითუმეტეს. კაცმა რომ თქვას, ჯო ვის დაჰკარგვია, ტრამპს რომ შეხვდეს, რაღაც მომენტში, შეიძლება, კლინტ ისტვუდი ეგონოს, მაგრამ პრეზიდენტი ის არის და მისი სახელის გარშემო ტრიალებს სხვების ნამოქმედარის განხილვა.

ამერიკელი ექსპერტები ამბობდნენ, ჯო ბაიდენს ყალბი დიაგნოზი იმიტომ დასჭირდა, რომ „ეროვნული უსაფრთხოების სააგენტომ“ (ენ-სი-აი) ისეთი მტკიცებულება მოიპოვა, რომელიც ბაიდენის გარემოცვას ტრამპის მკვლელობის მცდელობასთან აკავშირებსო.

დედას ვფიცავარ თუ არ მეცოდებოდეს ოდესღაც ძალზე სიმპათიური ჯო, რატომ გახადეს პლანეტა დედამიწის დასაცინი? საბრალო მოხუცი რომელი მკვლელობის დამგეგმავია, რომ მიუშვან, ჰარი ჰუდინის სულს გააოცებს, ისე დაფარფატებს, კედლიდან უპრობლემოდ გავა პარალელურ სამყაროში. რაც შეეხება მის გარემოცვას, სხვას თუ ვერაფერს გახდნენ, ისე კოხტად გამოაწყობენ საქმეს, ბაიდენის გამოთაყვანებას აჰკიდებენ დონალ ტრამპის მკვლელობის მცდელობის მთელ ტვირთს.

ამ „ანტიფას“ იდეური რიკინისაც ვერაფერი გავიგე, რა უნდათ? თუ ფაშიზმის წინააღმდეგ იბრძვიან, მე მიასწავლო სად მძვინვარებს ფაშიზმი? რანაირი ანტიფაშისტური გაერთიანებაა?

ტერმინი „ანტიფაშისტური მოძრაობა“ იტალიაში დაიბადა და გერმანიაში აიდგა ფეხი. ვაიმარის რესპუბლიკაში მოქმედი კომუნისტური პარტიის გასამხედროებული ორგანიზაციის „წითელ ფრონტელთა კავშირის“ წევრები საკუთარ თავს ანტიფაშისტიშე აკტიონ-ს უწოდებდნენ. ძირითადად, ამ ორგანიზაციაში წევრიანდებოდნენ გერმანიის კომუნისტური, მოგვიანებით კი სოციალისტურ-დემოკრატიული პარტიის წევრები. ხელისუფლების სათავეში ნაციონალ-სოციალისტების მოსვლის შემდეგ ამ ჯგუფების განადგურება დაიწყო — ბევრი დახვრიტეს, ბევრი საკონცენტრაციო ბანაკებში გამოამწყვდიეს. დახვრიტეს გერმანელი კომუნისტებისა და ანტიფაშისტური მოძრაობის ლიდერი ერნსტ ტელმანი.

ბულგარელი კომუნისტების ლიდერი გიორგი დიმიტროვიც „ანტიფას“ წევრი იყო, მაგრამ ჯერ მხოლოდ 1934 წელი იდგა და ვერ დახვრიტეს, საბჭოთა კავშირში გამოუშვეს. მისი სახელობის იყო თბილისის №31-ე საავიაციო ქარხანა.

საბჭოთა კავშირი ხომ იმთავითვე დიდი გველაძუა იყო, „ანტიფას“ მხარს უჭერდა ყველანაირად, ფარულადაც და ღიადაც, „ანტიფას“ მებრძოლებს პოლიტიკურ თავშესაფარს აძლევდნენ, პარალელურად კი ნაცისტურ გერმანიასთან ხელი მოაწერეს „მოლოტოვ-რიბენტროპის პაქტს“ ცენტრალური ევროპის დაყოფაზე.

სხვათაშორის, სიმღერები „ბანდერა როსა“ და „ბელა ჩაო“ „ანტიფას“ ჰიმნებად იქცა. „ბელა ჩაოს“ რა დამავიწყებს, ქართველმა ფაშისტებმა რა გვიქნეს ამ სიმღერის ფონზე...

ნიურნბერგში, საერთაშორისო ტრიბუნალმა გაასამართლა და დაგმო ფაშიზმი. თითქოს ამოიძირკვა, მაგრამ ნურას უკაცრავად! ძალიან მალე ისევ დაიწყო ნაცისტური, ფაშისტური და რადიკალური ნაციონალისტური იდეების გავრცელება.

ერთი ძველი ანეკდოტი გამახსენდა. ტიპია და ლენინს ბაძავს, მისნაირად შეკრეჭილი წვერ-ულვაშით დადის. მილიციამ დაიჭირა და უბრძანეს, გაიპარსეო. ტიპმა მორჩილად უთხრა: უფროსო, წვერს კი გავიპარსავ, მაგრამ იდეებს რა ვუყოო?

ასეა, იდეები არ ექვემდებარება გაპარსვას, მაგრამ ტრამპი რა შუაში იყო, „ანტიფას“ სამიზნე რატომ გახდაო, გეაჯებით, არ იკითხოთ. ყველაფერი გადაგვარდა და „ანტიფა“ არ გადაგვარდებოდა?

თანამედროვე „ანტიფა“ არაერთგვაროვანია. შესაძლოა, სხვადასხვა პიროვნებებს ან ჯგუფებს განსხვავებული საბოლოო მიზნები ჰქონდეთ. დღეს „ანტიფა“ აერთიანებს ყველა იმ პირს ან ჯგუფს, რომლებიც თავიანთი შეხედულებისამებრ განსაზღვრავენ რა არის რასიზმი, ჰომოფობია, ანტისემიტიზმი და ა.შ. მოკლედ რომ ვთქვათ, ებრძვიან თავიანთი გაგებით ყველაფერს, რასაც დისკრიმინაციად ჩათვლიან.

ერთგვარად საოხუნჯოა მათი ლოგოტიპი, რომელიც 20-იან წლებში შეიქმნა „როტ ფრონტისთვის“ და მისი მოდიფიცირებული ვერსია დღესაც გამოიყენება. ეს არის წითელი და შავი დროშები, როგორც მარქსისტებისა და ანარქისტების ერთობლივი ბრძოლის სიმბოლო.



მივედით აშშ-ის პრეზიდენტობის კანდიდატ დონალდ ტრამპამდე.

გარდა იმისა, რომ დონალდ ტრამპის წინასწარ გამოცხადებული როგორც საშინაო, ისე საგარეო პოლიტიკა მთელი რიგი საკითხებისადმი სასტიკად ეწინააღმდეგება აშშ-ის მცირე მაგრამ ძლიერი ელიტარული ფენის ინტერესებს, მას ნათქვამი აქვს, რომ მოძრაობა „ანტიფას“ ტერორისტულ ორგანიზაციად გამოაცხადებს, წინა საპრეზიდენტო ვადის დროს ვერ მოასწრო გახმოვანებული განზრახვის სისრულეში მოყვანა.

„ენ-სი-აი-მ“ თავისი გამოძიების მონაცემები კონგრესის თავდაცვისა და უსაფრთხოების კომიტეტის ხელმძღვანელობას გაუგზავნა, რასაც სასწრაფოდ მოჰყვა კონგრესის დამოუკიდებელი საგამოძიებო კომისიის შექმნა, რის შესახებაც კონგრესის სპიკერმა მაიკ ჯონსონმა გვამცნო. როგორც ჩანს, „ენ-სი-აი-ს“ ანგარიშში იყო რაღაც, იმდენად მნიშვნელოვანი, რომ კონგრესს ნდობა შეერყა იმ საიდუმლო სამსახურის მიმართ, რომელიც უზრუნველჰყოფდა ტრამპის უსაფრთხოებას. სხვათაშორის, როდესაც უწყინარი შეკითხვა დავსვი, რანაირად ეგონათ თავდამსხმელი თავისიანიო, ამიხსნეს, რომ შიდა პერიმეტრის დაცვამ არ იცის გარე პერიმეტრის დაცვის ჩასაჯდომი ადგილების შესახებ და ვერც ერთმანეთს ცნობენო. ამდენი არ ვიცი, მაგრამ ასეთ მანძილზე და „იქ“ რომ არ უნდა ყოფილიყო ერთით მეტი დაცვა, ცხადზე უცხადესია, მითუფრო, რომ ხალხმა შენიშნა შემდგომ უკვე მსროლელი, დაცვის უფროსმა კი ვერ შენიშნა რომ უსაფრთხოების სამსახურმა ერთით „იბარტყა“.

ენ-სი-აი-ს აქვს ნებისმიერი ტელეფონის მოსმენის შესაძლებლობა. ტექნიკური შესაძლებლობიდან გამომდინარე, მას შეუძლია მოუსმინოს ნებისმიერ აბონენტს მსოფლიოს მასშტაბით, მათ შორის ევროპელი პოლიტიკოსებისა და სხვა ოფიციალური პირების საუბრებს საიდუმლო სამსახურების ჩათვლით. ენ-სი-აი-ს დირექტორი პოლ ნაკასონე ამავდროულად არის კიბერნეტიკული სარდლობის ხელმძღვანელი.

მას შემდეგ, რაც დაიყოლიეს ჯიუტი მოხუც ჯო, რომ უარი თქვას საარჩევნო კამპანიაზე, სრულებით ჩამოშორდეს პოლიტიკურ ცხოვრებას და თავისთვის იბანცალოს საკუთარ ეზო-ყურეში, კოვიდით მის დასნეულებზე საუბარი შეწყდა.

საკუთარი გარემოცვის სათამაშო ტიკინად ქცეული საბრალო მოხუცი, ტრამპთან დებატების დროს უცბად ისე გაშტერდა, არ იყო გამორიცხული, ისევ აბნეულიყო სიტყვაში გამოსვლის დროს, მაგრამ გაქაჩა. ყველა შემთხვევაში, რადგან ეთაკილებოდა და არ სურდა რომ მისი მეხსიერების დაქვეითება სალაპარაკო გამხდარიყო, იმდენი „გაუხერხეს“, რომ თავი მოაბა სიტყვაში გამოსვლას, საპრეზიდენტო მარათონს ვეთიშები, მაგრამ ამ ნაბიჯს მხოლოდ პარტიისა და აშშ-ის საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით ვდგამო.

„რატომ დანებდა ჯო?“ ამ სათაურით სტატია „პოლიტიკომ“ გამოაქვეყნა. გამოცემა ხუთ ანონიმურ წყაროზე დაყრდნობით წერს, ბაიდენს კანონმდებლებმა პირადად მიაწოდეს მისი პოლიტიკური კარიერის პოტენციური აღსასრულის შესახებ ახალი ინფორმაცია. ბაიდენს ასევე განუმარტეს, რომ მის საარჩევნო კამპანიაში დონორებისგან შემოწირულობებმა საგრძნობლად იკლო. სწორედ ამ ინფორმაციების გამო გადადგა ბაიდენმა საბოლოო ნაბიჯიო.

დონალდ ტრამპს რომ ჰკითხო, ჯო ბაიდნის გამოსვლა ოვალურ კაბინეტში, ძლივს გასაგები და ძალიან ცუდი იყო — არავინ ჩაეძია, რა იყო ცუდი და რა გაიგო გარდა იმისა, რომ კამალა ჰარისს გადაულოცა ესტაფეტა. ეს ის ჰარისია, აშშ-ში რომ დასცინიან, ნიუ-იორკელი ჰოთ-დოგის გამყიდველები უკეთ ერკვევიან აშშ-ა და მსოფლიო საკითხებში, ვიდრე კამალა ჰარისიო.

რაგინდ გაჯიუტებულიყო გამობენტერებული ჯო, რამეს მოუხერხებდნენ, მაგის მეტი რა იციან, არ ესწავლებათ, მაგრამ მომხდარი რომ მთელი „დემოკრატიული პარტიის“ კრახს ნიშნავს, ამას რითი უწამლებენ? მთელმა აშშ-მა კი არა, მთელმა მსოფლიომ ნახა ტრამპზე თავდასხმის კადრები და გაიგონა ტყვიების წკაპუნი.

ეფ-ბი-აი-ს დირექტორი დონალდ ტრამპის მკვლელობის მცდელობასთან დაკავშირებით აშშ-ის სასამართლო კომიტეტის მოსმენაზე იმყოფებოდა. კრისტოფერ ურეის თქმით, მისი სამსახური დეტალურად გამოიძიებს საკითხს, რატომ ვერ შეაჩერეს სროლა. მან უპასუხა კითხვებს და აღნიშნა, რომ 20 წლის ტომას კრუკსი ინტერნეტში ეძებდა ინფორმაციას იმის შესახებ, თუ რა მანძილზე იმყოფებოდა ჯონ კენედის მკვლელი მსხვერპლისგან. მისი თქმით, მრავალი უპასუხო კითხვაა და თავდასხმის მოტივიც გაურკვეველია. ის, რომ ადამიანები კრუკსს მარტოსულად მოიხსენიებენ, ეს მოყირჭებული ცნობილი სიმღერაა პრეზიდენტების მკვლელობის ან მკვლელობის მცდელობების შემთხვევაში...

ბევრად საინტერესო იყო საიდუმლო სამსახურის დირექტორის, კიმბერლი ჩითლის „სიმღერა“. მან საიდუმლო სამსახურის ბოლო ათწლეულის ყველაზე მნიშვნელოვანი ოპერატიული წარუმატებლობა უწოდა მომხდარს და 1981 წელს პრეზიდენტ რონალდ რეიგანის მკვლელობის მცდელობას შეადარა.

ბაიდენისა არ იყოს, მასაც შეუძახეს, კონგრესს ნდობა აღარ აქვს, გადადექიო, მაგრამ გაჯიქდა, ის საუკეთესო ხელმძღვანელი ვარ, ვისაც დღესდღეისობით საიდუმლო სამსახურის გაძღოლა შეუძლიაო.

ღმერთო, ამ იანკების გამო ნუ გადამრევ!

დონალდ ტრამპმა „ფოქს ნიუსთან“ განაცხადა, რომ ჩითლიმ პირადად მოინახულა და განუმარტა, რომ შენობის სახურავი, საიდანაც მას ესროლეს, დაცული უნდა ყოფილიყო, თუმცა, უსაფრთხოების კუთხით განცდილი კრახის ერთ-ერთი მიზეზი ადამიანური რესურსის ნაკლებობა იყო. ერიჰაააა, აბა, ამათა ჰყოლიათ ზემო უბანში წყვილ-წყვილად...

ჯერ გამოძიება და ფაქტების

7 გვ. →



# ომის პარტიის მიზნების განხორციელებაში ივანიშვილი ბარიერს წარმოადგენს



*გვესაუბრება ანალიტიკოსი, ისტორიკოსი სოსო მანჯავიძე:*

**— ბატონო სოსო, ბიძინა ივანიშვილის მიმართ ტერორისტული აქტის მოწყობისა და სახელმწიფო გადატრიალების მცდელობის შესახებ, სუსმა გამოძიება დაიწყო. ამასთანავე, ახლახან, ტრამპის მოკვლაც სცადეს. რა კავშირია ამ ორ მოვლენას შორის და ზოგადად, რა დასკვნები შეიძლება გამოვიტანოთ ამ ყველაფრიდან?**

— ამერიკის ხელისუფლება ღიად აჟღერებს, რომ არ აპირებს, საქართველოში არჩევნების შედეგები სცნოს, თუ გამარჯვება ოპოზიციას არ დარჩება. ნათელია, აშშ-ს მიზნების განხორციელებაში, ივანიშვილი ბარიერს წარმოადგენს. ამიტომ მისი გზიდან ჩამოცილება მათთვის ხელსაყრელია. ამაში გასაკვირი არაფერია. მით უმეტეს, თუ ბოლოდროინდელ მოვლენებს გავითვალისწინებთ, ვგულისხმობ, სლოვაკეთის პრემიერ ფიცოს და აშშ-ს პრეზიდენტობის კანდიდატ დონალდ ტრამპზე განხორციელებულ მკვლელობის მცდელობას, ორბანზე თავდასხმას, თვითმფრინავის ჩამოვარდნას, რომელშიც ირანის პრეზიდენტი და საგარეო საქმეთა მინისტრი იმყოფებოდნენ, რაც უბედურ შემთხვევად არ მიმაჩნია. ახლა კი ვიგებთ, რომ ტერორისტული აქტი, ბიძინა ივანიშვილის გასანადგურებლადაც იგეგმებოდა. ასეთი ფაქტები უამრავია, რაც საზოგადოების ყურადღების ცენტრში ვერ ხვდება. არასასურველი პოლიტიკური ფიგურების ჩამოცილება, მკვლელობა სხვადასხვა მეთოდებით ხდება. ისინი ხშირად ისე იღუპებიან, რომ მათი გარდაცვალების ნამდვილი მიზეზები არც კი ხმაურდება.

რა თქმა უნდა, ტრამპსა და ივანიშვილზე დაგეგმილ ტერორისტულ აქტზე კავშირი შესაძლებელია. მაგალითად, ივანიშვილისა და ტრამპის მიერ უკრაინის ომთან დაკავშირებით გამოთქმული მოსაზრებები ერთმანეთს ემთხვევა. ამასთანავე, ივანიშვილი ამერიკული ომის პარტიისთვის არასასურველი ფიგურაა, რადგან მან საქართველოს ომში ჩართვაზე უარი განაცხადა. ტრამპსაც მიაჩნია, რომ ომი დაუყოვნებლივ უნდა დასრულდეს. მის ესკალაციას გაუმართებლად მიიჩნევს. გავიხსენოთ მისი ბოლო ინტერვიუ, სადაც ზელენსკისთან საუბრის დეტალები გააზმოვანა. ამ კუთხით, ივანიშვილიც იგივეს ფიქრობს.

**— სუსის ინფორმაციით, ტერორისტული აქტის მოწყობის მცდელობის კვალი უკრაინაში მყოფი „ნაცმოძრაობის“ მაღალჩინოსნებისკენ მიდის.**

— კი ბატონო, საკუთარი თვალით გვაქვს ნანახი ვიდეოები, თუ როგორ გვემუქრებოდნენ უკრაინაში მყოფი მებრძოლები. ქართველი ნაცი მაღალჩინოსნები უკრაინის ძალოვან სტრუქტურებში არიან დასაქმებულნი. ამასთანავე, უკრაინის ხელისუფლება საქართველოს მიმართ მტრულ დამოკიდებულებას არ მალავს. ზელენსკიმ განაცხადა: მივესალმები ქართველ ხალხს და არა მის ხელისუფლებასო. უკრაინის ხელისუფლება ამერიკის ბნელი ძალების ინტერესებს ატარებს, რომლებიც უკრაინაში ომის შეწყვეტის წინააღმდეგნი არიან. ბუნებრივია, რომ ისინი საქართველოს ხელისუფლებას მტრად მიიჩნევენ. უკრაინაში მიდის პროპაგანდა, თითქოს, ქართველი ხალხი მათ მხარესაა, ხელისუფლება კი პრო-რუსულია, რადგან უკრაინასთან ერთად რუსეთის წინააღმდეგ ომში არ ჩაერთო. ქართველ ხალხში გულისხმობენ ოპოზიციას, ნჯო-ებს, ზოგადად, ლიბერალებს, ანუ, მათ ვინც იძახდა: არა რუსულ კანონს! დანარჩენ ხალხს ვერ გვხედავენ. შესაბამისად, ოპოზიციის ხელისუფლებაში მოსვლის შემთხვევაში, ვინც არა რუსულ კანონს არ გაჰყვიროდა, მათ ან ციხეებში გაამწესებენ, ან დახოცავენ, ან ქვეყნიდან გააძევებენ, როგორც ეს უკრაინაში მოხდა.



სამწუხაროდ, მათი სამი დიდი და ხუთი პატარა ტელევიზია, სააგენტოები, ბეჭდვითი მედია, განათლების სისტემა, მთლიანად ამ პროპაგანდის ინსტრუმენტებად არის გამოყენებული. ხელისუფლება კი ამ პროცესს ხელს უწყობს, იგივე, განათლების სისტემის კუთხით, რისი მწვავე შედეგიც ქუჩაში გამოსული სტუდენტების სახით ვიხილეთ, რომელთაც სწავლის ნაცვლად რევოლუციურ იდეებს უნერგავდნენ და შედეგად, ქვეყანა ლამის თავზე დაგვაქციეს. ეს გამოცხადებული მკვლელობის ქრონიკას მაგონებს. ყველამ ვიცით, რომ არჩევნების მერე ხელისუფლება იტყვის, მოვიგეთო, მაგრამ იგივეს იტყვის ოპოზიციაც. მერე ეუთო -ოდირი, აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტი გამოაცხადებენ, რომ „ქართულმა ოცნებამ“ ქართველ ხალხს არჩევნები მოპარა და საპროტესტო გამოსვლები დაიწყება. ოპოზიციური პროქსი ძალა, ანუ აგენტურა პრეზიდენტის სასახლეში შეიკრიბება, თავს გამარჯვებულად გამოაცხადებს, კოალიციურ მთავრობას ჩამოაყალიბებს და „ლეგიტიმურ“ ხელისუფლებად მოგვევლინება. მათ მხარდაჭერას გამოუცხადებს აშშ-ც და ევროკავშირიც. ამ დროს დიდი „გადახტომის“ პროცესი დაიწყება — მთელი აგენტურა ამ ფსევდო-სახალხო მთავრობას შეუერთდება. გულხელდაკრეფილი არც ხელისუფლება იჯდება და არც ხალხი. შედეგად, სამოქალაქო დაპირისპირებას მივიღებთ. ეს სცენარი უკვე დაწერილია, რასაც იმიტომ ვაჟღერებ, რომ საზოგადოება ინფორმირებული იყოს. როცა ინფორმირებული ხარ, ე.ი. შეიარაღებულიც ხარ. ამ სცენარის განვითარების შემთხვევაში, შედეგი უმძიმესი იქნება.

გარდა ამისა, მოვლენების განვითარების რამდენიმე სცენარი შეგვიძლია განვიხილოთ. პირველი: ოპოზიციის გამარჯვების შემთხვევაში, აქ ახალი ნეონაცური დიქტატურა დამყარდება. ეს სომხეთთან ტანდემში მოხდება.

მეორე სცენარი ასე გამოიყურება: ამ მოვლენების განვითარების მერე, ოპოზიციაზე გამწარებული ხალხი გარეთ გამოვა და სამოქალაქო ომი დაიწყება. ამ შემთხვევაშიც ბევრი ინფრასტრუქტურული პროექტი ჩაიშლება. საქართველო დაკარგავს სატრანზიტო ქვეყნის ფუნქციას, არ აშენდება ანაკლიის პორტი, საქართველოს რეინტეგრაციის ნაცვლად, პირიქით, დეზინტეგრაციის პროცესს მივიღებთ.

მესამე სცენარი: მეზობლები — რუსეთი და თურქეთი, აქ მსგავსი პროცესების განვითარების შემთხვევაში, ერთმანეთთან მოილაპარაკებენ და საქართველოს ტერიტორიაზე კონტროლის ზონებს გადაინაწილებენ.

მეოთხე სცენარი: ამ ყველაფრის პრევენცია უნდა მოხდეს, რაც ერთადერთი ვარიანტია, რათა საკუთარ თავს თავად მივხედოთ და აგენტურის მიერ ქვეყნის დანგრევის მცდელობები აღვკვეთოთ. ხელისუფლების მხრიდან კატასტროფული შეცდომებია დაშვებული — უცხო ქვეყნების სადაზვერვო პროპაგანდას არაფერი დაუპირისპირეს, რამაც ამ შედეგებამდე მიგვიყვანა. ეს იმ შხამიანი თაიგულის ერთ-ერთი ყვავილია, რამაც ეს ცუდი შედეგები მოგვიტანა.

**— სამოქალაქო საფრთხე ახსენეთ. იგივე საფრთხეს არჩევნების მერე აშშ-საც უწინასწარმეტყველებენ. ცნობილია, რომ ბაიდენმა კანდიდატურა მოხსნა. ერთ-ერთ კანდიდატად კამალა ჰარისი განიხილება. რა მოცემულობა დგება ამ შემთხვევაში?**

— დემოკრტებმა ორკესტრირებული კამპანია დაიწყეს და ჯო აიძულეს გადამდგარიყო. ბევრი მიიჩნევს, რომ ეს სახელმწიფო გადატრიალება იყო. დიახ, ბაიდენი ხელისუფლებას იძულებით ჩამოაშორეს. კანდიდატურის მოხსნის თაობაზე დაწერილ წერილზე, ხელმოწერა მისი არ არის. ასევე, ორეული, რომელიც ბაიდენის მაგივრად გამოჩნდა, მას ზომებში არ ემთხვევა. არავინ იცის ბაიდენის ამჟამინდელი მდგომარეობა. სად არის, რა განწყობაზეა. ცოცხალია თუ არა. მსგავსი პარადაოქსული სიტუაცია არავის ახსენდება შეერთებული შტატების ისტორიაში, ამიტომაც პროცესი საინტერესო და ერთგვარად სახალისო საყურებელია.

დადგა საკითხი, ვინ უნდა ყოფილიყო მისი მემკვიდრე. ასეთად ვიცე-პრეზიდენტი კამალა ჰარისი დასახელდა, რომელიც ბაიდენზე გაცილებით უარესი ფიგურაა. იგი შეუფერებელია ამჟამინდელი თანამდებობისთვისაც და მით უფრო, პრეზიდენტობისთვის. მისი ინტელექტის უმწიფრობა კრიტიკას ვერ უძლებს. კამალა მარქსისტების ოჯახში დაიბადა. იგი უაღრესად რადიკალი მარქსისტი, მემარცხენეა. წინა არჩევნებზე სიგიჟეებს აფრქვევდა და შედეგად, 3 % მიიღო. ბაიდენს ლანძღავდა — რასისტს და რას აღარ ეძახდა. როცა ბაიდენი დილემის წინაშე დადგა, რომ მას უნდა მოემხრო შავკანიანები, უმცირესობები, ყოფილი ემიგრანტები, ქალები- მან სწორედ კამალა ჰარისი აირჩია.

ზოგადად, აშშ-ში გასაოცარი ვითარებაა. ე.წ. დემოკრატიულ შტატებში, ჯოხი რომ დადო, ან გიჟი დააყენო მაინც ის გაიმარჯვებს. ე.წ. რესპუბლიკურ შტატებში, საზამთრო რომ იყოს რესპუბლიკელების კანდიდატი, ხმას მაინც მას მისცემენ. სულ 6-7 შტატია ასეთი მერყევი, სადაც ხან ერთი იმარჯვებს, ხან — მეორე. ფაქტობრივად, არჩევნების ბედი ამ შტატებზეა დამოკიდებული. რა კავშირი აქვს ამ ყველაფერს დემოკრატიასთან?! ეს სისტემა სრულ აბსურდში შევიდა. დემოკრატებმა ფსონი კამალა ჰარისზე დადეს — 100 მილიონი დოლარი შეაგროვეს და მისი რეკლამირება დაიწყეს. რესპუბლიკელებმა გადაიღეს მეტად სასაცილო კლიპი კამალას მონაწილეობით. კლიპი ჰარისის საოცარი აბსურდული გამონათქვამების ნაკრებია, კლიპში ხშირად ისმის მისი ლეგენდარული ხარხარი, რასაც მაშინ მიმართავს, როცა კითხვებზე პასუხს ვერ სცემს. ჰარისი ძალიან საშიში ფიგურაა. მის ხელში ატომური იარაღი რომ წარმოვიდგინოთ, გაფიქრებაც არ მინდა რა შედეგს მივიღებთ. საყურადღებოა ისიც, რომ ამერიკის მოაზროვნე ნაწილისთვის, ჰარისი აბსოლუტურად მიუღებელია. ამერიკელები არც ნარცისული გამოხტომებით ცნობილი, ეგოცენტრული ტრამპით არიან მოხიბლულნი. ერთი მხრივ ჰარისი და მერე მხრივ ტრამპი, ამერიკისთვის იდეალური არჩევანი ნამდვილად არ არის. მაგრამ განათლებულ ამერიკელებს, კამალა განსაკუთრებით აღიზიანებთ. ასე რომ, არიან ტრამპისტები და მეორე მხრივ, რადიკალი დემოკრატები, მათ აქვთ სამყაროს სრულიად განსხვავებული ხედვა, არცერთი მხარე მეორის გამარჯვებას არ სცნობს და არ შეეგუება, რამაც შეიძლება შტატებში უმძიმესი სამოქალაქო დაპირისპირება გამოიწვიოს, რადგან სახეზეა ღირებულებითი შეუთავსებლობა. წარმოიდგინეთ, ამერიკელების გრძნობები, რომლებიც ოჯახის ერთგულნი, მშრომელნი, წესიერი, მორწმუნე ადამიანები არიან და ხედავენ ჰარისს, რომელიც ცეკვისას უხამს მოძრაობებს აკეთებს. იგი ამერიკელებისთვის შეუფერებელი კულტრული მოვლენაა. გარდა ამისა, ჰარისი მხარს უჭერს „ლგბტქ+ მოძრაობას, ისევე, როგორც მისი შეფი ბაიდენი. იგი პარადებზე ლგბტ დროშის ფრიალით არის შემჩნეული. კამალა ჰარისის მთავარი წინასაარჩევნო გზავნილები არის აბორტების თავისუფლება, ლგბტქ+ , ემიგრაცია, უმცირესობების უფლებები, კულტურული რასობრივი თეორია, კლიმატურ ცვლილებებთან ბრძოლა, რომელიც სინამდვილეში ტოტალური კონტროლის დამყარების ინსტრუმენტია, მოკლედ გლობალისტების მთელი არსენალი- ძნელი არ არის იმის წარმოდგენა, თუ რა აგრესიას იწვევს ეს ყოველივე ტრადიციონალისტებში.

აქვე, უნდა აღინიშნოს, რომ დემოკრატებს ჰყავთ თავიანთი მებრძოლი ჯგუფები. იმ შემთხვევაში, თუ დაინახავენ, რომ ტრამპი იმარჯვებს, ბრძოლისთვის მზად არიან. გავიხსენოთ, ისიც, რომ ვეტერანმა რესპუბლიკელებმა ფიცი დადეს, რომ ქვეყნის არევას არ დაუშვებენ.

**— ბაიდენის მიერ კანდიდატურის მოხსნამ, მისი გადადგომის მოლოდინი გააჩინა. ასე, ჰარისს, როგორც მოქმედ პრეზიდენტს გამარჯვების მეტი შანსი ხომ არ უჩნდება? ბოლო კვლევებით, ტრამპს 2%-ით უსწრებდა.**

— ეს გამოკვლევები ენ-დი-აი-ს და აი-რაის გამოკითხვების მსგავსია. რეალურად, ჰარისი ტრამპს ვერ უსწრებს. მაგრამ ეს კვლევები აჩვენებს, თუ რა შედეგის დადება სურთ დემოკრატებს იმ მანიპულაციებით, რასაც 2020 წელს ჰქონდა ადგილი. არ მგონია, ამ ეტაპზე დემოკრატებს ბაიდენის გადადგომა აწყობდეთ, რადგან ჰარისის მიერ დარჩენილ თვეებში პრეზიდენტის პოსტის დაკავება გამოაჩენს, რომ მეფე შიშველია.

**თამარ შველიძე**

# სერიოზული ტერორისტული აქტები „დიდი კატაკლიზმების“ მომასწავებელია



*გვესაუბრება პოლიტოლგი, პროფესორი, ტერორიზმის მკვლევარი, ტერორიზმის კვლევის ცენტრის ხელმძღვანელი, სინძიანის უნივერსიტეტის ექსპერტ-კონსულტანტი ბადრი ნაჭყებია.*

**- ბატონო ბადრი, მსოფლიო, ფაქტობრივად, ტერაქტების „რეჟიმში“ ცხოვრობს. რატომ გახშირდა ბოლო დროს მსგავსი შემთხვევები, რა არის ამის მიზეზი?**

- ტერორიტულ აქტს მავანი ყველა დროში ხშირად იყენებდა ამა თუ იმ პოლიტიკური პრობლემის გადასაწყვეტად. შეგვიძლია გავიხსენოთ პერიოდი, როცა სერიოზული ტერორისტული აქტები „დიდი კატაკლიზმების“ მომასწავებელი იყო. ასეა ამჯერადაც. ავიღოთ პირველი მსოფლიო ომის წინა პერიოდი. იმ დროს, ომის დაწყებამდე ცოტა ხნით ადრე, სარაევოში განხორციელდა ტერორისტული თავდასხმა საფრანგეთის სოციალისტური პარტიის ლიდერზე, რომლის მკვლელობის შემდეგაც, ფაქტობრივად, ხელ-ფეხი გაეხსნათ რადიკალურ ძალებს იმისათვის, რომ ომისთვის მწვანე შუქი აენთოთ. ამავე დროს ტერორისტული აქტები განხორციელდა იაპონიის პრემიერ-მინისტრზე, იუგოსლავიის პრეზიდენტზე... ასე რომ, ომი და სახელმწიფო გადატრიალებები, ხშირ შემთხვევაში, ტერორისტული აქტების შემდეგ იწყებოდა.

ტერორისტული აქტი, უმეტესწილად, მიმართულია საკმაოდ სერიოზული პოლიტიკური ფიგურების მოსაშორებლად, რომლებსაც ისტორიის ამა თუ იმ ეტაპის განსაზღვრა შეუძლიათ. აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის დეფინიციით, ტერორიზმი არის წინასწარ დაგეგმილი პოლიტიკურად მოტივირებული ძალადობა მშვიდობიანი მოსახლეობს წინააღმდეგ, საზოგადოებაზე ზემოქმედების მიზნით. ტერორისტული ოპერაციის ერთ-ერთი მთავარი მიზანია პოლიტიკური, მეორე კი - რელიგიური მოტივაციაა!

**- ანუ, ტერორისტული ოპერაციით წყვეტენ პოლიტიკურ პრობლემებს გარკვეული რადიკალური ძალები, რისი მაგალითიც, ბოლო დროს დონალდ ტრამპზე განხორციელებული თავდასხმა იყო...**

-ამერიკის შეერთებული შტატების ისტორიისათვის უცხო არ არის პრეზიდენტებსა თუ პრეზიდენტობის კანდიდატებზე თავდასხმები, რომელთა ნაწილი ფატალურად დასრულდა. მკვლელის ტყვიამ იმსხვერპლა ამერიკის ოთხი პრეზიდენტი, ერთი ამდენი კი სიკვდილს გადაურჩა.

ვერ ვიტყვით, რომ ტერორისტული აქტი ამა თუ იმ პრობლემას არ „წყვეტს“. დიდი და გავლენიანი ადამიანის მკვლელობამ შეიძლება, მთლიანად ქვეყნის პოლიტიკური სტრატეგია შეცვალოს. ჩილეს 1973 წლის გადატრიალება რომ გავიხსენოთ, მანამდე გაანადგურეს პინოჩეტის მხარდამჭერი უდიდესი გენერალი რენე შნეიდერი, რის შემდეგაც გზები გაეხსნა სახელმწიფო გადატრიალებას და ამერიკის პოლიტიკის კონფიგურაციაც შეიცვალა. სომხეთის ტერაქტმა, ასევე, თითქმის მთლიანად შეცვალა პოლიტიკა სომხეთში... ამიტომ, გარკვეულწილად, ამჯერადაც მოსალოდნელი იყო, რომ მსოფლიოში ტერორისტული აქტების ქუხილი დაიწყებოდა.

დონალდ ტრამპის მკვლელობის მცდელობა იყო ყველაზე დიდი ჩავარდნა ამერიკის სპეცსამსახურების ისტორიაში. საქმე ის არის, რომ ტერორისტმა მოახერხა იარაღით შესვლა და დაჯდომა იმ ადგილას, რომელსაც ერთ-ერთი უძლიერესი სპეცსამსახური იცავდა ღონისძიებას. წესით, იქ, საიდანაც ტერორისტმა ისროლა, აშშ-ის საიდუმლო სამსახურის სნაიპერი უნდა მჯდარიყო. თანაც ეს არ იყო პისტოლეტი ან უბრალო იარაღი, ეს იყო შაშხანა. შედეგად, ადამიანი დაიღუპა და ორი კაცი დაიჭრა, დონალდ ტრამპი კი, ბედისწერის წყალობით გადარჩა, მაგრამ სპეცსამსახურები რატომ მოიქცნენ ასე უნიათოდ, ან რატომ არ უნდოდა გადადგომა ამ ფაქტის შემდეგ აშშ-ის საიდუმლო სამსახურის ხელმძღვანელს, ქალბატონ კიმბერლი ჩიტლს - ჩემთვის გაუგებარია. ხელისგულზე მოჩანდა, როგორ ესროდა 30 წამის განმავლობაში ახალგაზრდა ტერორისტი პრეზიდენტობის კანდიდატს. სპეცსამსახურები ხომ, უმეტესწილად, წინასწარი ინფორმაციის საფუძველზე მუშაობენ, რასაც მათ აგენტები ან საიდუმლო დაცვის სამსახური აწვდიან. ამ შემთხვევაში კი, არც ცენტრალურ სადაზვერვო სამსახურს და არც ფედერალურ ბიუროს არანაირი ინფორმაცია არ ჰქონდა, თავად საიდუმლო სამსახურის ხელმძღვანელს კი, 200-მეტრიანი პერიმეტრიც არ ჰქონდა მომზადებული და დაზვერილი, რაც ძალიან დიდ ეჭვებს იწვევს!

გავრცელდა ინფორმაცია, რომ ამ ყველაფრის უკან ბაიდენის გარემოცვა იდგა, თუმცა, რეალურად რა მოხდა, დრო გვიჩვენებს. შეთქმულების თეორიას რომ თავი დავანებოთ, ფაქტია, რომ მომხდარი ბევრ კითხვის ნიშანს აჩენს. რაც დღესდღეობით შეგვიძლია ვთქვათ, ის არის, რომ ტრამპზე თავდასხმა იყო სპეცსამსახურების ცუდი მუშაობის ნიმუში.

**- სუს-ში ტერორიზმისა და შეთქმულების საქმეზე გამოძიება გრძელდება. ბიძინა ივანიშვილის შესაძლო მკვლელობის მომზადების საქმეზე მთელი კვირის განმავლობაში საგამოძიებო მოქმედებები მიმდინარეობდა. დგას თუ არა რეალურად, საფრთხის წინაშე ბიძინა ივანიშვილი?**

- გადავხედოთ საქართველოს ისტორიას, გვაქვს თუ არა პოლიტიკური მკვლელობების ტრადიცია! რასაკვირველია, - გვაქვს! ზოგადად, ჩვენი რეგიონი, ასე თუ ისე, დაკავშირებულია ამ პრობლემასთან. გვახსოვს ტერორისტული აქტი სომხეთში 1999 წელს, როდესაც მთელი პარლამენტი დაცხრილეს, რასაც პრემიერ-მინისტრისა და პარლამენტის თავმჯდომარის სიცოცხლეც შეეწირა; აზერბაიჯანში ტერორისტული აქტის მცდელობა შეინიშნებოდა; აფხაზეთის ომში ჩვენ, ფაქტობრივად, კლასიკური ტერორისტული ორგანიზაცია „მთიელ ხალხთა კონფედერაცია“ გვებრძოდა, რომლის ხელმძღვანელიც შამილ ბასაევი იყო. რამდენიმე ტერორისტული აქტი განხორციელდა ედუარდ შევარდნაძეზე და ცნობილ პოლიტუკურ ფიგურებზე. გავიხსენოთ თუნდაც გია ჭანტურიას ძალიან რეზონანსული მკვლელობა, რომლის შემკვეთი დღესაც არ ვიცით, ვინ არის. საეჭვო იყო ცნობილი პოლიტიკოსისა და საზოგადო მოღვაწის, ლევან ვასაძის ბურუსით მოცული მოწამვლა და არსებობს საფუძველი იმისა, რომ ეს ფაქტი გამოკვლეული იქნას კომპეტენტური ორგანოების მიერ. გარდა ამისა, იცით, რას სჩადიოდნენ ჩრდილოეთ კავკავსიაში ჩეჩნური დაჯგუფებები.

დღეს ბიძინა ივანიშვილი არის ყველაზე გავლენიანი პიროვნება საქართველოში და სულაც არ არის გამორიცხული, რომ ჩვენი რადიკალური ლიბერალური ფრთის წარმომადგენლებს მისი მოშორება უნდოდეთ. მაგალითად, შევარდნაძის შემთხვევაში ყველა კვალი ჩრდილოეთისკენ მიდიოდა, თუმცა არ შეიძლება, რომ ხელი ყოველთვის ჩრდილოეთისკენ გავიშვიროთ. სხვადასხვა ქვეყნის, სხვადასხვა ჯგუფის ინტერესები იკვეთება ჩვენს ქვეყანაში. არის, ასევე, სეპარატისტული დაჯგუფებები რუსეთში, რომლებსაც არ აწყობთ საქართველო-რუსეთის ურთიერთობის დალაგება და ამ სეპარატისტებისა და ჩვენი რადიკალური ლიბერალური ფრთის ინტერესები უცნაურად ემთხვევა ერთმანეთს. რაც უფრო ცუდი ურთიერთობა ექნება ჩვენს ქვეყანას რუსეთთან, მათთვის უკეთესია.





წლების განმავლობაში არიან რუსეთის ტერიტორიაზე ავტონომიური სეპარატისტების ლობისტები. თუმცა, ახლა მათი რაოდენობა შემცირდა სომხური ლობის გავლენის შემცირების გამო, რადგან დღევანდელი ერევნის ხელისუფლება, რუსეთთან ერთად, აძლიერებს ურთიერთობას დასავლურ სახელმწიფოებთან. უკვე განცხადებებიც მოვისმინეთ იმის თაობაზე, რომ ეს გზა შეიძლება ევროკავშირისკენ წავიდეს.

**- ბატონო ბადრი, რა პრევენციული ღონისძიებები არსებობს ტერორიზმის საფრთხის აღმოსაფხვრელად და როგორ შეიძლება, რომ სახელმწიფომ მეტ-ნაკლებად დაიცვას საკუთარი მოქალაქეები მსგავსი საფრთხისგან?**

- ტერორიზმის აღმოფხვრა მეტ-ნაკლებად შესაძლებელია რადიკალური გზებით, ძლიერი სახლმწიფოს მეშვეობით, მაგრამ თავად იდეის აღმოფხვრა ძალიან რთულია. ქვეყანაში, სადაც მშვიდობიანი და კარგი ცხოვრებაა, ტერორისტული აქტების ნაკლები საფუძველია, თუმცა ამ შემთხვევაშიც შეიძლება, სხვა ქვეყნის ტერორისტმა, უბრალოდ, მძევლად აიყვანოს ნორმალური ქვეყნის მშვიდობიანი მოსახლეობა და ყურადღების მისაქცევად, პირადი პრობლემის გადასაწყვეტად, ან გამოსასყიდის თუ სხვა მატერიალური სარგებლის მისაღებად გამოიყენოს ამა თუ იმ ქვეყნის რესურსი.

ტერორისტულ ორგანიზაციებს შეუძლიათ, თავადვე ალაგმონ მსგავსი ქმედებები და თქვან უარი ტერორიზმზე. მაგალითად, მოხდა „ალქაიდას“ ლიკვიდაცია, მაგრამ ისლამური რადიკალური ჯგუფები „საქმიანობას“ კვლავაც განაგრძობენ, კითხულობენ შესაბამის ლიტერატურას, ერთმანეთს აზრებს უზიარებენ და თვითონ წყვეტენ, სად როგორ იმოქმედონ. „ჰამასი“ ტერორისტულ ორგანიზაციად არის გამოცხადებული, მაგრამ ის უკვე ისრაელთან ბრძოლაზე გადავიდა და ინდივიდუალურ მოქმედებებს არ ახორცილებს. როგორც ვატყობ, „ჰამასში“ საკმაოდ სერიოზული პროპაგანდა მიდის იმის შესახებ, რომ არ ჩაიდინონ ისეთი ტერორისტული აქტი, რითაც მშვიდობიანი პალესტინელი მოსახლეობის კიდევ უფრო მეტ მსხვერპლს გამოიწვევენ. ასევე, არც ისრაელს აძლევს ეს ტერიტორია იმის საშუალებას, რომ ანტიტერორისტული ოპერაცია ჩაატაროს.

როგორც აღვნიშნე, ტერორიზმის ერთ-ერთი მთავარი მიზეზია, ძირითადად, პოლიტიკური, ან რელიგიური ხასიათის პრობლემების გადაწყვეტა ძალადობრივი მეთოდით. ევროპაში დღეს მილიონობით მუსლიმი ცხოვრობს, თუმცა ემიგრაცია ინტეგრაციის გარეშე იწვევს ექსპანსიას. მათი ევროპასთან ინტეგრაცია იმ დონეზე ვერ ხერხდება, როგორც მუსულმანურ ქვეყნებში. მუსლიმები იცავენ თავიანთ ფასეულობებს, ევროპელები კი მათი ცხოვრებისგან განსხვავებული წესებით ცხოვრობენ. გვახსოვს, ფრანგული იუმორისტული ჟურნალის, „შარლ ებდოს“ მთელი რედაქცია როგორ ამოხოცეს მუსლიმმა ტერორისტებმა მუჰამედზე და მუსულმანურ სიწმინდეებზე დახატული კარიკატურების გამო. რასაკვირველია, პოლიტკორექტულობა, გარკვეულწილად, გასათვალისწინებელია იმისათვის, რომ სხვა ადამიანების რელიგიური გრძნობები არ შეურაცხვყოთ, მაგრამ ტერორიზმს ეს არანაირად არ ამართლებს.

**ნონა ქარქაშაძე**

# „ჩვენ არ გვჭირდება პრორუსული საქართველო!“

**იქნებ, ხმა არ ამომელო, მაგრამ თორნიკე ფხალაძემ „მაიძულა,“ ფაქტობრივად, ამ პატარა წერილის მუზა ის არის — საოცრად დაემთხვა ჩვენი ნაფიქრის ხაზები ერთმანეთს. ჩათვალეთ, რომ მე და თორნიკე ორ ხმაში ვსაუბრობთ.**



საინტერესო მოცემულობააო, ვერ ვიტყვი, მაგრამ იდიოტური მოცემულობა რომ ნამდვილად არის, ხელაღებით ვიტყვი — ნატო-ევროკავშირზე დღეში შვიდჯერ ლამის მეტანია მოგვთხოვონ რუსეთის წყევლა-კრულვის ფონზე, წინააღმდეგ შემთხვევაში „პუტინის მონები“ ვართ. მოკლედ, ისეა გამოწყობილი საქმე, რომ შეგიძლია ყველას მონა იყო და ამ მონობით იამაყო კიდეც, მაგრამ პუტინის მონა არ უნდა იყო.

წინა კვირას უეცრად ნიკა გვარამია გადაგვისხვაფერდა და ისეთი პათოსით ილაპარაკა რუსეთზე, მეორედ ვუყურე, დავაზუსტე რომ არ მეჩვენებოდა. რა დაემართათ კრებსით გვარამიებს? საარჩევნო რიტორიკააო — ამიხსნეს. აღარ აქვს მნიშვნელობა რის გამო ალაპარაკდნენ სხვა ტალღაზე, მთავარი ის არის, რომ ალაპარაკდნენ, ანუ აქამდეც კარგად იაზრებდნენ რა იყო სწორი და რა იყო არასწორი, მაგრამ მორიელის ბუნება არ აძლევდათ გასაქანს, — საქართველოს თუ არ ავნეს, სხვაგვარად არ შეუძლიათ.

ყველაზე მეტად ის მაწუხებს, რომ ადამიანები გადაეჩვივნენ აზროვნებასა და ლოგიკურ მსჯელობას. თითქოს ტვინის გარყევა ეზარებათო, ისე ანგარიშმიუცემლად აედევნებიან ვიღაცის აზრებს, ამ დროს კი, ის ვიღაცა აზროვნებს, მაგრამ საკუთარი ფარული ზრახვები აქვს. ჰოდა, ჰყავს მოკიდებული აზროვნების მოძულე ნაკრები და აყვირებს რასაც მოისურვებს. გვარამიასა და „ჭიჭეს ვაშაძის“ შეგინებანის შემდეგ, ნეტავ ახლა ახალ სლოგანს არ გამოაცხობდნენ „რუსეთი ჩვენი მეზობელია!“, ანუ ხელშეუხებელი და არ მინდა არაფერი.

„ჩვენ არ გვჭირდება პრორუსული საქართველო. ჩვენ არ გვჭირდება მონები და ვასალები. ჩვენ გვჭირდება მეგობრები, ნამდვილი, ჭეშმარიტი მეგობრები.“

„ქართველები ჩვენი ძმები არიან და ჩვენ უნდა ვიყოთ მათთვის კარგი ძმები. არა უფროსი ან უმცროსი, არამედ უბრალოდ ძმები.“

„ნებისმიერ მოძმე ქვეყანასთან განხეთქილება ცუდია, მაგრამ საქართველოსთან ურთიერთობის შემთხვევაში ეს უბრალოდ კატასტროფაა“, — თქვა ეს ფრაზები ალექსანდრე დუგინმა და როგორც სხვა შემთხვევებში, როდესაც ნებისმიერი რუსი (პოლიტიკოსი, ჟურნალისტი, გადაცემის წამყვანი, სასულიერო პირი, რიგითი ტურისტი და ა.შ.) კარგად მოიხსენიებს საქართველოს, გამოენთნენ დიდი ქართველი ლიბერალები.

აუტანელია, როდესაც ვიღაც ბატიტვინა დაგადგება თავზე შეკითხვით: და შენ გჯერა რასაც ეგ რუსები ამბობენ? იციან რა ბრიყვებიც ვართ ქართველები და მაგაზეა გათვლილი.

პირდაპირ ვერ მეუბნება, მაგრამ მიმანიშნებს, რომ თუ მჯერა რუსების საქებარი სიტყვებისა საქართველოსა და ქართველების მიმართ, მაშასადამე, მე ვარ ბრიყვი, მას კი ვერ გააბრიყვებს რუსი.

აქეთ მომხედეთ, რუსთმოძულეებო და ახლა თქვენ მიპასუხეთ: რომ მეუბნებით რომ რუსების მიერ გამოხატულ კეთილგანწყობას ქართველების მიმართ არ უნდა დავუჯერო, რას მეტყვით, რა იმალება ამ ფარისევლობის უკან, რა გეგმა აქვს რუსეთს, რატომ უშვებს საქართველოსკენ კეთილმეზობლურ ფლუიდებს?

წარმოსახვაში გადავიტანოთ. „მასკვა რეკასთან“ ერთი რუსი მიმჯდარა, ნევასთან — მეორე, მესამე — ნოვომოსკოვსკის სიახლოვეს დონს ჩასჩერებია და ტვინს იჭყლეტენ როგორ გააცურონ ბრიყვი ქართველები ტკბილი სიტყვებით. დაალაგეს გოზინაყი-სიტყვები და მოგვიძღვნეს. მერე რა ხდება, რა გათვლა აქვთ? ბრიყვი ქართველები დაველაპარაკებით მუხთალ რუსებს, მერე მუხთალი რუსი გვიმუხთლებს და ზურგში ხანჯალს ჩაგვარტყამს. რაში გამოიხატება ხანჯლის ზურგში ჩაცემა? რაში და, ჰოპ, და დაგვიპყრობს!

ბიჯოო, შე გამოქლიავებულო, მოფერება და დაყვავება რაში სჭირდება, როცა საქართველოს ტერიტორიის 20% ერთ დღეში გაიფორმა. რაო, ამერიკის ეშინია, საქართველო ბევრი პამპრსებითა და წყლით არ მოამარაგოსო თუ ევროკავშირის აღშფოთება-შეშფოთებისა, დარჩენილი 80%-ისთვის ვეღარაფერი მოუხერხებია და გვეფერებაღა?

2008 წლის აგვისტოში თბილისის თავზე დაფრინავდნენ რუსეთის ავიაგამანადგურებლები, რაც აინტერესებდათ ის „დააწერტილეს“ და რა ძნელი დასაპყრობი ჩვენ ვართ. 26 000 ვაჟკაცი თავს გაწირავს იმნაირი ნაძირალებისთვის, პირდაპირ ეთერში რომ თქვა, „თუ გარანტია მექნება რომ არ მოვკვდები, წავალ ომშიო“, მაგრამ ამით რა, 26 000 ვაჟკაცის ნაკვალევზე 26 000 პედარასტი რომ ამოშრიალდება? — ძალიან შემაღონებენ ხოლმე რეალობას აცდენილი გლუვი ტვინები...

როცა ადამიანი სიმართლეს ამბობს, რუსია თუ კუალა-ლუმპურელი, სიმართლე სინათლეა და რატომ ვარ ბრიყვი, რა არ დავიჯერო, ის, რაც მე თვითონ ვიცი სხვის უთქმელად?

„საქართველო ღვთისმშობლის წილხვედრი ქვეყანაა. ეს არის მართლმადიდებლური სახელმწიფო. უნიკალური, საოცარი, ძალიან ტრადიციული, სავსებით არადასავლური და არალიბერალური უძველესი კულტურა, რომელიც რუსებს ყოველთვის უყვარდათ. ეს არაჩვეულებრივი ხალხია, გასაოცარი საზოგადოება, რომელმაც ადგილის შეუცვლელად შეინარჩუნა უძველესი ტრადიციები. ქართველებს არაფერი უძებნიათ ისტორიის მანძილზე, ამიტომ დარჩნენ იქ, სადაც გაჩნდნენ. ეს მართლა გრანდიოზული (ფილოსოფიური) მიღწევა და დიდი ფასეულობაა. ამგვარად, ეს არის უძველესი, დიდებული, მართლმადიდებელი ერი, რომელიც თავისი ტრადიციების თანახმად ცხოვრობს,“ — თქვა კაცმა, რუსმა და თუ დავიჯერე, რომ მართლა ასე ფიქრობს, ბრიყვი ვარ? კარგად ვხედავ, ვინც არიან გაბრიყვებულები — „ბრიყვთა გული მათ პირზეა“...

იყო აფხაზეთი დროებით განზე გამდგარი, მაგრამ საქართველოს შემადგენლობაში და იყო სამაჩაბლო კართან ატუზული დასჯილი ბავშვივით, რა გააკეთა საქართველოს მავნებელმა საქართველოს ხელისუფლებამ — ჩვენ გამოგვიცხადეს, რომ კონსტიტუციური წესრიგის აღსადგენად ირჯებოდნენ, რეალურად კი „მიხეილ სააკაშვილს ცხინვალზე თავდასხმის კუთხით კონსულტაციებს უწევდა ბერნარ-ანრი ლევი, რომელიც არის ნამდვილი მსოფლიო მმართველობის წევრი, ჰიპერგლობალისტი — უარესის მოფიქრება შეუძლებელია. სინამდვილეში, ეს არ იყო ქართული თამაში.

რა თქმა უნდა, რუსეთი ახლა ვერ იტყვის, რომ ახლავე ყველაფერს დააბრუნებს, ვინაიდან არსებობს ისტორია, ტერიტორიების აღიარება, აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებელი სახელმწიფოებრიობა. რა თქმა უნდა, შესაძლოა, სტატუს-ქვო გაგრძელდეს, მაგრამ რომელ დამოუკიდებელ სახელმწიფოებრიობაზეა აქ ლაპარაკი?

ეს ტერიტორიები ან საბოლოოდ უნდა მიუერთდნენ რუსეთს, ან რაიმე ფორმით, ახალ კონტექსტში ვისაუბროთ ურთიერთობის ნორმალიზაციაზე საქართველოსთან და შევთავაზოთ რაიმე სხვა ვარიანტი, მაგრამ უკვე უფლებებით, გარანტიებით და თავისუფლებით. (საქართველოს აფხაზეთთან და სამხრეთ ოსეთთან გაერთიანებაზე კონფედერაციული ან ფედერაციული სახით)“.

ამბობს ამას რუსი და შენც იცი რომ საქართველოს ამ 20%-ის დაბრუნების მექანიზმი კრემლშია. ასეთ დროს, თუ ქართველი ხარ და შენი მიწის თითოეული გოჯი გტკივა, რას უნდა აკეთებდე, გაუხედნავი ჯორივით ტლინკებს ყრიდე თუ პრაგმატულად მოაზროვნე მიუჯდე მოლაპარაკების მაგიდას?

ვიღაცებს, საჯაშუშო გრანტებით ამოყორილებსა და ტვინგადალესილებს ჩახვეული აქვთ ნატოსა და ევროპისთვისვე უკვე დაკარგული ევროპული ფასეულობები (ნათელი მაგალითი პარიზის ოლიმპიადის გახსნის ცერემონიალია, რომელიც დასამალი გაუხდათ!) ძახილი, ცალ ფეხზე არ ჰკიდიათ აფხაზეთი და სამაჩაბლო, რაღაც მიწის ნაგლეჯები, სადაც ფეხიც კი არ დაუდგამთ? საქართველოს ხელისუფლება კი გარემოების მძევალია, იცის, რა არის მართებული, მაგრამ ფეხაკრეფით დადის ამოწვერილ შუბისთავებს შორის, ოდნავ გაფაჩუნებასაც ერიდება, „მთვარიან ღამეს“ ელის...

ახლა რა ხდება — ალექსანდრე დუგინი ერთადერთი რუსი ინტელექტუალია, რომელმაც თავის ძველ პოზიციაზე 2008 წელს, „ტანკი ნა ტბილისი“ ბოდიში მოიხადა. არადა, მახსოვს, ნაციონალების გარდა დანარჩენი საქართველო იმიტომ აგინებდა რუსეთს, რომ „ტანკი ნა ტბილისი“ არ წამოვიდნენ. ხალხი ისე გმინავდა სააკაშვილის სისხლიანი უღლის ქვეშ, რომ რუსეთის შემოსვლა ერჩივნა, ოღონდ სააკაშვილი მოშორებულიყო თავი გიენებითურთ.

ფაქტად იდო, სააკაშვილის მთავრობამ მიგვაგდო ხალხი და თვითონ საქართველოს ყველა შარა-შუკიდან გარბოდნენ საქართველოს ფარგლებსგარეთ, ხალხი კი (ცალკეული სუსტი ფსიქიკის მქონეების გარდა) პანიკის გარეშე ადგილზე იყო. როკის გვირაბს რომ მოადგა ვლადიკავკაზში დისლოცირებული რუსეთის სამხედრო-სახმელეთო ძალების 58-ე არმია, რომლის მე-5 ბატალიონი აქტიურობით გამოირჩეოდა, ინფორმაციად მივიღეთ და ლამის ყვავილები გავამზადეთ დასახვედრად...

და აი, ამ დუგინმა მოიხადა ბოდიში და დღეს ამბობს, რომ საქართველოს უნდა დაუბრუნდეს მისი კუთვნილი ტერიტორიები; რომ რუსეთის იმპერია არასწორად მოექცა ქართველებს სახელმწიფოებრიობა და ბაგრატიონთა დინასტია რომ გაუუქმაო. ასეთი ლაპარაკის გამო თავისიანებისგანვე მიიღო დარტყმები, მაგრამ მტკიცედ დადგა და განაცხადა, არ მაინტერესებს არავის აზრი, მე ყოველთვის სიმართლის მხარეს ვიქნებიო.

რა ვქნა, მე მაშინაც დუგინს ვეთანხმებოდი, როცა 2008-ში სააკაშვილის ხელისუფლების ძალადობრივი დამხობის მოწოდებით გამოდიოდა — ერთნაირი აზრები გვაქვს ერთმანეთისგან დამოუკიდებლად და რანაირად და რაში მაბრიყვებს რუსი ოკუპანტი კაცი ქართველ ოკუპირებულ ქალს, არსში მინდა ჩაწვდომა. უბრალოდ, ის დუგინია და ცნობილი ფიგურაა, თორემ სანამ დუგინი (ან სხვა) პირს გააღებს რამის სათქმელად,








ნაფიქრიც მაქვს, ნათქვამიც და დაწერილიც, უბრალოდ, შინაური მღვდლის ვარიანტში ვარ, შენდობა არ მაქვს...

დუგინი იქნება თუ სხვა ვინმე რუსი (ამ შემთხვევაში ეროვნებას არ აქვს მნიშვნელობა), როდესაც თუნდაც არ ფიქრობს ისე, მაგრამ თავს გიქონავს, უკვე საქმეა. ეს ნიშნავს, რომ მისთვის საჭირო ხარ, სულ მცირე, შენთან მტრობა არ აწყობს, თორემ როგორც აღვნიშნე, „სილა ესტ, უმა ნე ნადა!“

მე და თორნიკეს თუ გვკითხავთ, ბევრი დუგინი გვჭირდება კრემლში, რომლებიც დაგმობენ ძველ მტრობას და მეგობრობის სუფთა ხელს გამოგვიწოდებენ. ასეთი კრებსითი დუგინები არ გახდიან პრობლემად საქართველოს გამთლიანებას და ვინ იცის, იქნებ ხურდად სხვა რამეებიც დაგვიმატონ...

კრებსით დასავლეთს რა უნდა ჩვენგან, ვხედავთ ერთ კინკილა, მაგრამ დიდ და ძლიერ რუსეთს რა უნდა ჩვენგან, ამასაც ვხედავთ — მწირი არჩევანია, მაგრამ მარტივად ასარჩევი. ერთ მხარეს არის „ან იომებთ, ან წახვალთ!“, მეორე მხარეს არის „ბოდიში, არ ვიყავით მართალი.“

გასათვალისწინებელია, რომ რუსეთში არის რუსული ელიტის მეორე ნაწილი, რომლის ფილოსოფიისა და მიდგომების წარმმართველი სერგეი კარაგანოვია. ეს ის კარაგანოვია, რომელიც რუსეთის მიერ ატომური იარაღის გამოყენებას ემხრობა მის მიმართ მტრულად განწყობილი ქვეყნების წინააღმდეგ. აღსანიშნავია, რომ ის ძალზე გავლენიანი პირია რუსეთის ელიტარულ სივრცეში, ბევრი მიმდევარიც ჰყავს და საგულისხმოდ დაახლოებულია პუტინთან. იგი, ამასთანავე, სრულად ემხრობა რუსეთის სრულ აზიატიზაციას, ევროპულ ფესვებთან კავშირის ჩაჭრას და ევროპასთან მტრულ მდგომარეობაში სამუდამოდ გადასვლას.

ვიღაც იტყვის, თავში ქვა უხლიათო. კი, ბატონო, უხლიათ, მაგრამ მისი ქვის ხლით მე თუ ლოდი მომხვდება?

საქმე იმაში გახლავთ, რომ თუ რუსეთმა ბიზანტიის როლის გამგრძელებელი სახელმწიფო დაასრულა, კატასტროფა იქნება ქართველებისთვის. ახლა საფიქრალსაოცნებო ის უნდა გვქონდეს, რომ რუსეთის ორი ძლიერი ფლანგიდან „დუგინისტები“ და „კარაგანოვისტები“, რუსი პატრიოტების პრომართლმადიდებლურმა მხარემ გადასწონოს საბოლოოდ და არა პრო-აზიურმა, აქ კი დამდგარან უტვინო თავები და რას ყვიტყვიტებენ, წარმოდგენა არ აქვთ, მთავარია „ალა ლუსეთს“ იძახონ.

„დუგინსტების“ ფლანგის ნაწილი ემხრობა იდეას, რომელსაც ჰქვია „მესამე რომი“ — მეორე იერუსალიმი“, რომელ ფორმულირებაშიც მესამე რომად ცხადდება მოსკოვი (რუსეთი), ხოლო მეორე იერუსალიმად ცხადდება მცხეთა (საქართველო). ამ მოცემულობაში, „იერუსალიმი“ უნდა იყოს იმპერიის სასულიერო ცენტრი და „რომისგან“ დამოუკიდებელი სახელმწიფოებრიობის მქონე, მისი კულტურული ცენტრი და მხარდამჭერი და არა „რომის“ მტრებთან კოლაბორაციონალისტური. ეს იდეა იმდენად რეალურად აქვთ დასახული დუგინს და მის მიმდევრებს, რომ საქართველოზე უარყოფით კონტექსტში მოხსენიებას აღარავის პატიობენ, მწვავე პოლემიკას უმართავენ.

არ თხზავს ეს კაცი არაფერს, რაც რეალობაა იმას ამბობს და მისი გულწრფელობა რაღა მოსატანია, როცა ფაქტები სახეზეა: „რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს, ახლა ქართველი და რუსი ხალხი ერთმანეთისკენ მაინც ისწრაფვის და ხდება სიტუაციის გაუმჯობესება. პოლიტიკური, ეკონომიკური თუ სტრატეგიული ვითარების მიუხედავად, ეს ორი ხალხი ერთმანეთისკენ ისწრაფვის.

რუსეთში ბევრი ქართველია. ისინი, უმეტეს შემთხვევაში ლოიალური, შესანიშნავი მოქალაქეები არიან. საქართველოში, ბოლო დროს უფრო და უფრო მეტი ტურისტი მიემგზავრება და ქართველები მათ კეთილგანწყობით ხვდებიან. რაც ჩვენ ჩავიდინეთ აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში, ჩვენს ტურისტებს ქართველები თითქოს უნდა აფურთხებდნენ, მაგრამ არა...

ქართველები, რა თქმა უნდა, განიცდიან საქართველოს ტერიტორიულ დაშლას, თუმცა, სინამდვილეში, ალბათ, აცნობიერებენ, რომ თვითონ რუსი ხალხის ბრალი ამასი ნაკლებია და საქართველოს ხელმძღვანელობის როლი იყო განმსაზღვრელი...

საქართველო ჩვენი სიწმინდეა. საქართველოს სულიერი მნიშვნელობა ჩვენთვის კოლოსალურად დიდია...

იმ საშინელი ტრაგიკული სიტუაციის შემდეგ, როდესაც ჩვენ გაგვყვეს, როდესაც მოგვიწია საქართველოს დანაწევრებამ, ეს არ იყო არავითარი ჩვენი გამარჯვება. რა გამარჯვებაზე შეიძლება იყოს საუბარი? გამარჯვება მაშინ იქნებოდა, რუსეთი და საქართველო ძმურ ურთიერთგაგებამდე რომ მისულიყვნენ.

შესაძლოა, ჩვენ არ ვიყავით ისეთი სასტიკები, როგორც დასავლეთის იმპერიები, რომლებიც ცეცხლითა და მახვილით იმორჩილებდნენ ხალხებს და შემდეგ, როგორც მონებს, ისე უწევდნენ ექსპლუატაციას, თუმცა, ისტორიის მანძილზე, მაინც ტაქტის, გემოვნებისა და სხვისადმი პატივისცემის გრძნობა ზოგჯერ გვღალატობდა და ნაცვლად იმისა, რომ ამ უნიკალურ კულტურას მოვპყრობოდით როგორც სიწმინდეს, საქართველოსადმი გაგვიჩნდა პრაგმატული დამოკიდებულება.

საქართველო და რუსეთი ერთმანეთისთვის აუცილებელნი არიან!

ჩვენ ერთმანეთს არა მხოლოდ პოლიტიკურად, არამედ სულიერად ვჭირდებით. ყველა რუსი პოეტი, რომელიც „ვერცხლის საუკუნეში“ მოღვაწეობდა, თავის მოვალეობად თვლიდა, რომ ქართული ლიტერატურა რუსულად ეთარგმნათ.

საქართველოში საბჭოთა კავშირის დროს ნამდვილი ოაზისი იყო შექმნილი თავისუფალი რუსული აზრისთვის. ეს იყო ქვეყანა, სადაც შეიძლებოდა თავისუფლად დაგებეჭდა ის წიგნები, ან გეწარმოებინა ის კვლევები, რაც წარმოუდგენელი იყო ტოტალიტარული მატერიალისტური სისტემის პირობებში სხვა რესპუბლიკებში.



საქართველოსნაირი დიდებული ქვეყნის სათავეში ისეთი საშინელი პერსონაჟის მოსვლა, როგორიც იყო სააკაშვილი, ნამდვილად რაღაც შავ-ბნელი მისტიკაა...

საინტერესო ფაქტია, რომ იმ პერიოდშიც კი, საეკლესიო დონეზე, ყველა ეტაპზე, ყველაზე კრიტიკულ ვითარებაშიც კი, საქართველოსა და რუსეთის პატრიარქები ყოველთვის ინარჩუნებდნენ ძალიან კარგ ურთიერთობას...“

**მაია ჭელიძე**

# „ანტიფა“ და სათნო ჯო

3 გვ. →

შეჯერება-დაზუსტება მიმდინარეობს. თუ ენ-სი-აი-ს შეთქმულების უტყუარი მტკიცებულება აღმოაჩნდება რასაც გაამყარებს გამოძიების შედეგები, აბსოლუტურად სხვანაირად გადაეწყობა აშშ-ის პოლიტიკური განლაგება — „რესპუბლიკელები“ ავტომატურად შეწყვეტენ „ორპარტიული კონსესუსით“ გათვალისწინებულ ყველა შეთანხმებას.

სანამ ტრამპს „ანტიფას ბიჭი“ ესროდა, ისეთი მოცემულობა იყო, რომ თუ ბაიდენი საკუთარ კანდიდატურას მოხსნიდა, დონალდ ტრამპის დამარცხების ყველაზე მაღალი შანსი მოქმედ ვიცე-პრეზიდენტ კამალა ჰარისს და ყოფილ სახელმწიფო მდივანს ჰილარი კლინტონს ჰქონდათ. კამალა ჰარისი 1%-ით ასწრებდა ტრამპს, ხოლო ჰილარი კლინტონი 2%-ით. მას შემდეგ, რაც დონალდ ტრამპი შეხვეული ყურით პოზირებდა ტელეკამერების წინ და მართლაც რომ სიკვდილს ბეწვზეა გადარჩენილი, ვის წაართვა პროცენტები მნიშვნელობა აღარ აქვს, მისმა რეიტინგმა წამიერად 31%-ით აიწია. ბაიდენის ადმინისტრაციის იდიოტური პოლიტიკის მიმდევრები ახლა კამალა ჰარისზე გადაერთვნენ და აავსეს დონორებმა შემოწირულობებით.



სოცქსელებში ვიდეოჩანაწერები ვრცელდება, სადაც ჩანს, რა ისტერიკას იმართებენ ახალგაზრდები ტრამპის გადარჩენისა თუ ბაიდენის გადადგომის გამო — აბსოლუტურად არაადეკვატურები არიან ქცევებში. იგივე დაემართათ ქართველ ლიბერალებს, ერთ ნაწილს ენა ჩაუვარდა, მეორე ნაწილი — გაცოფდა, მესამე კი ცოცხალმკვდარს უტრიალებდა ტომას კრუკსს, როგორ ააცდინეო.

უინსტონ ჩერჩილმა თქვა, თუ შეატყვე, რომ პოლიტიკოსი შეგიყვარდა, ფსიქიატრს მიმართეო. ამ რჩევით, მსოფლიო სამ ნაწილად უნდა დაიყოს, ფსიქიატრებად, ფსიქიატრების პაციენტებად და ხალხად...

უცნაური რამ არის ბედისწერა, კაცს სათუოდ ჰქონდა პრეზიდენტობა, ამის გამო სასიკვდილოდ გაიმეტეს და მოკვლის ნაცვლად პრეზიდენტობა გაინაღდა ყურის მცირედი გაფხაჭნით...

თუმცა, რას გაიგებ, ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის არჩევნები ხომ იმ გაურკვეველი წარმოშობისა და ვიწრო განვითარება-თვალთახედვის მასით იკვებება, რომელთათვისაც, მაგალითად, მხოლოდ ის არის ღირსება რომ პრეზიდენტობის კანდიდატი ქალია; ან ის, რომ ფერადკანიანია; ან ის, რომ აბორტების მომხრეა; ან ის, რომ ყოველგვარ სექსუალურ აღვირახსნილობას მისაღებ ადამიანურ გამოვლინებად აღიქვამს და შეწინააღმდეგების ნაცვლად ხელს უწყობს მის კიდევ უფრო თავაშვებულობას და ა.შ. ამ მასას სრულებით არ აინტერესებს აშშ-ის პოლიტიკა მსოფლიოში და ნიუ-იორკი სულაც ვაშინგტონი ჰგონია...

რონალდ რეიგანმა თქვა — ამბობენ, რომ პოლიტიკა მეორე უძველესი პროფესიაა, მე კი დავასკვენი, რომ მას გაცილებით ბევრი საერთო აქვს პირველთან, ვიდრე თვით პოლიტიკასთანო...

ამავდროულად, ვიცით, რომ „პოლიტიკა ბინძური საქმეა“ — რაშია საქმე, ადამიანები, რომლებიც გადაწყვეტენ პოლიტიკაში ჩართვას, ფაქტობრივად, საკუთარ შინაგან მისწრაფებას ანხორციელებენ, პოლიტიკურ მეძავობასა და სიბინძურეზე ხელს ნებით აწერენ, შინაგან მოთხოვნილებას ასე იკმაყოფილებენ?

პირადად მე, ვეთანხმები აზრს, რომ პოლიტიკა მაშინ არის ბინძური საქმე, თუ ის ბინძური პოლიტიკოსების ხელშია... ეს ის თემა, რომელიც ფილოსოფიისკენ მიემართება, ფილოსოფიის გაგება კი მარტივი არ არის...

ასეა თუ ისე, ხელისგულზე გვიდევს ვინმე კრუქსის ნასროლი საქმე — მავრმა, ტომას მეთიუ კრუქსმა, რომელიც სასროლეთის კლუბის წევრი იყო, საქმე გააკეთა და მავრი მოუსავლეთში უნდა წასულიყო, სადაც უსიტყვოდ გაუშვეს კიდეც...

მაგარია! დონალდ ტრამპს ესროლეს და ბაიდენს მოარტყეს...

მაინც მეცოდება ეს გამოთაყვანებული კაცი, ერთ დროს დიდად დაფასებული, ახლა კი მოკლე ვიდეო-კლიპების სასაცილო პერსონაჟი...

შენ რა გითხარი „ანტიფა“, რატომ დამიჩაგრეთ და გამიფარჩაკეთ ჩემი სათნო მოხუცი ჯო!

**ზურა ოქხერელი**

# ოპოზიცია მალე რუსეთის მომხრეთა მოწინავე რიგში ჩადგება



*გვესაუბრება დამოუკიდებელი უფლებადამცველი, ყოფილი პარლამენტარი დიმიტრი ლორთქიფანიძე:*

**— ბატონო დიმიტრი, პარლამენტმა ამნისტიის კანონი პირველი მოსმენით დაამტკიცა, რომელიც პატიმრების 1/3-ს შეეხება. ოპოზიცია ითხოვს, ამნისტიის მუხლები გაფართოვდეს, ასევე, ის ვადა, რაც ამნისტიის შედეგად მცირდება.**

— ამნისტიის აქტი მისასალმებელია, თუმცა მას წინ აუცილებლად კონკრეტული კვლევები უნდა უსწრებდეს იმის შესახებ, თუ რა ტიპის დანაშაულზე შეიძლება განსაკუთრებული აქცენტები გაკეთდეს. ოპოზიცია ამ თემით სპეკულირებს და ამბობს, რომ ამნისტიის აქტი ფიქციად მიაჩნია, რაშიც ვერ დავეთანხმები. სხვა საკითხია, რომ რიგი მუხლების განხილვა მეტ დისკუსიას საჭიროებს, რაზეც მსჯელობა მეორე, მესამე მოსმენებზე, ახალი პარლამენტის არჩევის შემდეგ გაგრძელდება. საინტერესოა, რომ კანონპროექტის ინიცირება ამ პარლამენტის მიერ მოხდა, ხოლო კანონიერ ძალაში მისი შესვლის პოლიტიკური პასუხისმგებლობა მომავალ პარლამენტს დაეკისრება.

კერძოდ, ოპოზიციის მხრიდან გაიჟღერა ბრალდებამ, თითქოს, ამნისტიის აქტი მიმართულია კონკრეტულ პირთა წრის ციხიდან გამოსაყვანად. ანუ, მათი თქმით, ამნისტია ზონდერჯგუფების გამოყვანას უკავშირდება. ხელისუფლების მიერ მიღებული გადაწყვეტილება ამ საკითხზე სპეკულაციებს გამორიცხავს. შეუძლებელია, ის დაინტერესებული იყოს ზონდერჯგუფების საარჩევნოდ ციხიდან გამოყვანით მაშინ, როცა მეორე, მესამე მოსმენა საშემოდგომო სესიაზე გაიმართება.

ჩემი აზრით, შესაძლოა, ამა თუ იმ მუხლს ამნისტია მთლიანად არა, მაგრამ სანქციის ნაწილში შეეხოს. მაგალითად, მსჯავრდებულ პირს მოუხდელი სასჯელი 1/4-ით შეუმცირდეს. მეშვიდე მოწვევის პარლამენტში ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე და პირობით ვადაზე ადრე გათავისუფლების კომისიის წევრი ვიყავი და იურიდიულ პრაქტიკას კარგად ვიცნობ. როცა საყოველთაო ამნისტიაზე ვსაუბრობთ, მაქსიმალურად ეს მხოლოდ იმ მუხლებს კი არ უნდა მოიცავდეს, რომლებიც მსჯავრდებულების გათავისუფლებას უზრუნველყოფს, არამედ სასჯელის გარკვეული ვადით შემცირებასაც უნდა ითვალისწინებდეს. ეს კი კვლევის შედეგებზე უნდა იყოს დამოკიდებული და ამან ამნისტიის აქტის შედეგად ქვეყანაში კრიმინოგენური ვითარება არ უნდა გააუარესოს.

კვლევები, რომელთა აუცილებლობაზეც ზემოთ მოგახსენეთ, უშუალოდ პროკურატურის მიერ ტარდება მაშინ, როცა გარკვეული მიმართულებით სისხლის სამართლის პოლიტიკის გამკაცრება ხდება. მაგალითად, ერთი პერიოდი ძალიან გაიზარდა სისხლის სამართლის დანაშაულთა რიცხვი, კერძოდ, ავტომანქანების გვერდითა სარკეების მოპარვა. აღნიშნული ნივთი სულ რაღაც 20-30 ლარი ღირდა და თითქოს ამისთვის სასჯელის გაზრდა არ ღირდა. მეორე მხრივ, დადგინდა, რომ აღნიშნულმა დანაშაულმა ეპიდემიური ხასიათი მიიღო და ბევრი კრიმინალისთვის იოლი ფულის შოვნის წყაროდ გადაიქცა. საზოგადოებას დიდი ზიანი მიადგა, მისი ინტერესი მნიშვნელოვნად შეილახა. პროკურატურის მიერ განხორციელებული კვლევების შედეგად დადგინდა, რომ ამ მხრივ სისხლის სამართლის პოლიტიკა უნდა გამკაცრებულიყო. მეორე მაგალითსაც მოვიყვან, ეს არის თაღლითობა, რომელიც ერთ-ერთი მძიმე დანაშაულია. თაღლითების მსხვერპლთა რაოდენობა ქვეყანაში ყოველწლიურად იზრდება. თუ პირმა თაღლითობის შედეგად დანაშაული პირველად ჩაიდინა, მის მიმართ შესაძლოა ამნისტიის აქტის გამოყენება, მას მერე, რაც იგი მიყენებულ ზიანს აანაზღაურებს. მაგრამ პირის მიმართ, რომელმაც ეს დანაშაული მეორედ, მესამედ ჩაიდინა, ნდობის ხარისხი შემცირებულია და ამნისტიის გამოყენებისას კანონმდებელს მეტი სიფრთხილე მართებს. როცა ამნისტიის აქტის სიკეთეზე ვსაუბრობთ, არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ თუნდაც 1/4-ით შემცირებული სასჯელის ვადა ბევრი სასოწარკვეთილი პატიმრისთვის სტიმულია, რათა მომავლის რწმენა არ დაკარგოს.

**— მდინარაძემ აღნიშნა, რომ ამნისტიის თემაზე პოლიტიკურ ვაჭრობაში არავისთან შევლენ და კანონპროექტს არცერთი მუხლი არ დაემატება. „გირჩი“ ციხეში ბუნტის გამოწვევაზე საუბრობდა. ეს რამდენად საფრთხის შემცველია?**

— ასეთი რამ ვერ მოხდება, ბუნტს ადგილი არ ექნება, რადგან, როგორც მოგახსენეთ, მეორე მოსმენა საშემოდგომო სესიისთვის გადადო. მამუკა მდინარაძეს ვეთანხმები, რომ ამ ეტაპზე შეუძლებელია, აღნიშნული კანონპროექტი ოპოზიციასთან პოლიტიკური სპეკულაციების, ვაჭრობის საგანი გახდეს. დიახ, ხელისუფლებამ გონივრული გადაწყვეტილება მიიღო — მეორე მოსმენის ვადა არჩევნების შემდგომ გადადო.

**— ოპოზიცია პირველ მოსმენას არ ესწრებოდა. მან პატიმრებს, ადამიანის უფლებებს გამოუცხადა ბოიკოტი?**

— ცხადია, უპრეცედენტო შემთხვევაა ის, რომ ოპოზიცია ამნისტიის კანონპროექტის მხარდაჭერაზე უარს აცხადებს. მან სერიოზული პოლიტიკური შეცდომა დაუშვა, როცა პირველ მოსმენაზე ამ ინიციაციას მხარი არ დაუჭირა. ზოგადად, არსებობს ორი საკანონმდებლო აქტი, რომელთა მიმართ ოპოზიციის დამოკიდებულება არ იცვლება. ეს, პირველ რიგში, არის კანონი ბიუჯეტის შესახებ, რომელსაც, რაოდენ კარგიც უნდა იყოს, ოპოზიცია მხარს არ უჭერს და მეორე საკანონმდებლო აქტი არის ამნისტია, რის მიმართაც ბოიკოტის გამოხატვა, ოპოზიციის მხრიდან ერთგვარი ნონსესია. როგორ შეიძლება ამნისტიის აქტზე ოპოზიციამ პროტესტი გამოხატოს?! სხვა საკითხია მუხლობრივ მსჯელობაში შესვლა და მისი ფართო საზოგადოების დისკუსიაში გადაზრდა. ოპოზიციისთვის სერიოზული ნაკლია როცა ის, საკუთარი პოლიტიკური ქულების დაწერის მიზნით, თავიდან იცილებს პასუხისმგებლობას, შევიდეს დებატებში და საზოგადოებრივ აზრზე აპელირება მოახდინოს. რა თქმა უნდა, მოსახლეობის თვალში ასეთი ოპოზიცია ნდობას კარგავს.



**— კობახიძემ განაცხადა, ოპოზიცია გარუსების საფრთხის წინაშეაო. ის ხელისუფლებას პრორუსობას აბრალებდა იმის გამო, რომ რუსეთს არ დაუწესეს სანქციები, ტურისტები ქვეყანაში მიიღეს. ახლა კი გვარამია გვეუბნება, რომ ფრენები, რუსეთთან ვაჭრობა კარგია, რუს ტურისტებს ხელგაშლილი უდა შევხვდეთ. ვაშაძე კი, რომელიც ორი წლის წინ ამბობდა, რუსეთის მოქალაქეებისთვის საზღვარი უნდა ჩაიკეტოსო, ახლა გვეუბნება, სანქციების დაწესების მომხრე არასდროს ვიყავიო. რამ განაპირობა მათი რიტორიკის მკვეთრი ცვლილება?**

— თქვენს შეკითხვაში ძალიან ობიექტური შეფასებაა. გამაკვირვა ნიკა გვარამიას დამოკიდებულებამ, შეცვლილმა ტონმა. იგი რუსეთის მიმართ უხეში გინების შემდეგ, უეცრად მასთან კონსტრუქციული დიალოგის, სავაჭრო ურთიერთობების გაღრმავების, რუსი ტურისტების მიღების მომხრედ იქცა. ცოტა ხანში ოპოზიციონერები რუსულ მხარეს, ალბათ, ქართულ-რუსული საზოგადოებრივი ცენტრის დირექტორად საკუთარ კანდიდატურებსაც წარუდგენენ. რა თქმა უნდა, ეს დამოკიდებულება მათი პირადი შეხედულებიდან გამომდინარე არ შეცვლილა. ეს მათ უკან არსებული გარკვეული პოლიტიკური სისტემის მიერ დაყენებული საკითხია. ოპოზიცია ხედავს, რომ მხოლოდ დასავლეთის მიმართ მონური მორჩილებით მის პოლიტიკურ იმიჯს ზიანი ადგება და შედეგად, ხმებს კარგავს. საზოგადოება პრიორიტეტს მრავალვექტორულ საგარეო პოლიტიკას ანიჭებს, რასაც მეზობელი აზერბაიჯანი აწარმოებს, რომლის სუვერენიტეტი 75%-იან ნიშნულზეა. ჩვენ დიდი შანსი გვაქვს, რომ ამ მიმართულებით აზერბაიჯანს დავეწიოთ და გავუსწროთ კიდეც.

როგორც ჩანს, გვარამიას უკან არსებულმა სისტემამ სწორედ ეს დაინახა. აქედან გამომდინარე, თავიანთ ადეპტებს — 15 გეიპოლიტიკური პარტიის ლიდერებს, რუსეთთან მიმართებით დამოკიდებულებას აცვლევინებს. ცოტა ხანში დაინახავთ, რომ ოპოზიცია ქართულ-რუსული ურთიერთობების დარეგულირების მომხრეთა შორის რიგში პირველი ჩადგება და ჩვენ მიერ უკვე მიღწეული შედეგების საკუთარ თავზე გაფორმებას შეეცდება. არც გვარამიასგან და, მით უმეტეს, არც ლომჯარიასგან ასეთ მეტამორფოზას არავინ ელოდა. ლომჯარია ჯერ კიდევ მაშინ გამოირჩეოდა რუსეთის მიმართ შეურიგებელი ტონით, როცა ნჯო-ს ხელმძღვანელი იყო, მერე კი რუსეთს სახალხო დამცველის რანგში აკრიტიკებდა. ამჯერად არასამთავრობო ორგანიზაციების ქსელის ერთ-ერთი მთავარი პასუხისმგებელი პირია. გვარამია და ლომჯარია, საგარეო პრიორიტეტებთან დაკავშირებით, კოორდინირებულად მუშაობენ. წინასაარჩევნოდ მათი მხრიდან რუსეთის მხარდასაჭერად კიდევ უფრო სერიოზულ რიტორიკას მოვისმენთ.

გასაკვირი იქნება, თუ საზოგადოება წინასაარჩევნოდ თეთრისგან შავს ვერ გაარჩევს და ე. წ. ოპოზიციის მიმართ საკუთარ ნეგატიურ დამოკიდებულებას არ დააფიქსირებს.

**— ოპოზიციური გადალაგებები გრძელდება — „ლელო“ და ალეკო ელისაშვილი დამობლდნენ. მათ „თავისუფლების მოედანიც“ შეუერთდა.**

— ამ გაერთიანებებმა კარიკატურული ხასიათი მიიღო. სამარცხვინოა იმ პირების გაერთიანება, რომლებიც ერთმანეთს ვერ იტანდნენ. ყველას გვახსოვს, ელისაშვილისა და ხაზარაძის ურთიერთზიზღნარევი დამოკიდებულება.

აქვე, არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ გამჭვირვალობის კანონი 1-ელი სექტემბრიდან ამოქმედდება და ბევრი ორგანიზაცია უარს იტყვის, საკუთარი ბიუჯეტი გამჭვირვალე გახადოს. არ გამოვრიცხავ, რომ კანონის ამოქმედების მერე, ბევრი პოლიტიკური ძალა წინასაარჩევნო მარათონს ჩამოსცილდეს. ასე რომ, მე მრავალ მამრავლად დაშლილი ოპოზიციის კრახზე მეტად აქცენტს სწორედ გამჭვირვალობის კანონის ამოქმედებაზე გავაკეთებ, რომელმაც იმ ნჯო-ების კვაზი პოლიტიკური მიზნები უნდა გამოავლინოს, რომელთა რაოდენობა ქვეყანაში 25 ათასს აღწევს. მათი წლიური ჯამური დაფინანსება 400 მილიონ ლარს შეადგენს, რაც საკმარისია იმისთვის, რომ ქვეყანაში პოლიტიკური ლანდშაფტის, კლიმატის შეცვლა სცადონ. ეს კი არავითარ შემთხვევაში არ უნდა დავუშვათ. ამისთვის ყველა ღონე უნდა ვიხმაროთ, კანონის ამოქმედებას გვერდში ამოვუდგეთ და ქართულ საზოგადოებაში შეტივტივებული პარაზიტების მაქსიმალური ლუსტრირება მოვახდინოთ, რომლებიც უცხო ქვეყნიდან უხვად ფინანსდებიან და მისი დახმარებით ხელისუფლების რევოლუციური გზით შეცვლას ცდილობენ.

რაც შეეხება „თავისუფლების მოედანს“, ის, ალბათ, მალე „პურის მოედნად“ გადაკეთდება. ამ ორგანიზაციის უკან ლევან ცუცქირიძე დგას. ეს არ არის ხელწამოსაკრავი ორგანიზაცია, თუ იმ დაფინანსების წყაროს მასშტაბებს განვიხილავთ, რომლის უკან ძალიან სერიოზული საფინანსო ინსტიტუტები მოიაზრება. ლევან ცუცქირიძე გახლდათ ორგანიზაცია „მრავალპარტიული დემოკრატია საქართველოში“ ხელმძღვანელი. იგი, ფაქტობრივად, საკმაოდ ბევრი პოლიტიკური პარტიის კურატორი იყო ფინანსური უზრუნველყოფის საკითხში. დღეს, როგორც ჩანს, მან ბრძანება მიიღო, რომ პოლიტიკური აქტორი თავად გახდეს და შემოიკრიბა კიდეც გარკვეული ძალები, ვისთან ერთადაც მრავალპარტიული დემოკრატიის ანტურაჟის შექმნას ცდილობს. დღეს ეპოქალური, საპასუხისმგებლო მნიშვნელობის არჩევნების წინ, უნდა გავითვალისწინოთ ის გეოპოლიტიკური ქარტეხილები, რომლის წიაღშიც საქართველოს უწევს, ამ გამოწვევებს გაუძლოს, რათა ქართული დემოკრატია გადარჩეს. ქართველების დიდ ნაწილს აქვს მოლოდინი, რომ საქართველოსთან მიმართებით ძალმომრეობითი, ჰეგემონური დამოკიდებულება დასრულდება. საქართველო შეძლებს თავისი სუვერენიტეტის დაცვას, დემოკრატიის გაძლიერებას, რამაც ჩვენი ქვეყანა სამშვიდობოზე უნდა გაიყვანოს.

თამარ შველიძე

# ანაკლიის პორტის აშენება გლობალური ინტერესების კვეთაზეა



*გვესაუბრება ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიური დოქტორი, სსუ-ის პროფესორი ᲘᲣᲠᲘ ᲙᲐᲙᲐᲡᲥᲣᲐ:*

**— ბატონო იური, „ქართული ოცნების“ სიის წარდგენისას ბიძინა ივანიშვილმა ჩინეთს სტრატეგიული პარტნიორობისთვის მადლობა გადაუხადა. ეკონომიკური თვალსაზრისით რით არის მნიშვნელოვანი საქართველოსთვის ჩინეთთან პარტნიორობა?**

— ჩინეთთან ურთიერთობის შესახებ დიდი ხანია, ბევრი ქილიკობს. მათი გონსაწიერი უმეცრებას ვერ გასცდა. ოპონენტს უნდა ესმოდეს, რომ ჩინეთი მსოფლიოს უძლიერესი ეკონომიკის, გაცხადებული უკიდეგანო ინჟინრული ფანტაზიის, განუსაზღვრელი შესაძლებლობების, უმდიდრესი კულტურის, ტრადიციებისა და საოცრებების ქვეყანაა. ამერიკის, ევროპის, აზიის სახელმწიფოებისა და რუსეთის „მბჟუტავ“ დიდებას ჩინეთის ინტელექტუალურმა პოტენციალმა დიდი ხანია, გადაასწრო. ასეთ გიგანტთან პარტნიორული ურთიერთობა, ყველა განზომილებითა და ნიშნით, მხოლოდ პოზიტიურად უნდა აღიქმებოდეს.

ჩვენ უნდა გვესმოდეს, რომ ნებისმიერ ქვეყანას, მით უფრო, ზესახელმწიფოებს თავიანთი ინტერესები გააჩნიათ და აქ გასაკვირი არაფერია. მთავარი ის არის, რომ ჩვენ ეს ინტერესები გავაცნობიეროთ და გარდაუვალ ინტეგრაციულ პროცესებში საკუთარი მიზნების თანხვედრით წარვმართოთ. მოვლენათა განვითარებას სწორედ აქედან უნდა შევხედოთ - რა სარგებელს მივიღებთ ამ ურთიერთობიდან.

საქართველოსთვის ჩინეთთან ეკონომიკური პარტნიორობის კუთხით რამდენიმე გარემოებაა მიმზიდველი: სავაჭრო ურთიერთობები, რომელთა გაძლიერებაც საექსპორტო პოტენციალს გაზრდის და ქვეყნის ეკონომიკის სტაბილურობას ხელს შეუწყობს; ინვესტიციები — ჩინური კომპანიების კაპიტალი აქტიურად ჩაერთვება ინფრასტრუქტურულ პროექტებში, ენერგეტიკაში, ტრანსპორტსა და სხვა რეალურ სექტორში - ეს კი ქვეყნის ეკონომიკას ნამდვილად განავითარებს და ახალ სამუშაო ადგილებს გააჩენს; გეოპოლიტიკური პოზიციონირება — ჩინეთთან პარტნიორობა, საქართველოს შესაძლებლობას მისცემს, გლობალურ ეკონომიკურ სისტემაში თავისი პოზიციები განამტკიცოს და საკუთარი სტრატეგიული მიზნები განახორციელოს; ტექნოლოგიური განვითარება — ჩინეთთან თანამშრომლობა, ნიშნავს ტექნოლოგიური ინოვაციების მიღებას და კონკურენტუნარიანობის გაზრდას; კულტურული და საგანმანათლებლო ურთიერთობები — ჩინეთთან ურთიერთობის გაძლიერება ხელს შეუწყობს კულტურულ და საგანმანათლებლო გაცვლებს, რაც საქართველოს განათლების სისტემას და კულტურულ დიალოგს გაამდიდრებს.

ასე რომ, ჩინეთთან ეკონომიკური პარტნიორობა საქართველოსთვის ეკონომიკური, ტექნოლოგიური და გეოპოლიტიკური განვითარების უნიკალურ შესაძლებლობას წარმოადგენს.

**— კონსორციუმში, რომელმაც ანაკლიის პორტი უნდა ააშენოს, ჩინეთის ოთხი სახელმწიფო კომპანიაა ჩართული. რას ნიშნავს ჩინეთის სახელმწიფო კომპანიების სტრატეგიულ პროექტში ჩართვა საქართველოსთვის და როგორ უყურებთ ამ კომპანიების ანაკლიის პორტის მშენებლობაში მონაწილეობას?**

— ჩინეთის სახელმწიფო კომპანიების ანაკლიის პორტის მშენებლობის სტრატეგიულ პროექტში ჩართვა საქართველოს ეკონომიკასა და განვითარებაზე გავლენას რამდენიმე მიმართულებით ახდენს. კერძოდ, ამით საქართველოს აქვს შესაძლებლობა, მიიღოს მნიშვნელოვანი ინვესტიციები და დაფინანსება: — ჩინეთის სახელმწიფო კომპანიებს, როგორც წესი, სოლიდური ფინანსური რესურსები გააჩნიათ. მათი მონაწილეობა ნიშნავს, რომ პროექტს ექნება საჭირო დაფინანსება, რაც ამცირებს ფინანსურ რისკებს და უზრუნველყოფს პროექტის დროულ შესრულებას; ტექნოლოგიური ცოდნა და გამოცდილება — ჩინეთის კომპანიები აღიარებულნი არიან თავიანთი ინფრასტრუქტურული პროექტების წარმატებით შესრულების გამო. მათი გამოცდილება და ტექნოლოგიური ცოდნა პორტის მშენებლობაში უზრუნველყოფს მაღალი ხარისხისა და ეფექტური ინფრასტრუქტურის შექმნას; გეოპოლიტიკური მხარდაჭერა — ჩინეთის სახელმწიფო კომპანიების მონაწილეობა, აღიქმება, როგორც ჩინეთის სახელმწიფოს მხარდაჭერა საქართველოს სტრატეგიული პროექტებისთვის. ეს ზრდის საქართველოს გეოპოლიტიკურ მნიშვნელობას და აძლიერებს ორ ქვეყანას შორის ურთიერთობებს: სავაჭრო და ლოგისტიკური ინსტრუმენტები — ანაკლიის პორტი, როგორც რეგიონული სატრანსპორტო ჰაბი, მნიშვნელოვან როლს ითამაშებს ტრანსპორტისა და ლოგისტიკის სფეროში. ჩინეთის კომპანიების ჩართვა ამ პროექტში უზრუნველყოფს სავაჭრო გზების დივერსიფიკაციას და საქართველოს პოზიციონირებას, როგორც ცენტრალური კავშირის პუნქტისა, ევრაზიის რეგიონში.

**— კონსორციუმს, რომელიც აშშ-ის მიერ სანქცირებულია, მსოფლიოს არაერთ ქვეყანაში დარღვევებს ედავებიან და „სესხის ხაფანგის“ პოლიტიკის გამტარად მიიჩნევენ. რა გსმენიათ ამ კომპანიების თაობაზე?**

— ჩინეთის სახელმწიფო კომპანიებზე, რომლებიც მონაწილეობენ საერთაშორისო ინფრასტრუქტურულ პროექტებში, მართლაც არაერთგვარი შეხედულება არსებობს. რაც შეეხება უმთავრესად მათ საქმიანობას და პოლიტიკას, ჩინეთის ზოგიერთი სახელმწიფო კომპანია ნამდვილად არის აშშ-ის მიერ სანქცირებული სხვადასხვა მიზეზის გამო. მათ მიეწერებათ გარემოსდაცვითი სტანდარტების დარღვევები, შრომითი პირობების უგულებელყოფა, პროდუქციის დაბალი ხარისხი, შორს გამიზნული გარიგებები. არც „სესხის ხაფანგის“ გამოყენებაა გამორიცხული. ეს მათი ბიზნეს-პრაქტიკების მიმართ ეჭვებს აჩენს, პროექტების სოციალურ და ეკოლოგიურ რისკებს ზრდის. მაგრამ, როგორც ვთქვი, ყველას საკუთარი ინტერესი გააჩნია და ეს შენ სასარგებლოდ უნდა ამუშავო და არ მოტყუვდე. ანაკლიის პორტის პროექტში ჩინეთის სახელმწიფო კომპანიების მონაწილეობა ასევე, მოიცავს ამ რისკებს. თუმცა, მათი ტექნიკური და ფინანსური რესურსები შეიძლება პროექტის წარმატებისთვის ძალიან მნიშვნელოვანი და საჭირო იყოს. მთავარია, რომ საქართველოს ხელისუფლებამ და კონსორციუმმა მკაცრად გააკონტროლონ და პროექტის შესრულების პროცესზე მონიტორინგი მოახდინონ, რათა შესაძლო ეკონომიკური და ეკოლოგიური რისკები თავიდან აიცილონ.

უკრაინაში მიმდინარე ომის გამო შემოღებული სანქციების მიმართ მკაცრად კრიტიკული პოზიცია გამაჩნია - ეს არის ყველაზე დიდი სიბრიყვე, რაც მისმა დამწესებლებმა ჩაიდინეს. ამით არც ომი შეჩერებულა და არც რუსეთი დასუსტებულა, სამაგიეროდ, სამხედრო კომპლექსთან დაკავშირებულ კომპანიებს ხელსაყრელი გარემო შეექმნათ, მსოფლიოს მოსახლეობამ კი უკიდურესად იზარალა. ამ პოზიციიდან გამომდინარე, რომელიმე კომპანიის სანქცირებას მათი საქმიანი რეპუტაციის უარყოფით მახასიათებლად არ განვიხილავ (ეს მხოლოდ სკანდალებისა და დაპირისპირებათა გაგრძელების მომხრეთა საზრდოა). ზუსტ ინფორმაციას არ ვფლობ, თუმცა მე ამერიკის მიერ ამ კონსორციუმის სანქცირების შესახებ ინფორმაცია შეთხზული და ამ პროექტის დისკრედიტაციისკენ მიმართული მგონია. სარწმუნოდ მიმაჩნია ეკონომიკის მინისტრისა და პრემიერის განცხადება მთლიანად კონსორციუმის სანქცირებულთა სიაში არყოფნასთან დაკავშირებით. გარდა ამისა, ეს ალოგიკურადაც მეჩვენება, რადგან ამ ჩინურ-სინგაპურულ კონსორციუმში რამდენიმე ამერიკული მსხვილი კომპანია მონაწილეობს.

**— დანიგანმა ერთ-ერთი შეხვედრისას ხელისუფალთ ჰკითხა: რატომ უნდა გააღრმავოთ ეკონომიკური კავშირი იმ პარტიასთან, რომელიც თქვენს ოკუპანტს აფინანსებსო. საქმე ის არის, რომ აშშ-ის ელჩის მტკიცებით, „ჩინეთის კომუნიკაციების მშენებლობის კომპანიაში“ წილების უმრავლესობას ჩინეთის კომუნისტური პარტია ფლობს და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა რუსეთის სამხედრო მანქანის ნომერ პირველი ბანკირი და დამფინანსებელია. ჩინეთის საელჩოში ამას აბსურდული, შეუსაბამო ფაქტი უწოდეს. რას ემსახურება ამერიკის ელჩის განცხადება? მშენებლობის დაწყების შემთხვევაში რა პრობლემა შეიძლება შეიქმნას დასავლეთის მხრიდან?**

- ამერიკის ელჩის განცხადება, რომელიც ხაზს უსვამს ჩინეთის კომუნიკაციების მშენებლობის კომპანიისა და ჩინეთის კომუნისტური პარტიის კავშირებს, რამდენიმე მიზანს ემსახურება. ესენია: გეოპოლიტიკური ზეწოლა — აშშ ცდილობს, ჩინეთზე და მსოფლიოს სხვადასხვა რეგიონში მის გავლენაზე გეოპოლიტიკური ზეწოლა გააძლიეროს. ეს უფრო ფართო სტრატეგიის ნაწილია, რომელიც საერთაშორისო დონეზე ჩინეთის გავლენის შემცირებას ისახავს მიზნად; სტრატეგიული პარტნიორობის შენარჩუნება — აშშ-ს სურს, რომ მისი სტრატეგიული პარტნიორები, მათ შორის, საქართველო, შეინარჩუნოს, ან გააძლიეროს კავშირები დასავლეთთან და ისეთი ნაბიჯები არ გადადგას, რაც ჩვენს ქვეყანას ჩინეთთან და რუსეთთან დააახლოვებს; უსაფრთხოების საკითხები — ამერიკის ელჩის განცხადება ასახავს აშშ-ის შეშფოთებას ჩინეთის კომპანიების მონაწილეობის გამო სტრატეგიულ ინფრასტრუქტურულ პროექტებში, რაც უსაფრთხოების რისკებს შეიცავს, მათ შორის, ინფორმაციულ და ტექნოლოგიურ საფრთხეებს.

ელჩის განცხადება იმის მომასწავებელია, რომ, მშენებლობის დაწყების შემთხვევაში, შესაძლოა, დასავლეთის მხრიდან პროექტის მონაწილე კომპანიებზე ან ინდივიდუალურ პირებზე, რომლებიც ჩინეთის კომპანიებთან ერთად ანაკლიის პორტის მშენებლობაში არიან ჩართულნი, სანქციები დააწესონ; დასავლეთმა შესაძლოა, საქართველოზე ეკონომიკური ზეწოლა გააძლიეროს, რაც გამოიხატება სავაჭრო შეზღუდვებში, ფინანსური დახმარების შემცირებაში, ან სხვა ეკონომიკურ სანქციებში. ამერიკის ელჩის განცხადება ასევე მიუთითებს იმაზე, რომ პროექტის განხორციელებამ შეიძლება, უარყოფითად იმოქმედოს საქართველოსა და დასავლეთის ქვეყნებს შორის დიპლომატიურ ურთიერთობებზე, რაც საერთაშორისო თანამშრომლობას და დახმარებას ართულებს.



ცხადია, ანაკლიის პორტის აშენება გლობალური ინტერესების კვეთაზეა და დაპირისპირებების გავლენისგან დაზღვეული არ არის. მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ საქართველომ არ იმოქმედოს და მის წილ ზეცაზე „საავდრო ღრუბლების“ გაფანტვას დაელოდოს. იმედი მაქვს, რომ საქართველოს ხელისუფლებას გარემოებათა სიმწვავე აღქმული აქვს და ანაკლიის პორტის პროექტის განხორციელებას სიფრთხილით წარმართავს, რათა დასავლეთთან შესაძლო პრობლემები თავიდან აიცილოს და საერთაშორისო ურთიერთობებში ბალანსი შეინარჩუნოს.

**ᲗᲐᲛᲐᲠ ᲨᲕᲔᲚᲘᲫᲔ**

(ᲓᲐᲡᲐᲡᲠᲣᲚᲘ
ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲜᲝᲛᲔᲠᲨᲘ)

# მხატვრულად გაფორმებული პრეზერვატივების წარმოება, ანუ ანანიას „ბიზნეს-ჰობი“



2021 წლის 22 აგვისტოს თავის სატელევიზიო გადაცემაში, ბატონ გია გაჩეჩილაძეს მოწვეული ჰყავდა თავისივე მოგვარე, შეიძლება ნათესავიც, აწ გახმაურებული მხატვრული პრეზერვატივების მწარმოებელი „ბიზნესმენი“, ვინმე ანანია გაჩეჩილაძე. ამ ბოლო დროს აღარაფერი მიკვირს, მაგრამ ასეთი თავხედი, უწიგნური და გაუნათლებელი, უკაცრავად პასუხია და, „გოგოშკა“, ტელეეკრანიდან რომ გვმოძღვრავდეს და ჭკუას გვარიგებდეს, იშვიათი შემთხვევაა.

ბატონო გია, ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, მათ შორის შენს ნიჭსაც, მარტო იმიტომ გცემთ პატივს, რომ ჩემი მეგობარი დათო თევზაძის დისშვილი ბრძანდებით. გულწრფელად გეუბნებით, ნამდვილად არ ღირდა მაგ ქალბატონის გადაცემაში მოწვევა. ძალიან ვწუხვარ, რომ თქვენმა ძალისხმევამ და მცდელობამ, ჭეშმარიტების გზასაცდენილი ეს „ენჯეოშნიკი“ ქალბატონი, როგორმე მოგეტრიალებინათ და ჭეშმარიტების გზაზე დაგეყენებინათ, შედეგი არ გამოიღო და ამდენი შრომა წყალში ჩაგეყარათ. ეს ის შემთხვევაა, როცა მგლის თავზე სახარებას კითხულობენ და ყორანის გათეთრებას ამაოდ ცდილობენ. სამწუხაროდ, ეს ხომ ერთეული შემთხვევა არ არის, როცა ევროპის მიმბაძველი და ზედმეტად გაევროპელებული უნიჭო ახალგაზრდები, თავის გამოჩენისა და იაფი პოპულარიზაციისათვის უკან არაფერზე იხევენ, სულს ეშმაკზე ჰყიდიან.

ქ-ნი ანანია გვმოძღვრავს და, ფაქტობრივად, მთელ ქართველ ხალხს, ბნელ, ჩამორჩენილ და საბჭოთა კავშირში ჩარჩენილებად გვნათლავს. მისი ზნეობრივი მხარე იმ დონეზე ეცემა, რომ აცხადებს, „სულ ფეხებზე მკიდია ვინც ჩემზე რაიმე ცუდს იტყვის, ვისაც არ მოვწონვარ და ნერვები ეშლება ცივი წყალი დალიოსო“.

ვაი შენს პატრონს, ანანია, „მაგარი გოგო ხარ“. ჩვენ კი დავლევთ ცივ წყალს, მაგრამ შენ რა გეშველება, საკითხავი აი, ეს არის. შეყვარებული მყავდა, მაგრამ ახლა აღარ მყავსო, დანანებით განაცხადა ქ-ნმა ანანიამ. ეგრეც იქნება, ჩემო ანანო, დარწმუნებული ვარ, არცერთი ნორმალური ქართული ოჯახი შენნაირ რძალს ნამდვილად არ ისურვებს და სახლში არ შემოუშვებს. ისე გულს ნუ გაიტეხ და იმედს საბოლოოდ ნუ გადაიწურავ, ალხანას ჩალხანა არ დაელევა და, როცა იქნება, შენი შესაფერი სასიძოც გამოჩნდება.

გადაცემა სრულად არ მინახავს, მაგრამ რა ნაწილიც ვნახე, იმ მონაკვეთშიც ქ-ნმა ანანიამ საბჭოთა კავშირი ერთი სამჯერ მაინც მოიხსენია კნინებით ფორმაში. იმდენიც არ იცის, რომ საბჭოთა კავშირისა და რუსეთის გინებამ, დრო მოჭამა და აღარ მუშაობს, მით უმეტეს, გმირად წარმოჩენისა და იაფი პოპულარიზაციისათვის უკვე აღარ გამოდგება. მეორეც, **იცის კი, ამ პატარა გოგომ, რა იყო საბჭოთა კავშირი? სწორედ შენნაირი უწიგნური ინტელიგენცია ჰყავდა საბჭოთა კავშირს? ზუსტად შენი დონის პროფესიონალებმა შექმნეს ატომური ბომბი და „პრეზერვატების წარმოებით“ მოახდინეს ქვეყნის ინდუსტრიალიზაცია? გაიმარჯვეს მეორე მსოფლიო ომში და მსოფლიო იხსნეს ფაშიზმის ყავისფერი ჭირისგან?** საბჭოთა კავშირი რომ არ ყოფილიყო და ხელისუფლებაში კომუნისტები, ჩემო ანანო, ყველაფერი ზემოთჩამოთვლილი და კიდევ უამრავი მიღწევები არ იქნებოდა.

**ჩემი მასწავლებელი და აღმზრდელი, ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი, ქალბატონი თამარ გაჩეჩილაძე, შენი ლამაზი გვარის სიამაყე და მშვენება იყო, შენ კი ამ გვარის სირცხვილი და თავისმომჭრელი არსება ბრძანდებით.** ტყუილად კი არ არის ნათქვამი, „კარგი შვილი მშობლების მაქებარია, ცუდი კი მაგინებელიო“. ეკრანიდან მედიდურად და უტიფრად გამოიყურებოდი და ყველანაირად ცდილობდი, თავი უაღრესად სექსუალურ, განათლებულ და ტვინით თავდამძიმებულ პიროვნებად წარმოგეჩინა, მაგრამ ეს ყალბი ჭკვიანი ქალის იმიტაცია, უმალ ქრებოდა, როგორც კი ეკრანზე შენი მსუბუქად მოქანავე ცარიელი და ამჩატებული თავი გამოჩნდებოდა. რაც შეეხება შენს სექსუალობას, შემდგომში ტელევიზიით გამოსვლისას ეცადე, ცოტა უფრო გრძელი კაბა ჩაიცვა, რომ მუხლებს ცოტა მაინც ჩამოსცდეს და შენი შიშველი ბარძაყები სანახევროდ მაინც დაფაროს.

ძალიან ცუდ ქვეყანაში ვცხოვრობთო. ამაში მართალი ხარ, მაგრამ სამწუხაროდ, ეს „ცუდი ქვეყანა“ შენნაირი გაუკუღმართებული და ზერელე აზროვნების მქონე ადამიანების მიერაა შექმნილი და, ყველაფერი მათი ბრალია და არა საბჭოთა კავშირის. კარგ ქვეყანაში რომ იცხოვრო, არა უცხო ქვეყნის მსახური და მათი ინტერესების გამტარებელი რენეგატი, არამედ შენი ქვეყნის პატრიოტი და მისი ინტერესების დამცველი მებრძოლი უნდა იყო, ეკონომიკა უნდა შექმნა და ქვეყანა გააძლიერო. ეკონომიკა კიდევ პრეზერვატივების წარმოებითა და ამერიკა-ევროპის ხელშემყურე, იქნებ, რაიმე გროშები გადმოგვიგდონო, არ იქმნება. ეკონომიკის აღმავლობას, ფაბრიკა-ქარხნების მშენებლობა, სოფლის მეურნეობის აღორძინება და ამ საქმის მცოდნე პროფესიონალი კადრები სჭირდება, რაც ისე დეფიციტია ჩვენს ქვეყანაში, რომ ამ მიმართებით, დღევანდელი შესაძლებლობებიდან გამომდინარე, კონკურენტუნარიანი პროდუქციის წარმოება და ევროპის ბაზრის უმნიშვნელო სეგმენტის მოპოვებაც კი ძალიან გაგვიჭირდება.

ქ-ნო ანანია, დიდი სიამაყით რომ აცხადებ, ასეთ პროექტებში კვლავაც დიდი სიამოვნებით მივიღებ მონაწილეობასო, ნუთუ ერთი წუთით მაინც არ დაფიქრებულხარ, რატომ აფინანსებენ ასეთ პროექტებს უცხო ქვეყნის სხვადასხვა ორგანიზაციები? შენ რა, სერიოზულად გჯერა, რომ ისინი ჩვენზე ზრუნვით აღარ არიან და დღე და ღამე იმაზე ფიქრობენ, რომ ქართველების კეთილდღეობას არაფერი მოაკლდეს და აყვავებულ ქვეყანაში ვიცხოვროთ? შენ თუ არ იცი, მე შეგახსენებ ამერიკელების საყვარელ გამოთქმას: „უფასო სადილი არ არსებობს“ და „უფასო ყველი მხოლოდ სათაგურშია“, რაშიც აბსოლუტურად მართლები არიან და ამ პრინციპით ცხოვრობენ კიდეც. ასე რომ, მსოფლიოში უფასო არაფერია და ყველაფერს თავისი ფასი აქვს, მათ შორის, იმ პროექტებსაც, რომლებსაც ისინი აფინანსებენ. მსოფლიოში ერთადერთი ქვეყანა საბჭოთა კავშირი იყო, სადაც ბევრი რამ, მათ შორის განათლება, სამედიცინო მომსახურება, საცხოვრებელი ფართობით უზრუნველყოფა და ბევრი სხვა, ხალხისათვის მართლა უფასო იყო, მათ შორის, შენი წინაპრებისთვისაც. სწორედ ეს ვერ აპატიეს მას და, დიდი მცდელობის შემდეგ, ხელისუფლების უმაღლეს ეშელონებში მოკალათებული მოღალატეების დახმარებითა და ხელისშეწყობით მიაღწიეს მიზანს და დაშალეს კიდეც. ახლა კი, „დაყავი და იბატონეს“ პრინციპით, არხეინად განაგრძობენ ამ დაშლილი ქვეყნების ძარცვას და, მათი გაღატაკების ხარჯზე კიდევ უფრო გამდიდრებას. საყოველთაოდ ცნობილია, რომ მუსიკას ის უკვეთავს, ვინც ფულს იხდის. ახლა შენ როგორ ფიქრობ, ამერიკა, ან ევროპა ფულს იხდის და ის ჩვენთვის სასიამოვნო მოსასმენ მუსიკას, „სულიკოს“, „ჩაკრულოსა“ და „მრავალჟამიერს“ შეუკვეთავს? ისინი ისეთ მუსიკას უკვეთავენ, რომელიც მათ ყურს ესალბუნება და და მათ ინტერესებში შედის. იმ პროექტების დაფინანსებით, ანუ თქვენთვის გროშების გადმოგდების საფასურად, ასმაგ სარგებელს ნახულობენ, გაიძულებენ მათი ინტერესები გაატაროთ და მათი მონა-მორჩილი იყოთ. ვინც კი საბჭოთა კავშირზე და რუსეთზე რაიმე კარგს, უფრო სწორად, სიმართლეს იტყვის, მაშინვე რუსეთის აგენტად და პუტინის მონებად ნათლავთ, ამერიკა-ევროპის მონობა კი ღირსეულ საქმედ მიგაჩნიათ. მონა, მონაა და იგი ყოველთვის მონური მსოფლმხედველობით, ფეხებზე ჩაცუცქული, პატრონის ხელის შემყურე ლუკმის გადმოგდების მოლოდინში ცხოვრობს. რატომღაც არ მჯერა, რომ, რასაც ლაპარაკობთ, ამის გულწრფელად გჯერა, არ ტოვებთ ასეთი მიამიტი და გულუბრყვილო გოგონას შთაბეჭდილებას. ასე იმიტომ იქცევი, რომ თქვენ უცხოელ მარჩენალ პატრონს ასიამოვნო, მისი ინტერესები დაიცვა და ამაში გროშების სახით გადმოგდებული სარგებელი ნახო. აი, ესაა ყველაზე დიდი უბედურება, როდესაც შენი ხალხის მრავალსაუკუნოვანი ტრადიციებისა და ღირსების დაცვის ნაცვლად, შენი თამადობით, ჩემო ანანო, ყალბ ევროპულ ფასეულობებს გამოკიდებული ქართველი ახალგაზრდობის ნაწილი, სულს ეშმაკზე ჰყიდის და მცირე სარგებლის სანაცვლოდ, ყველაფერზე მიდის. სამწუხაროდ, ამ ტენდენციამ ახალგაზრდობაში ისე მყარად მოიკიდა ფეხი, რომ მისი დაძლევა მომავალში უფრო და უფრო გაძნელდება.

ქ-ნო ანანია, კიდევ ბევრი რამის თქმა შეიძლებოდა, მაგრამ ამჟამად აქ შევჩერდები, იმედია, გონებას მოუხმობ, ბატონი გიას გადაცემას განმეორებით ნახავ და დასკვნებს ისე გამოიტან. ჩემი წერილის მიზანიც ისაა, რომ იოლი ავტორიტეტისა და უშრომელად კარგი ცხოვრებისაკენ მიდრეკილი ახალგაზრდების ზერელე აზროვნება საღი აზროვნებით შევცვალო და მათი ილუზიები იმის შესახებ, რომ ამერიკა-ევროპა ოქროს კოშკებს დაგვიდგამს და უზრუნველად ვიცხოვრებთ, დავამსხვრიო. ჩვენმა ახალგაზრდა თაობამ ღირსეულად უნდა იცხოვროს, მაგრამ არა სხვისმა ხელის შემყურემ და მათი გადმოგდებული გროშების საფასურად, არამედ თავიანთი სწავლით, ნიჭისა და ალალი შრომით უნდა მიაღწიონ დასახულ მიზანს, რისი უნარი და შესაძლებლობაც მათ ნამდვილად გააჩნიათ.

ომარ გოცაძე
ტელ: 555 33 55 36

**P.S. ეს წერილი ზუსტად სამი წლის წინ დაიწერა, მაგრამ რაღაც მიზეზების გამო დღემდე არ დაბეჭდილა. ეს ქალბატონიც აღარსად ჩანდა და ვიფიქრე, ეტყობა, წლებთან ერთად ჭკუაც მოემატა, შეყვარებულიც გამოუჩნდა და ცოტა დაწყნარდა-მეთქი. თურმე შენც არ მომიკვდე, ამ ხნის განმავლობაში მასში სასიკეთოდ არაფერი შეცვლილა. როგორც ბატონმა ირაკლი კობახიძემ თავის ერთ-ერთ გამოსვლაში განაცხადა, უფრო აგრესიული გამხდარა და გამჭირვალეობის კანონის მიმღებ ერთ-ერთ დეპუტატს დასხმია თავს. როგორც ჩანს, ეს აგრესია იმითაა გამოწვეული, რომ ამ კანონის ამოქმედების შემდეგ, უცხოეთიდან მის დაფინანსებასაც, დიდი ალბათობით, საშიშროება დაემუქრება და შეიძლება, შეუწყდეს კიდეც.**

**ეჰ, ჩემო ანანო, სანამ უნდა იყო სხვისი დაფინანსების ხარჯზე და, სხვისგან გადმოგდებული გროშების სანაცვლოდ, შენი ქვეყნის გამყიდველი და, სხვა ქვეყნის ინტერესების გამტარებელი შენს საკუთარ ქვეყანაში. ღმერთო, შენ უშველე ჩვენ გაჭირვებულ ქვეყანას და დაიცავი, ამდენი სხვა ქვეყნის ინტერესების დამცველი ჭიანჭველებივით მომრავლებული „ჭინკა-ეშმაკი“ ენჯეოებისაგან.**

**ძვირფასო რედაქცია, იქნებ, დაბეჭდოთ ეს წერილი და ქართველმა საზოგადოებამ გაიგოს, ვინ არის და რა მიზნები ამოძრავებს ამ ქალბატონს. ან იმ მხატვრულად გაფორმებულ პრეზერვატებში რამდენი გადაუხადეს უცხოელმა დამფინანსებლებმა, რის საფასურადაც ამდენი ქართული სიწმინდე შებილწა.**



„საერთო გაზეთის“ სტუმარია ომის ვეტერანი, მილიციის გადამდგარი მაიორი. ბატონი ავთანდილ შველიძე, რომელიც აჭარაში დახურული ხეობების შესახებ 2024 წლის „საერთო გაზეთი“ N4-ში გამოქვეყნებულმა წერილმა მოიყვანა რედაქციაში.

როგორც ბატონმა ავთანდილმა თქვა, ყანაში მუშაობის დროს გადააწყდა პატარ-პატარა სხმულებს, რომელიც მეტეორიტები ეგონა და შესამოწმებლად თბილისში ჩამოიტანა. როგორც ჩანს, მისი რომელიღაც წინაპარი ფოლადს ადნობდა და ნაღვენთის ნარჩენები, წიდა აღმოჩნდა, რომელმაც, როგორც არტეფაქტმა, ხარაგაულის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში დაიდო ბინა.

ბატონი ავთანდილი საკმაოდ ენაწყლიანი აღმოჩნდა. ვფიქრობ, მკითხველისთვის საინტერესო საუბარი გვქონდა...

# კოზმანისა და დამიანეს სალოცავიდან „დევის ხვრელამდე“...

— უძველესი თავდაცვითი ნაგებობები შენდებოდა ისეთ ადგილებზე, სადაც იყო ბუნებრივი სამალავები, ჩასასვლელ-გასასვლ-გადასასვლელები, უპირველესად მდინარესთან ჩასასვლელი. დახედეთ რუკას, უბისი უბესავით არის, ამიტომ დაარქვა გრიგოლ ხანძთელმა „უბეი“. აქ, ტაძართან XI საუკუნის ნაგებობაა, ბერების ოთხსართულიანი კოშკი, რომლის ძირში ამოქოლილი თაღია.

1965 წელი იყო, მე-10 კლასში ვიყავი, ექსკურსიაზე რომ წაგვიყვანეს უბისაში. მაშინ წირვა-ლოცვა არ აღევლინებოდა და საეკლესიო არც არაფერი ხდებოდა, იდგა ეკლესია, როგორც შენობა დაბინძურებული ღამურების საცხოვრისად. ერთი მოხუცი კაცი იყო მხოლოდ, მნათედ აღვიქვი. ეს ნაგებობა მე ძვალთსაცავი მეგონა და კითხვები გამიჩნდა ბაბუსთან. საოცარი რამ მითხრა — ამ თაღიდან კოზმანისა და დამიანეს სახელზე აგებულ სალოცავამდე ექვს კილომეტრიანი გვირაბი გადისო.

**— რა საინტერესოა... ახლა თვალით გავჭერი გვირაბი უბისადან „კოზმანამდე“ და ძალზე უცნაურად მეჩვენა — გვირაბის გაჭრის მიზანს ვერ ჩავწვდი...**

*ჩანართი: ორივე სალოცავი სიმაღლეზეა. გვირაბი მიწისქვეშეთში გადის. „მნათეს“ ნათქვამში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მაქვს, მხოლოდ დანამდვილებით მინდა ვიცოდე, მართლა არის თუ არა მათი დამაკავშირებელი გვირაბი.*

*საქართველოს მიწისქვეშეთი, მიუხედავად იმისა, რომ დაქსელილია ვითომ არსადმიმავალი გვირაბებით, შეუსწავლელია. საინტერესოა, რატომ უნდა გაეწიათ ამხელა შრომა — უბისადან ჯერ დაბლა უნდა ჩახვიდე, შემდეგ სწორზე იარო და ისევ მაღლა უნდა ახვიდე. ასეთ მოცემულობაში ხელით გვირაბის თხრა რა გარდაუვალი აუცილებლობით იყო გამოწვეული ნეტავ?*

*წმინდა უვერცხლონი კოზმასა და დამიანეს სახელობის სალოცავს (ამაშუკეთი) IV საუკუნის ნაგებობად მოიხსენიებენ. გავრცელებული თქმულების მიხედვით, ამ ადგილზე წარმართულ ეპოქაში მთვარის სამლოცველო ყოფილა. როდესაც საქართველოში ქრისტიანობა დამკვიდრდა, სამლოცველოს ადგილზე პატარა სალოცავი აუგიათ.*

*სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი და მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსი (1927-1932 წ.წ) ქრისტეფორე ციცქიშვილი აღნიშნავდა, რომ დღესასწაულები, როგორიცაა კოზმობა, ტბეთობა, ვარდობა, ოქონობა, ხალარჯობა და ა.შ. სავარაუდოდ, წინარექრისტიანული პერიოდიდან იღებს სათავეს. იმ დროს ორშაბათი უქმე დღედ ცხადდებოდა. ის, რომ კოზმობის დღესასწაული ორშაბათობით აღინიშნება, სწორედ ძველისძველ წინარექრისტიანულ ტრადიციაზე მიანიშნებს.*

*სალოცავი პატარა, მოკრძალებული ზომისაა. აგებულია თლილი სალი ქვისგან, რომელსაც აღმოსავლეთით უძირო კლდე გასდევს. ტაძრის გარშემო სამჯერ შემოვლის ტრადიცია დღემდე არსებობს. თქმულების მიხედვით, აქ თამარ მეფესაც შემოუვლია სამჯერ, ბილიკს ცხენის ნაფეხურები აჩნევია — ამბობენ, რომ ეს მისი ცხენის ნაფეხურებია...*

*გასულ წლებში, კოზმანის სალოცავი ძმები ებანოიძეების თანადგომითა და მოსახლეობის გარჯით, მთლიანად აღდგა. სახიფათო ბილიკს ჯაჭვებიც შემოავლეს...*

*ყოველ კოზმანობაზე (ნოემბერში) სალოცავს უამრავი ადამიანი სტუმრობს და როგორც სასწაულმოქმედ სალოცავს, ჯანმრთელობასა და უშვილო წყვილების გამრავლებას ევედრებიან.*

*ნანული ლურსმანაშვილის ნაამბობი:*

*„დედა ბორითელი მყავდა და ხშირად გვიყვებოდა კოზმანის შესახებ, თუ როგორ შედიოდნენ ბავშვები გამოქვაბულში იქამდე, სანამ ჩირაღდანი არ ქრებოდა და ა.შ... გვიყვებოდა იმ პატარა ეკლესიაზე, თუ როგორი ძლიერი იყო, ყველაფერს შეგისრულებს, რასაც გულით შესთხოვო.*

*კი იცით, იმ დროს რელიგიური სწავლება როგორ იდევნებოდა და მშობლებიც ბავშვების მალულად ლოცულობდნენ, ასე რომ, ლოცვა და თხოვნა არ ვიცოდი როგორ უნდა მეთხოვა უფლისთვის....*

*მეექვსე კლასში ვიყავი დედა რომ ძალიან ავად გამიხდა, შემოატარეს ყველგან სადაც კი რამეს გაიგებდა მამაჩემი, თავი არ დაუზოგავს, მაგრამ ყველგან დაითხოვეს, მაინც არაფერი ეშველება და სახლში დალიოს სულიო...*

*10 დედმამიშვილი ყავდა დედას და 9 დედმამიშვილი მამას, დიდი სანათესაო გვყავს და მნახველები არ წყდებოდა ოჯახში, ემშვიდობებოდნენ დედას...*

*ერთ დღეს დეიდა მოვიდა ჭიათურიდან, იმ დროს ექიმიც იყო მოსული, მამასთვის უთქვამს ხვალინდელ დღეს ვერ გადააცილებსო. მამას უნდოდა თურმე, რომ მე არ მეყურებინა დედის სიკვდილისთვის და დეიდასთვის უთხოვია “ეგებ წაიყვანო ხვალ, აქაურობას მოაშორო საღამომდეო”. მოიმიზეზეს ბორითში შინდი დამწიფებულა და წადი საკომპოტედ მოკრიფეო. დილას წავედი დეიდასთან ერთად. როგორც კი კოზმანის ფერდს შევუდექით, მუხლებზე დავიჩოქე, ფორთხვა დავიწყე და ზუსტად ეს სიტყვები წარმოვთქვი: კოზმა და დამიანე ძლიერო, დედაჩემი თქვენს კალთაზე გაზრდილია, გთხოვ გამომიჯანმრთელე და ნუ წამართმევ დედას, მამას მარტო ნუ დატოვებ, არ შემიძლია იმის ყურება, ჩუმად სულ როგორ ტირის-თქო....ამას ვთხოვდი დილის 11 საათზე... მერე ავედით, სანთლებიც დავანთეთ მე და დეიდამ, შინდიც მოვკრიფეთ და საღამოს რომ დავბრუნდი, გზაში ექიმი შემხვდა, მომილოცა და მითხრა, სასწაული მოხდა, დილის 11 საათიდან დედაშენი კარგადაა და ფეხზე დგასო...*

*იმის შემდეგ დედამ 27 წელი იცოცხლა და მამის გარდაცვალებიდან 9 წლის შემდეგ გარდაიცვალა....*




Карстовые массивы Западной Грузии

*ასეთივე სასწაული მეც მომივლინა, როცა ჩემს გადარჩენას ექიმებიც აღარ ფიქრობდნენ.... ასე რომ, რასაც გულით და რწმენით შესთხოვ, აუცილებლად შეგისრულებს...*

*შეგეწიოთ ყველას კოზმანის წმინდა სალოცავი“.*

მე-7 კლასში ვიყავი, 1962-63 წელი იქნებოდა, როდესაც ექსკურსიაზე წაგვიყვანეს კოზმანის სალოცავში. მახსოვს, რომ კოზმანის გამოქვაბულში შესასვლელად უნდა დახრილიყავი. ეს გამოქვაბული მთავრდება „დევის ხვრელით“ (ზედა პალეოლითის ხანის გამოქვაბულია — მ.ჭ.) — ხარაგოულში დევების ქანდაკებები რომ არის, იქ გამოდის.

დახედეთ რუკას, ეს მღვიმე უბისას ტაძართან ერთად მიბმულია ხვამლზე. აქ არის ჩაქსელილი ხარაგაულამდე — უბისიდან გადასასვლელი კოზმანზე და კოზმანიდან დევის ხვრელამდე, დაახლოებით 30 კმ-ია. არ მაქვს ინფორმაცია, რომ ძე-ხორციელი იქ შესულიყო — არ შეიძლებაო.

**— ბატონო ავთანდილ (და ჩემო მკითხველო), დავხედოთ ამ არასრულყოფილ რუკას, რომელსაც ძალიან ვიწუნებ. აგერ არის ხომლი, აგერ არის რიონი, ქუთაისი და აგერ წყალტუბო — იქ რამდენი მღვიმეებია, ყველგან ნამყოფი ვარ და ვერავინ დამაჯერებს, რომ ის მღვიმეები ერთმანეთს არ უკავშირდება...**

— დახედეთ რუკას — კარგად ჩანს მდინარე ყვირილა. უბისაში ჩამოედინება მდინარე ძირულა და უერთდება ყვირილას, მისი მარცხენა შენაკადია. ძირულაში ჩამოედინება ჩემი დედა-მდინარე კვადოურა...

**— ამ რუკაზე არ არის აღნიშნული არც სათაფლია, არც ე.წ. პრომეთეს მღვიმე, რის გამოც ალიაქოთი ავტეხე მღვიმეში, მეთქი, რა პრომეთე? პრომეთე არის ამირანი, რომელიც ბერძნებმა მოგვპარეს ისევე, როგორც ბევრი სხვა რამ. გიდმა დამიყვავა, უცხოელისთვის რომ მარტივად აღსაქმელი იყოს, ასე იმიტომ ვამბობთო.**

**უარესად ავგნიასდი, მეთქი, რა უცხოელი და პრომეთე, სწორედაც რომ ის უნდა გაიგოს იმ უცხოელმა და დაიხსომოს, რომ ქართველი ამირანი არის ნაქურდალი და აქციეს ბერძენ პრომეთედ! აქ წყალტუბოს არც თეთრა მღვიმეა და არც თერჯოლის ნავენახარი! აფხაზეთის ტერიტორიაზე აბსკრილის მღვიმე სადაა? როდინდელი რუკაა, შესაძლოა არ იყო მაშინ ბოლოდროინდელი მღვიმეები გახსნილი, მაგრამ სათაფლია ხომ მაინც იყო...**

— რუსებმა ყველაფერი იციან... ჩვენ ხელთ რაც გვაქვს, იქიდან ვიმსჯელოთ. აქ ხელით მიწერია „ნავანები“. 1982-83 წლებში ბატონი სიმონ ჯაფარიძე იყო ძეგლთა დაცვის მთავარი სამმართველოდან ერთ-ერთი ინსპექტორი დასავლეთ საქართველოში ჩამოსული და წავიყვანე — უბისიდან დაახლოებით 20-22 კმ-ია, ნავანების წმინდა გიორგის სახელობის ტაძრის ნანგრევების სანახავად. იგივე ქვით არის ნაგები რითიც უბისა, სპონდიო ჰქვია, ასეა განმარტებული „წყალთა და ხავსთა მიერ ქვადქმნილი“ — სტალაქტიდები და სტალაგმიტები, ანუ მღვიმური წარმოშობისაა, მღვიმური ბუნების (წყალში ნამყოფი სიპი ქვა, რომლსაც მშენებლობის დროს ლიტონი კედლების ამოსაყვანად იყენებდნენ. ოშკის ტაძრის აგებისას 30 ხარ-უღელი ყოფილა გამოყოფილი სპონდიოს საზიდად - მ.ჭ.). სულხან-საბა ასე ამბობს, არ დავუჯერო?



ესაუბრა
მაია ჭელიძე

(გაგრძელება იქნება)

# „თავისუფლების მოედანი“ „ლელოს“ ლელოს დაუდებს!



— ზურაჯან, ვონცეს? — დამადგა ადრიანად ერვანდა.

— კამაც-კამაც. რა იყო, ტოროლა ხარ?

— მინამ გრილობაა, მოველ, ცხელობაში ოფლობის ნერვი ჩკა! — მაგიდაზე შემოდო თავისი განუყრელი შავი პარკი.

— დასავლეთში წვიმს, აქ ნიავი იმიტომ უბერავს, — იმის იმედით, რომ წვიმა წამოვიდოდა, ფანჯარაში გავყავი თავი და ცას ავხედე.

— ჟირაფჯან, მაიტა, სანამ ის კრისა შემოვარდნილა, დილის მადლი მოვასწროთ რო მიორე წამოგვეწიოს, ჰამა მაგარ რამეს გითხრამ, მაგარი ცხელია, — იდეა მტყორცნა ერვანდამ და თვალი ჩამიკრა.

— ნახე, რა მაქვს, შენ რომ გიყვარს, — ქვაბი შემოვდგი გაზზე და წინადადების დამთავრება ვერ მოვასწარი, ერვანდას უკვე ქვაბის თავსახური ეკავა ხელში და მინაბული სახით კვნესოდა.

— ჟირაფჯან, ბა ამ ჩაქაფულსთან როგო მოვყვე ის ანბავი, ცოდო არალი? ვიჟუ მცხვარია, — ისეთი ალალი ინტონაციით თქვა შემეცოდა ჩაქაფულისმოყვარე ერვანდა, ცალკე – მოვკვდი, ინტერესით რა ამბავი მოიტანა.

— მალე ცივდება, ხომ იცი, დაჯექი, ჰო! — შევუძახე და შემოვუსხედით მაგიდას.

— ღმერთს მადლობა, რო ამ დილასაც არ დაავიწყდა ჩვენი გაღვიძება! — მომიჭახუნა ერვანდამ სირჩა და სინქრონულად გადავკარით.

— დაიწყე!

— ზურაჯან, ჩვენ რო პლავეცი



ქალები ვიყოთ, რა სინქრონნი პლავანიას ვიზამდით, არა? — ჩაიხითხითა თავისებურად.

— ჰე, ამოღერღე „მაგარი ცხელი“, — დაჟინებით შევახსენე, რადგან მისი „ახტამარის“ გადამკიდე, ცოტა ხანში ორივეს დაგვავიწყდებოდა, რაღაც რომ უნდა ეთქვა.

— მამანჯააან, იგრეთ გაკვირვებასა ვარ, ნი პაიმიოშ! თრიალეტსკი დიატელი როა, ეგ იმ ჩემ ზემლიაკ ხაზარ კოჩევნიკთან, ბანკირ პიავკასთან ხო გაერთდა, ეხლა აუღიათ და ეს „ლელო“, ჩელო და კონტრაბასი გაერთებულან და იცი ვისთანა, „თავისუფლების მოედანთან“! ის კოდალა გავარიტ, ხაზარაძე უჟე აღარ არი ხალხის მყვლეფავი ჩათლახი... სლუში, არბიტრაჟი თუ რომ მოეგო, საქართველოს ბიუჯეტის მეოთხედსა ჯიბეშინ იდებდა, ჩათლახი აღარ არისო...

— ვერაფერი ვერ გავიგე! — წარმომიდგენია, როგორი ნატანჯი სახთ დავიჩივლებდი..

— ჩეეე ტოო, რა ვერ გაიგე, ვისი ვისაშია?

— ეგ კი გავიგე, მაგრამ „თავისუფლების მოედანი“ რა შუაშია?

— აგე, ხო უთხარი, ცხელიამეთქინ! „თავისუფლების მოედანი“ ჰქვიან და უსტაბაშად ვიღაცა ჰყამთ, ლევანა თუ რაღაც ეგეთი. გავარიატ, დვიჟენიე გვქვიან, მარამ ხო იცი, ეგეც ნაცანალების პარტიად გაკეთდება ფინალში, — „დამაკვალიანა“ ერვანდამ.

— „თავისუფლების მოედანი“? „ღრმაღელე“ ან „სამგორი“ რითი დაიწუნეს? — ამიტყდა სიცილი.

— ვაბშემც, „ავლაბარი“? „შილდაში მღერის დედას ლევანა, და ართანაში ყარალაშვილი“ ჰიმნად გაიკეთონ ბარეღამ, — წაიღიღინა და თან ახითხითდა ერვანდა.

— ბოლო-ბოლო, როგორ დალაგდნენ, არ იცი?

— მე მარტო ეგ ვიცი ამ ბოლო ვარიანტისა: პიავკა ხაზარი, ლამაზ-ლამაზი ანიჩკა და აი ეგ ლევან ერევანსკი გაერთდენ! — სირჩები შეავსო ერვანდამ.

— ეგ ლევანა შენი ბიძაშვილია? — ახლა მე ჩავუკარი თვალი.

— რას ანბობ! ერთი მაგასა აქ ჩისტი ქართული გვარი და მიორე დოლიძესა, დანარჩენები ყველა ჩემი ნათესავები არიან, ზოგი იქიდამ, ზოგი აქედამ. მითამ მალამენ სომხობასა, ნო ჩვენა სუ სომეხური ცხვირი გვყიდის, — მეცნიერული გამომეტყველებით თქვა ერვანდამ და ურყევი ჭეშმარიტების ნიშნად საჩვენებელი თითიც აღმართა.

— აბა, რატომ თქვი ლევან ერევანსკიო? — მართლა დავინტერესდი.

— სლუში, „თავისუფლების მოედანს“ მინამ ლენინის მოედანი ერქმეოდა, ხო ერევნის მოედანი ერქვა, მაგიტომაც ვთქვი, — გაოცდა ერვანდა ჩემი უცოდინარობით.

— მასე, ბერიას მოედანიც ერქვა, ზაკფედერაციისაც, თეატრალურისაც და სულაც გარეთუბანიც...

— დაიწყო ეხლა ამ ნანაკონდამ! სიტყვა არ უნდა დამიტოვო ჯიბეშიდა? მეჟდუ პროჩემ, ერევანშიცა გვაქ თავისუფლების მოედანი, იცი, რა ჰქვიან, აზათუტიან ჰრაპარაკ!

— აუფ! მაგას ვერ დავიხსომებ!

— აი, დარდი! ღმერთს დიდება, ჩვენ — მშვიდობა! — მტყორცნა ერვანდამ სადღეგრძელო.

— ჰოდა, რა გვინდაო, ამ „ერევნის მოძრაობამ“?

— რა უნა უნოდეთ, გავრიატ, პატრიოტები ვართ, დემოკრატია უნა გადავარჩინოთ და ჰამა, სალომეს მხარ-ბეჭ ვუჭირამთო.

— ეგ სამი გზააბნეული ერთად რას ამბობს, რაო...

— იმ ფულის მონა ბანკირმა პიავკამ ხელები გაუკეთა ამათ და უთხრა: აი, ეგრე ერთად დავიწყებთ მოღვაწეობასაო — ზურაჯან, რა უნა იმოღვაწეონ?

— მე რა ვიცი, გასაფუჭებელი ცოტაა?

— იმ პიავკამ უთხრა, ან ბალოტაში ვიქნებით როგორც რომ ჟაბა და ოკუპანტის იარმოში, ან კიდევა სვაბოდაზე, როგორც რომ ქართველებს შეეფერვიათო. ტოჟე მნე ქართველი! თან ანბობენ, შური-მური, ზიზლი-მიზლის ეპოქა უნა დასრულდეს. სლუში, ესენები თითონ არიან ყველანაირი პოდლობის გლავარები და ვისზედ ანბობენ? ის მომღერალი ბიჭი სადღა ეტენება — წადი, შვილო, იმღერე ქართული ხალხური სიმღერები!

— ვისზე ამბობ?

— უშანკაშვილზე!

— კარგად მღერის...

— მერე მე რა! ისინები ვიღა გამოძვრენ და საიდანა, „ნორჩი ნაციანალები“ რო ჰქვიანთ, ნორჩი ლენინელები არიან? სლუში, ამ ლენინის მოედანს რათ ვერა ცილდებიან? რო კითხო, შიგ ივროპაში მიდიან, ნო ამ ლენინს ვერ ეშვებიან. მამენტ, ლენინი სუ ივროპებში იყო... ზურაჯან, ლენინის კარგიცა, მაგრამ ეხლა ეს რუსეთის კოცნა რათ დაიწყეს, ვჩომ დელა? გავიხედე გვარამია დაიწყო, რუსეთი რათაა ცუდიო, გამოვიხედე ის კარკლათვალება ჭაჭები იძახდა, მე როდის უთხარი რომ რუსეთს სანქციები გაუკეთოთო. გიობნები, ვერაფელი ვერ გავიგე, გეორგიევსკი ტრაქტატი ახლიდან უნა დაწერონ თუ რას ანბობენ?

— საარჩევნოდ უბერავენ. დაასხი!

— ეგ უჟე შებერვა აღარ არი, ლამის მეშინიან... ესენები იგეთი ვრედნები არიან, აგე, იმ კაცს მოკლამდენ, ბიძინასა და მერე იტყოდენ, ივროპამ მოკლა როგორც რომ აგე, ტრამპსა კლამდნენ და ფიცოსა, რადგან რომ ჩვენ რუსეთი სიყვარული დავიწყეთო. იმ კობახიძეს ხო უქნეს გაფრთხილება და ეგაა, რა! ზურაჯან, მე არ გაიგოს! თუ რო კაცმან თავი ცოლ დედა შეაგინოს, იმ კაცსა იჭერამენ და ესენები დასტურ ტერაქტს აკეთამდენ და რატო ეგრე კაროჟნებივით დაყავთ დაკითხვაზედა?

— ევროპულად ეგრეა!

— მაიცა, თუ რომ ქალს დაუპირებდენ ტერაქტსა, მარტო მაშინ გაუკეთამდენ შემაკავებელსა? შენა ღადაობ, მარამ ნაღდად ეგრე იქნებოდა! ეგ რატი ახლოში დამათრეინა, რეჩები მაქ!

— რატი ოვა...

— მაგი გვარ ვაბშე ვერ ვანბობ, იო-იო, რა!

— იონათამაშვილი?

— ტო, აზათუტიან ჰრაპარაკ ვერ დავიმახსოვრებო და ეგ გვარი როგოღა დაიმახსოვრე?

— ერვანდ, გინდა მაგარი ამბავი გითხრა? გუშინ ქართლოსი იყო მოსული და იმან მომიყვა, ნამდვილი ამბავია, ოღონდ არ ახტე და დახტე, — გავუღიმე ავის მოლოდინში.

— აი, მაგ ტიპს ვერ ვიტან! სლუში, ჯერ ხო დაიწყებს მე ქართლოსი ვარ შენ ჰაოსიო, მერე კიდე, სუ სომხებზე ანბობს ანეკდოტებსა. როცა რო საქმეს ჭირდება, მე თითონ ვანბობ, მაგრამ ეგ იმენნა ვრედნად ანბობსა. — საჩივარი შემოიტანა ერვანდამ.

— მოკლედ, ნიაზი ხო იცი, კონკრეტულად აშოტასთან დადიოდა შესაკრეჭ-გასაპარსად. ერთხელ ისე გაკრიჭა რომ ნიაზს საშინლად არ მოეწონა და სამი თვე ისე გავიდა, არ შესულა აშოტასთან. რომ მივიდა, აშოტას გაუხარდა და სად იყავი, აქამდე რომ არ ჩანდიო?

— სომხეთში ვიყავი, აშოტ.

— ვაა, კარგია... მოგეწონა?

— ძალიან, აშოტ. ტბაზე წამიყვანეს, მიმიქარავს ჩვენი რიწა და პალიასტომი.

— სევანზე იყავი, ნიაზჯან? — შექება ესიამოვნა აშოტას.

— კი, სევანზე. თევზი მაჭამეს, ახლს ვერ მივა ჩვენი კალმახი...

— იშხანი ჭამე, ნიაზჯან? — ქებისგან ლამის ფრენდა აშოტა.

— მერე ეკლესიაში წამიყვანეს. იქ ტერტერა წირავდა. ყველამ დაიჩოქა ჩემ გარდა. მე ვუთხარი, თქვენ გრიგორიანელები ხართ, მე — მართლმადიდებელი-მეთქი. ტერტერამ მითხრა, რა მნიშვნელობა აქვს შვილო, ყველანი ქრისტიანები ვართო, მოვიდა და თავზე ხელი დამადო...

— მერე, მერე, რა გითხრა ხელი რომ დაგადო თავზე?

— რაო და, რას გიგავს თავი, ვინ გაგკრიჭა, მე იმის დედას შე***ციო, — დაუმთავრა ნიაზმაო, — ჯიქურ მივაჩერდი ერვანდას.

— მაიცა, მე რა შუაში ვარ, მე რათ უთხარი?

— შენ არაფერ შუაში არ ხარ, მანამდე რასაც ვლაპარაკობდით, იმასთანაა შუაში — რას გვანან ეს დედააფეთქებულები, ყველა დაბრეცილი ტვინისა და იერ-სახისა როგორ არის, ვინ გაკრიჭა ყველა ასე მახინჯურად...

— სომეხმა მიშამ! და ვაბშემაც, იმ მეხრიბეკა სალომესაც სომეხი მოაკრეჭდა ცხვირსა, — შეყოვნების გარეშე მიპასუხა ერვანდამ და სირჩები შეავსო.

— რამდენ სიგარეტს ვეწევით... კიდევ კარგი ეს თუთუნი იშოვება, თორემ სიგარეტის მათხოვრები გავხდებოდით — თითქოს გემი რო ჩაგვეძირა, დარდი გვაქვს და — ჩავურთე და მოწყობილობა გავამზადე თუთუნის შესაკეთებლად.

— ეე, შენ არ იცი? შევარდნაძის დროს მტკვარზე რო გემის პონტში იდგა რაღაც მახინა, ერთი პირიოდი იქ გულავი მიდიოდა. მომადგენ ბიჭები, წამო, მტკვარზე კარქა ჩავსკდეთ გემზეო. იქვე, მეტეხთან ხო თევზს იჭერავენ და ბარეღამ კაი ცოცხალიც მივცეთო. მიველით და ვა, ეს ჩვენისა გემი აყირავებულია და მტკვარშია ჩარჭობილი. აგე, ეგეთი ბედი მაქ, ერთხენ გემზე საქეიფოდ წაველ და მაშინაც გემი ჩამეძირა, ზნაჩიტ, დარდიან გულზე ბევრი უნდა მოვწიო! — კვლავ მეცნიერული გამომეტყველებით გაიღიმა ერვანდამ.

— არჩევნები რომ ჩატარდება, წამო, ბათუმში წავიდეთ, გემებს მაინც ვუყუროთ, — მინიშნება მივეცი ერვანდას.

— იქამდე რათ წავიდე, ფოთში ვნახოთ, — მიმაქვავა ადგილზე.

— ჩამოვყალიბდეთ!

— ზურაჯან, ჩამოყალიბებაზე მაგარი ქუთაისური „შუტკა“ გამახსენდა, უთხრამ! ტიპი ანბობს: „ნაცების“ იდეურ-პოლიტიკური გადაჯგუფებები ერთ ანეკდოტს მახსენებსო: ქუთაისელი ძმაკაცები ხვდებიან და ერთი ეუბნება მიორეს, სიმონ, მაგარი ნაშა ავაგდე და მაიტა, ორგია მოვაწყოთო. ავლენ ხატაში, ჩააქრამენ შუქს და წავიდა სექსუალნი ამბები. 2 საათის მერე ერთი ანთებს შუქს და სიტყვაში მოდის: ე ბიჯო, პაწა ჩამოვყალიბდეთ ძამა, ვინ ვისთან ვართ და რას ვშობით, თვარა, აგერ ახლახან მესამედ ავცდი ფარცაგსო...

— ესენიც ვერ ყალიბდებიან! ფარცაგი არ ასცდებათ! — ამიტყდა სიცილი.

**ზურა ოშხერელი**

# რას უნდა ველოდოთ ახალი ამნისტიის კანონისგან?

საქართველოს საპარლამენტო ცხოვრება ბოლო დროს ძალიან დაიტვირთა, ჯერ იყო და გენერალურ პროკურორად გიორგი გაბიტაშვილი აირჩიეს. როგორც აღმოჩნდა, მისი ხედვა დანაშაულის წიააღმდეგ საბრძოლველად უფრო მოსაწონი იყო, ვიდრე სხვა კანდიდატებისა. ბოლოს საკანონმდებლო ხელისუფლებამ დაინიცირა კანონი საყოველთაო ამნისტირების შესახებ, რომელმაც, თავისი სპეციფიკიდან გამომდინარე, მითქმა-მოთქმა გამოიწვია. ზოგადად, „ამნისტია“ არაპიროვნული ღონისძიებაა და ვრცელდება ყველა პირზე ან პირთა ჯგუფზე. საქართველოს კონსტიტუციის მიხედვით ამნისტია ცხადდება საქართველოს პარლამენტის მიერ ინდივიდუალურად განუსაზღვრელ, არაიდენტიფიცირებულ პირთა მიმართ.



ისტორიულად, ამნისტია საფუძველს იღებს მონარქების ან სხვა მეთაურების მიერ განხორციელებული კოლექტიური შეწყალებისგან. დროთა განმავლობაში ამ ინსტიტუტმა სახე იცვალა და დღეისათვის სოციალური და პოლიტიკური მშვიდობის უზრუნველყოფის გარანტიის ფუნქცია შეიძინა.

ამნისტია, რომელიც პარტია „ქართულმა ოცნებამ“ დააინიცირა პარლამენტში, ითვალისწინებს პასუხისმგებლობისა და სასჯელისაგან სრულ გათავისუფლებას, ან სასჯელის განახევრებას, სასჯელის შემცირებას ერთი მეოთხედით, სასჯელის შემცირებას ერთი მეექვსედით, ან პრობაციონერებისთვის პირობითი მსჯავრის ერთი წლით შემცირებას.

ამნისტია არ შეეხება პირებს, რომლებიც მსჯავრდებული არიან მკვლელობისთვის, ნარკორეალიზატორობისთვის; სქესობრივი დანაშაულებისათვის; ყაჩაღობისთვის; ტერორიზმისთვის; კორუფციული და სამოხელეო დანაშაულებისთვის, ქურდულ სამყაროსთან კავშირისთვის; კონვენციური დანაშაულებისთვის; ტრეფიკინგისა და სხვა მძიმე ან განსაკუთრებით მძიმე დანაშაულებისთვის. ამნისტირების აქტის საბოლოო ვერსია შემოდგომაზე დადასტურდება.

პატიმრებს, რომლებმაც საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 200-ზე მეტი მუხლით განსაზღვრული დანაშაული 2024 წლის 1 ივლისამდე ჩაიდინეს, ამნისტია შეეხებათ. უფრო კონკრეტულად, ის 4 839 პატიმარს ეხება, დაუყოვნებლივი გათავისუფლების საკითხი კი - 1 000 პატიმარს“, პროექტი ასევე ადგენს ამნისტიის შემდეგ ფორმებს: პასუხისმგებლობისა და სასჯელისგან სრულად გათავისუფლება; სასჯელის ½-ით შემცირება; სასჯელის 1/4-ით შემცირება; სასჯელის 1/6-ით შემცირება; და პრობაციონერებისთვის პირობითი მსჯავრის ერთი წლით შემცირება, რომელიც დაახლოებით 7 000 პირს მოიცავს .

ამნისტიის შესახებ პრემიერ-მინისტრმა ირაკლი კობახიძემ მთავრობის მეთაურის რანგში პარლამენტისთვის პირველად წარგენილი ყოველწლიური მოხსენებისას განაცხადა ა. წ. 28 ივნისს. მან აღნიშნა, რომ სასურველია პატიმართა რაოდენობის მესამედით შემცირება და ოპტიმალურ ევროპულ მაჩვენებელთან მისი მიახლოება.

ამნისტიის კანონპროექტმა ზოგიერთი იმ პატიმრის უკმაყოფილება გამოიწვია, ვინც ამნისტიის კრიტერიუმებში ვერ ჯდება და მის გაფართოებას ითხოვენ. მედიაში გავრცელებული ინფორმაციის მიხედვით, ქუთაისის, რუსთავის (ქალთა ციხე) და ქსნის ციხეებში ზოგიერთი პატიმარი შიმშილობს. ორიგინალური აღმოჩნდა იაგო ხვიჩიას წინადადება, როდესაც „ქართულ ოცნებას“ შესთავაზა, მთავარ პრინციპად აიღოს დაზარალებულისა და მსჯავრდადებულის შერიგება. რაც ერთი შეხედვით სწორია, მაგრამ თითქმის ყველა წინამორბედი ამნისტირების აქტები, რაც „ქართულ ოცნებას“ სასჯელის შემსუბუქებისათვის გამოუყენებია, მათ გარეშე არ არსებობს და, ფაქტობრივად, არც რაიმე ახალი უთქვამს ორიგინალურობით გამორჩეულ „გირჩის“ ხელმძღვანელს.

გარდა ამისა, ხვიჩია კანაფის თემაზე სხვა ნარკოტიკული ნივთიერებისგან განსხვავებულ მიდგომას მოითხოვდა. მისი თქმით, საქართველოში კანაფის მოხმარება ლეგალურია, მაგრამ პრობლემა არის ის, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებას არ აღასრულებენ: „ადამიანებს ერთი ლეგალური გზაც კი არ აქვთ იმის, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ მიცემული უფლების რეალიზაცია მოახდინონ“.

კიდევ ერთი თემა, რომელსაც იაგო ხვიჩია შეეხო, პატიმრობაში მყოფ საქართველოს მესამე პრეზიდენტს, მიხეილ სააკაშვილს უკავშირდება. „გირჩის“ ლიდერი აღნიშნავს, რომ ამნისტია არ ეხება საზღვრის უკანონო გადაკვეთას, რათა იგი სააკაშვილზე არ გავრცელდეს. ოპოზიციის სულისკვეთება გასაგებია, მაგრამ როცა საქმე ისეთი ტიპის დამნაშავეს ეხება, რომელსაც მიზნად უფრო დიდი დანაშაულის ჩადენა აქვს განზრახული, რა გასაკვირია, რომ აქ კანონმდებელი სიფრთხილეს იჩენს.

„ქართულმა ოცნებამ“ ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ რამდენიმე ამნისტია გამოაცხადა, რაც არცერთი ხელისუფლების პირობებში არ მომხდარა. 2013 წლის მარტის მონაცემებით, 8000-ზე მეტი პატიმარი გათავისუფლდა. საქართველოს პატიმართა რაოდენობა ნახევარზე მეტით შემცირდა 2012 წლის იანვართან შედარებით, როდესაც პატიმართა რაოდენობა 24 000-ს აჭარბებდა.

ახალი ხელისუფლების სახელს უკავშირდება 2016 წლის შეწყალების აქტი. 2021 წელს გამოცხადებული ამნისტიებიდან ერთ-ერთი, 2019 წლის 19-21 ივნისის თბილისის ანტისაოკუპაციო აქციების მონაწილეებისა და სამართალდამცველების ამნისტიაა, რომელიც სამართალდამცავებზეც გავრცელდა.

### ამნისტირება – ევროპული ქვეყნების გამოცდილება

ზოგიერთი ქვეყანა ამნისტიის გამოყენების შესაძლებლობას იძლევა მხოლოდ საგამონაკლისო წესით კონკრეტულ დანაშაულებთან, ან მკაცრად შეზღუდულ მიზნებთან მიმართებით. მაგალითად, საბერძნეთის კანონმდებლობით აკრძალულია ჩვეულებრივი დანაშაულის ამნისტირება. რამდენიმე ტიპის ქვეყანა იძლევა ორდინარული დანაშაულების ამნისტირების შესაძლებლობას, ოღონდ, ამ შემთხვევაში, განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა საზოგადოების მთლიანობისა და ინტეგრაციის უზრუნველყოფას, ციხეების გადატვირთულობის დაძლევას და სხვადასხვა ჰუმანიტარული მიზნის იმპლემენტაციას (მაგალითად, კონკრეტული სადღესასწაულო დღეების აღნიშვნას, ან დაავადებულ პირთა გათავისუფლებას). ამნისტია ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საშუალებაა პოსტკონფლიქტურ სიტუაციებში და გარდამავალი მართლმსაჯულების ქვეყნებში.

საკითხავია, რატომ ითხოვენ ჩვენგან იმაზე მეტს, ვიდრე ევროპულ ქვეყნებშია მიღებული? საქართველოს რომ დავუბრუნდეთ, ოფიციალური ცნობით, ახალი ამნისტირების კანონთა წრე მომავალ საპარლამენტო სესიაზე შეიძლება გაფართოვდეს და მერე, ზემოთქმულიდან გამომდინარე, უკვე სამართლიანად დავსვამთ შეკითხვას, ვინ უფრო მეტი ევროპელია?

**ლევან ჭილლაძე**

## 2012 წლის 10 ოქტომბერს დაწერილი ღია წერილი ბატონ ბიძინა ივანიშვილს

## ხომალდს ჯერ ღუზა არ ჩაუშვია...

**თქვენს წარმატებას, რომელიც საპარლამენტო არჩევნებით მოუპოვეთ მთელ საქართველოს დიდი მოვლა და გაფრთხილება სჭირდება. ჯაჭვის პერანგით შემოსილი მთელი საქართველო უნდა შემოგერტყათ გარშემო და ერთად დავიცვათ „ქართული ოცნების“ გამარჯვება.**

**ბატონო ბიძინა! თქვენ შესანიშნავი, ერთგული და ლამაზი ოჯახის პატრონი ბრძანდებით. გყავთ ჭკვიანი და კოპწია მეუღლე, უფლისგან გამორჩეული ნიჭით დაჯილდოებული შვილები, ყველაზე უმცროსი, მეოთხე შვილისთვის ეროვნული გმირის - ცოტნეს სახელი დაგირქმევიათ. თქვენ მიერ აშენებულ სამების ტაძარში, რომელიც ქართველ ხალხს აჩუქეთ, ვნახე პატარა ცოტნე ივანიშვილი, რომელიც ნამდვილ შემოფრენილ ანგელოზს ჰგავდა. ესეც უფლისგან დიდი მხილებაა. ამიერიდან თქვენი დიდი ოჯახია პატარა საქართველო.**

**თქვენი პოლიტიკური ხომალდი შემოსულია ნავსადგურის ყურეში, მაგრამ ღუზა ჯერ კიდევ არ ჩაუშვია. ჯერ კიდევ დიდი და ბევრი პრობლემა გვაქვს გადასაჭრელი.**

**თქვენი გამარჯვება, ბატონო ბიძინა, მთელი საქართველოს გამარჯვებაა. ამიტომ მთელი საქართველო უნდა დაუდგეს მოპოვებულს ერთგულ დარაჯად.**

**ბატონო ბიძინა, დაიყენეთ გვერდით საქართველოს ერთგული მეომრები, ქართველი ერი მზად არის, ქვეყნის გადასარჩენად და ასაღორძინებლად ყველაფერი გააკეთოს.**

**დარწმუნებული ვარ, რომ ქართველი ერი თქვენ არ გიღალატებთ და არც თქვენ უღალატებთ ქართველ ერს. ეს დიდი თანხვედრა უსათუოდ გააოცებს მსოფლიოს და აუხდენს ჩვენს ხალხს თქვენ მიერ აღთქმულ ქართულ ოცნებასაც.**

**ბატონო ბიძინა, აამოქმედეთ მთელი ქართული ენერგია - ეს იქნება გამთლიანება ქართველი ერისა, თაობებად გათიშულისა და დაქუცმაცებულისა იმ ხელისუფლების მიერ, რომლისგანაც თქვენ გაგვათავისუფლეთ.**

**ახლა კი მინდა, დიდი ილიას ლექსის პირველი სტროფი გავიმეორო: „ჩვენისთანა ბედნიერი განა არის სადმე ერი“.**

**მადლობა მთელი ქართველი ერის სახელით.**

**ლამარა გურული,**
**აფხაზეთის დამსახურებული არქიტექტორი**

## დიახ, ნეიტრალური საქართველო!

პოპულარულმა „საერთო გაზეთმა“ 2024 წლის 17 ივლისის ნომერში გამოაქვეყნა საკუთარი ჟურნალისტის, ქალბატონი თამარ შველიძის ვრცელი საუბარი ახლახან ჩამოყალიბებულ საზოგადოებრივ მოძრაობასთან, რომლის სახელწოდებაა „ერთიანი ნეიტრალური საქართველოსთვის“.

აღნიშნული მოძრაობის დამფუძნებლებად ჭეშმარიტად პატრიოტთა ხუთეული მოგვევლინა. ესენი არიან: ცნობილი პუბლიცისტი და საზოგადო მოღვაწე, ქალბატონი **ნანა კაკაბაძე** და ბატონები: **ბიძინა გიორგობიანი, გელა ნიკოლაიშვილი, ვატო შაქარაშვილი და ლევან ნიკოლეიშვილი.**

მე, ისტორიკოს-პოლიტოლოგი, ლამის 95 წლის ხანდაზმული ადამიანი, მხურვალედ მივესალმები აღნიშნული მოძრაობის სამოღვაწეო ასპარეზზე გამოჩენას, რამეთუ ეს ჩემი დიდი ხნის ნატვრაა; რაც მთავარია, ამით დიდად გაიხარებს ჩვენი ბრძენი პატრიარქი, უწმიდესი და უნეტარესი ილია მეორე, რომელმაც ჯერ კიდევ 2001 წლის „სააღდგომო ეპისტოლეში დაგვმოძღვრა: **„ისეთი პატარა ქვეყნისათვის, როგორიც საქართველოა — ყველაზე მისაღები პოზიცია ნეიტრალიტეტია“**.

მადლობა „საერთო გაზეთის“ სარედაქციო კოლექტივს აღნიშნული მოძრაობის მიზანდასახულობათა ფართოდ გაშუქებისათვის.

გამოვთქვამ სურვილს, რომ მოძრაობა „ერთიანი ნეიტრალური საქართველოსათვის“ გარდაისახოს მძლავრ, კლასიკური ტიპის პოლიტიკურ პარტიად — თავისი პროგრამა-წესდებით, ყოველკვირეული გაზეთით, პირველადი ორგანიზაციებით საქართველოს ყველა მუნიციპალიტეტში. ეს ადვილი არ არის, მაგრამ მიღწევადია. იმედი მაქვს, აღმოჩნდებიან გონივრულად მოაზროვნე ძალები, რომლებიც აღნიშნულ მოძრაობას გვერდით დაუდგებიან.

მაშ, მომავალი ნეიტრალურ საქართველოს ეკუთვნის. ეს გარდაუვალია, საქართველოს გეოპოლიტიკური კანონზომიერებაა, მისი ტერიტორიული სივრცის ძახილია. შეიმეცნეთ და გაითავისეთ ეს, ჩემო ქართველებო!

**გივი გურეშიძე**
**ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი,**
**პოლიტოლოგი**
**ქუთაისი, ივლისი, 2024 წ.**

# „ლიბერალური დემოკრატია“ არის პოსტადამიანის ეპოქაზე ორიენტირებული ფაშიზმი



*გვესაუბრება ექსპერტი, ანალიტიკოსი გეოპოლიტიკის და საერთაშორისო ურთიერთობების მიმართულებით სოფიკო სოხაძე:*

(დასასრული. დასაწყისი იხ. „სგ“ N26)

## ისტორიული ფანჯარა საკრალური მიზნის მისაღწევად

მრავალპოლარული მსოფლიო წესრიგი, რომლის დადგენაც გარდაუვალია, თავისთავად გულისხმობს ევრაზიის კონტინენტის უსაფრთხოების ახალი არქიტექტურის შემუშავებას.

ჩვენ წინ გველის დიდი ჯახი აშშ-სა და ჩინეთს შორის ინდოეთ-წყნარი ოკეანის რეგიონში (განვითარების ამგვარ სცენარზე ვსაუბრობდი ერთი წლის წინ უკრაინის კონტრშეტევის დროს). აშშ-ის კონგრესთან არსებული ანალიტიკური ცენტრის 2023 წლის 13 ოქტომბრის მოხსენებაში ვკითხულობთ: “აშშ უნდა მოემზადოს ჩინეთთან და რუსეთთან ერთდროული ომებისთვის, გააძლიეროს თავისი შეიარაღებული ძალები, ალიანსები და გააფართოვოს ბირთვული იარაღის მოდერნიზაციის პროგრამა”; ჩინეთისა და რუსეთის საფრთხეები მწვავე გახდება 2027-2035 წლებში, ამიტომაც გადაწყვეტილებების მიღება ახლაა საჭირო, რათა ხალხი მზად იყოს“, - აღნიშნულია 145-გვერდიან მოხსენებაში. კონგრესის კომისიის მოხსენებასთან დაკავშირებით, ინფორმაცია გამოცემა “EUღAჩთIV’’-მა გაავრცელა. ამ კონტექსტში ჩვენი სახელმწიფოს სტრატეგიულ მიზანს უნდა წარმოადგენდეს მშვიდობის შენარჩუნება, რეგიონის ქვეყნებთან იმგვარი პოლიტიკის წარმოება, რაც ხელს შეუწყობს სამხრეთ კავკასიაში მშვიდობის განმტკიცებას და ომის სცენარის არდაშვებას. ვგულისხმობ ჩვენი ლოჯისტიკური პოტენციალის სწორად გამოყენებას: საშიში ფრანგული ხაზი, რაც სომხეთისთვის საქართველოს გავლით სამხედრო ტრანზიტის დაშვებას გულისხმობს, მთავრობის მიერ არიდებულ იქნა და ეს პოზიცია, მიუხედავად ზეწოლისა, როგორც ჩანს, შენარჩუნდება.

როგორც აღვნიშნე, ჩვენთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია რეგიონის ქვეყნებთან ურთიერთობის დალაგება და კავკასიაში მშვიდობის შენარჩუნება, ასევე ჩრდილოეთ-სამხრეთისა და სამხრეთ-ჩრდილოეთის მეგაეკონომიკურ კონსტრუქციებში ჩაჯდომა, რაც ეწინააღმდეგება ანგლოსაქსური გეოპოლიტიკის განმახორციელებელი ცენტრების სტრატეგიულ ინტერესებს კავკასიასა და ახლო აღმოსავლეთში. ამ მიმართულებით აუცილებელია: 1).მეგაეკონომიკურ კონსტრუქციებს არ შემოჰყვეს დემოგრაფიული ნაკადები (ამ მხრივ კანონმდებლობაა დასახვეწი). საქართველოს დღევანდელი დემოგრაფიული მოცემულობის ფონზე ეთნო-რელიგიური სურათის ცვლილება საფრთხეს უქმნის არამხოლოდ ჩვენს ქვეყანას, არამედ, ზოგადად, კავკასიის ფაქიზ ეთნო-კულტურულ ქსოვილის; 2). სტრატეგიული ობიექტები (რაც შემოგვრჩა) დარჩეს სახელმწიფოს ხელში და შემდგომი პოლიტიკა წარიმართოს იმგვარად, რომ სტრატეგიულად მნიშვნელოვანი კრიტიკული ობიექტები ასევე, სახელმწიფოს ხელში გადავიდეს.

ქვეყნის სტრატეგიული ობიექტები, სტრატეგიული რესურსები (მიწა, წყალი, წიაღისეული) უნდა იყოს სახელმწიფოს საკუთრებაში და, ზოგადად, ნებისმიერი პროექტის განხორციელებისას (იქნება ეს ინფრასტრუქტურული, ენერგეტიკული თუ სხვა სახის), ხელისუფლება უნდა ამოდიოდეს ქვეყნის ინტერესებიდან და არა კორპორაციების, მეგა ტრანსნაციონალური კომპანიების ინტერესებიდან. თუმცა, გასაგებია, რომ ამგვარი სუვერენული ეკონომიკის წარმოება გულისხმობს ეკონომიკის ნეოლიბერალური პარადიგმიდან გამოსვლას, რაც პოლიტიკური ნების საკითხია და მხოლოდ ერთი ქვეყნის ძალისხმევით ამგვარი გარღვევა ვერ მოხდება.

რაც შეეხება სტრატეგიულ პარტნიორობას საქართველოსა და ჩინეთს შორის. ორი ქვეყნის ურთიერთობა ახალ დონეზე ადის. ეს გახლავთ გარღვევა გეოპოლიტიკაში და მძლავრი მესიჯი მთავარი მოთამაშეების - ძალის ცენტრების მიმართ როგორც აღმოსავლეთში, ასევე დასავლეთში. აქ ჩინეთის, როგორც ძალის ცენტრის, მსოფლიო პოლიტიკაში სამიდან ერთ-ერთი დიდი მოთამაშის გამაწონასწორებელ როლზეა საუბარი ანგლოსაქსური ძალის ცენტრებთან მიმართებაში. რა თქმა უნდა, აქაც სიფრთხილე და პრაგმატული გათვლაა საჭირო. გლობალურ ეკონომიკურ კონსტრუქციაში მონაწილეობა არ უნდა მოხდეს ქვეყნის ეთნო-რელიგიური ბალანსის შეცვლის ფასად - ეს ჩვენთვის წითელი ხაზია. ზოგადად, არ არსებობს იმგვარი კონსტრუქცია (გეოპოლიტიკური, ეკონომიკური, უსაფრთხოების), სადაც სახელმწიფოს არ დასჭირდება ფილტრების ჩადება სხვადასხვა მიმართულებით. დღეს, როდესაც გეოპოლიტიკური ტექტონიკური ძვრები პიკშია, არათუ ჩვენ, არამედ ჩვენზე დიდ და ძლიერ სახელმწიფოებსაც არ შესწევთ ძალა, გეოპოლიტიკური ძალის ცენტრების, მათი გამაწონასწორებელი ფაქტორის მოშველიების გარეშე გავიდნენ ფონს და გადარჩნენ. ისეთი ვითარებაა, ლავირების საშუალებაც შეზღუდულია ამ ძალის ცენტრებს შორის, ლავირების ბერკეტი და შესაძლებლობა რომ გქონდეს, ესეც ფუფუნებაა. ჩვენ ჩვენი გეოსტრატეგიული მდებარეობა გვაძლევს ახლა ამის შესაძლებლობას და ეს შესაძლებლობა უსათუოდ უნდა გამოვიყენოთ. დღეს ჩვენი მთავარი რესურსი დიდ პოლიტიკაში სწორედ ჩვენი გეოსტრატეგიული მდებარეობაა. პირადად ჩემთვის, უპირატესია ის გეოპოლიტიკური მოდელი, რომელიც ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის გზაზე დაგვაყენებს. მხოლოდ ის გეოპოლიტიკური კონსტრუქცია მაინტერესებს, სადაც ჩვენი ტერიტორიების დაბრუნების რეალური შესაძლებლობა ისახება. სწორი გეოპოლიტიკური მიმართებების დამყარების შემთხვევაში, ეს ისტორიული ფანჯარა დიდი ჯახის პირობებში იღება და მხოლოდ ამ დიდი გეოპოლიტიკური გადანაწილების დროს გვაქვს შანსი, მოვახდინოთ მნიშვნელოვანი წინსვლა ჩვენი საკრალური მიზნის მისაღწევად.



## ეპოქის ტენდენციების შხამიანი საცეცები

როგორც ხელისუფლებას, ასევე საზოგადოებას, მართებს სიფხიზლე და საფრთხეების გაცნობიერება, მიმდინარე მოვლენების მთლიანობითი სურათის დანახვა, ისტორიულ და ცივილიზაციურ კონტექსტში გააზრება. კარგად უნდა გავაცნობიეროთ, რისი შესაძლებლობა გვაქვს, ჩვენი გეოპოლიტიკური სტატუსი რამდენად გვაძლევს ლავირების საშუალებას და რეალურად რა ბერკეტები გვიჭირავს ხელში. პოლიტიკაში ერთია სურვილი და მეორე - შესაძლებლობა, რეალური ბერკეტები. ჩვენ, ფაქტობრივად, არ გვყავს მყარი სტრატეგიული პარტნიორი. სტრატეგიული პარტნიორი, რომელიც 30 წლის განმავლობაში მეგობრად და უსაფრთხოების გარანტად მიგვაჩნდა, საკრალური მსხვერპლის როლისთვის გვიმეტებს. გარდა ამისა, ჩვენ არ წარმოვადგენთ პოლიტიკურ სუბიექტს არც ერთი ძალის ცენტრისთვის და რეგიონული მოთამაშისთვის, რეგიონშიც არ ვითვლებით ანგარიშგასაწევ ძალად. ეს წარმოქმნის იმის რეალურ საფრთხეს, რომ დიდი მოთამაშეების პოლიტიკურ მიზნებს შევეწიროთ. ჩვენი გეოპოლიტიკური სტატუსი ძალიან დაბალია. ეს ოცდაათწლიანი ნეოლიბერალურ-ნეოკოლონიალური სისტემის შედეგია, რამაც ძირი გამოუთხარა ქართულ სახელმწიფოს ყველა მიმართულებით. ეს პროცესი ეროვნული მთავრობის დამხობის შემდეგ დაიწყო 1). ბრწყინვალე სამეცნიერო სკოლების, განათლების სისტემის მიზანმიმართული ნგრევით; 2). დეინდუსტრალიზაციით, რეალურად - ქვეყნის ძარცვით. ნეოლიბერალური სისტემა საგარეო პოლიტიკაში ჩვენგან უპირობოდ მოითხოვს მხოლოდ ერთს - დასავლეთის გეოპოლიტიკურ ვექტორზე სწორებას, რაც დღევანდელი რეალიების გათვალისწინებით, არათუ წამგებიანია ჩვენთვის, არამედ დიდი საფრთხის შემცველიც არის.

სამწუხაროდ, ჩვენ ვერ ვიცანით ნეოლიბერალური სისტემა, ვიდრე მისი შხამიანი საცეცები ჩვენს სულსა და სხეულზე არ ვიწვნიეთ. ეპოქის ტენდენციები იმდენად ძლიერია, რომ მისი წინასწარ განჭვრეტა და მასთან გამკლავება, ალბათ, მხოლოდ ტიტანური გონების ადამიანებს თუ შეუძლიათ. ლიბერალიზმი მაშინ აღმავლობის ხანაში იყო და თავისი დიდების მწვერვალზე ბრწყინავდა. ჩვენ გამოვედით ერთი სისტემიდან და შევედით მეორე სისტემაში. მოხდა ძალის ერთი ცენტრის დეკონსტრუქცია და ძალის მეორე ცენტრმა დაამყარა თავისი კონტროლი იმ გეოსტრატეგიულ არეალებზე, რომელსაც ადრე სხვა ძალის ცენტრი ფლობდა. ეს პროცესი საბედისწერო აღმოჩნდა ჩვენი სახელმწიფოსთვის, და არამარტო ჩვენთვის -მთელი კავკასიისთვის, თვით რუსეთისთვისაც კი.

დღესდღეობით, სახელმწიფოებს, რომლებიც მსოფლიო ჰეგემონიისკენ ილტვიან და ერთპოლარული მსოფლიო მოწყობის მომხრეები არიან, საქართველო აინტერესებთ, როგორც - 1) ლიბერალური დემოკრატიის ფორპოსტი რეგიონში; 2) დასავლეთის გეოსტრატეგიული ინტერესების უპირობო გამტარი ამიერკავკასიაში. ორივე მიმართულება გლობალისტური დასავლეთისთვის უაღრესად მნიშვნელოვანია, როგორც გეოპოლიტიკური, ასევე იდეოლოგიური მდგენელით. რამდენად ემთხვევა ყოველივე ეს ჩვენი ქვეყნის სახელმწიფო ინტერესებს, ეს არის მთავარი შეკითხვა. დღეს ჩვენი სახელმწიფოს სტრატეგიულ მიზანს უნდა წარმოადგენდეს: 1) მშვიდობის შენარჩუნება (არჩევნებამდე და, განსაკუთრებით, არჩევნების შემდეგ); 2) ნეოლიბერალური პარადიგმიდან გამოსვლა ყველა მიმართულებით (იდეოლოგია, განათლებისა და კულტურის პოლიტიკა, ეკონომიკის მოდელი); 3) გრძელვადიან პერსპექტივაზე გათვლილი საგარეო სტრატეგიის შემუშავება, რომლის მთავარი მიზანი ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა და ქვეყნის გეოპოლიტიკური სტატუსის ამაღლება იქნება. ამ უაღრესად საშიშ დროს, შეცდომა სახელმწიფოს დაკარგვას ნიშნავს, სწორი გეოპოლიტიკური სვლა - სუვერენიტეტისა და გეოპოლიტიკური სტატუსის ამაღლებას. თუ დაგვიდგა საბედისწერო საათი, მოხდება ის, რაც არაერთხელ მომხდარა საქართველოს ისტორიაში -ჩაირთვება გარემოებათა ლოგიკა და ისტორიული კანონზომიერება. ქართველთა გენეტიკური და კულტურული კოდი ძალიან ძლიერია, ჩვენი ისტორია ამისი დასტურია. ჩვენ გადავიტანთ გეოპოლიტიკურ შტორმს და სამზეოზე გავალთ. მე ამის მწამს.



**მოამზადა
ნონა ქარქაშაძემ**

# „სამშობლო იყო მისთვის მთავარი!“

## სვიმონ გამსახურდია - 95



ცნობილ მეცნიერ-ისტორიკოსს, სვიმონ გამსახურდიას, 24 ივლისს დაბადებიდან 95 წელი შეუსრულდებოდა. ეს გვარიან ხანდაზმულობის ასაკად მიიჩნევა, მაგრამ ჩემთვის სრულიად შეუძლებელია, „გვარიანად, თუ არც ისე" ხანდაზმულად წარმოვიდგინო სვიმონ გამსახურდია. იგი ჩემი უსაყვარლესი მეგობარი იყო და იმ გონებრივი, თუ ფიზიკური სასიცოცხლო ენერგიის წყალობით, რაც ასე უხვად ჰქონდა, არასოდეს მიგრძვნია, რაიმე ასაკობრივი განსხვავება თუ იყო ჩვენ შორის.

სვიმონი ელიტური ქართველი ინტელიგენტების ოჯახში დაიბადა და გაიზარდა. მას ყველაფერში ეტყობოდა აზნაურობა — სიტყვა-პასუხში, მიხვრა-მოხვრაში, ადამიანებთან ურთიერთობაში, პასუხისმგებლობით ხომ ნამდვილი რაინდი იყო.

სვიმონის მამა უცხოეთში განსწავლული ეკონომისტი იყო და ძალიან ახალგაზრდა შეიწირა 30-იანი წლების ცნობილმა რეპრესიებმა. ჯერ ისევ ბავშვი უმამოდ დარჩა და დედისა და მისი დიდი ბიძის, კონსტანტინეს მზრუნველობით გაიზარდა. ბიძის გავლენა, ჩემი აზრით, ძალიან ეტყობოდა, იქნებ, სწორედ ამიტომ აირჩია ისტორიკოსობა. აი, პროფესიისადმი ფანატიკური ერთგულება მის უმნიშვნელოვანეს პიროვნულ ნიშნად მიმაჩნია. ამასთან დაკავშირებით ერთი ფაქტი უნდა გავიხსენო:

ოთხმოცდაათიანი წლების დასაწყისში, „დემოკრატიის" ყვავილობა რომ დაიწყო, მაშინვე გამოჩნდნენ ჭკუანაღრძნობი დემოკრატები და, ერთი სულელი ფინიასი არ იყოს, სპილოს რომ უყეფდა, სიმამაცედ ჩამეთვლებაო, ამ წკავწკავა ძაღლებმა ეროვნულ გმირებსა და ბრძენკაცებს დაუწყეს კბენა. ერთ-ერთი ასეთი მკბენარი მწერალი იყო მწერლობის მოწადინე ვიღაც ტიპი, რომელმაც თავისი ჭკუის შესაფერის გაზეთებში წერილები გამოაქვეყნა, სადაც თავგადაკლული ითხოვდა გიორგი სააკაძის ძეგლების აღებას კასპსა და თბილისში. სვიმონი გაცეცხლდა და იმის გარდა, რომ ბრწყინვალე წერილები გამოაქვეყნა ამ ქართველად გადაცმული მტრის წინააღმდეგ, სერიოზულად გადაწყვიტა, ფიზიკურადაც გასწორებოდა მას. ძლივს გადავათქმევინე: მაგ არაკაცს ხელი რომ დაარტყა, ვაჟკაცობად არავინ ჩაგითვლის, რადგან ეგ „მწერალი" ქათმად არის მიჩნეული-მეთქი.

სვიმონ გამსახურდიას მეცნიერული ინტერესები, ძირითადად, ფეოდალური პერიოდის საქართველოს ისტორიის კულტუროლოგიური პრობლემების შესწავლისკენ იყო მიმართული. მან ამ პრობლემათა კვლევით მნიშვნელოვანი მემკვიდრეობა დატოვა, რასაც გვერდს ვერ აუვლის ვერცერთი სერიოზული ისტორიკოსი თუ ისტორიის სწავლების სპეციალისტი. მას მიაჩნდა, რომ ეროვნული ცნობიერების, კერძოდ, სამშობლოს პატრიოტი თაობის ჩამოყალიბებისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ისტორიის კულტუროლოგიური შინაარსის გააზრებას, რაც ეროვნული მენტალიტეტის არსებით ნიშნად უნდა მივიჩნიოთ. არ შეიძლება, არ დაეთანხმო ამ მოსაზრებას!

ერთი პერიოდი პედაგოგიკის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში ვმუშაობდით ერთად. სწორედ იქ დაწერა მან ფრიად მნიშვნელოვანი გამოკვლევა „განათლება ძველ საქართველოში", რომელიც მალე ქართულ და რუსულ ენებზე გამოიცა. ეს წიგნი ერთობ მნიშვნელოვანია არა მარტო ისტორიული წარსულის განათლებისა და კულტურის ისტორიის ფაქტობრივი გამოკვლევის თვალსაზრისით, არამედ იმის გასააზრებლად, რომ საგანმანათლებლო პოლიტიკისა და საგანმანათლებლო კონცეფციების შეფასება სრულიად შეუძლებელია წარსულის გამოცდილების ცოდნის გარეშე, რადგან „შვილმა უნდა იცოდეს, სად და რაზე შეჩერდა მამა," რათა არსებითი ორიენტაციები არ აერიოს, როგორც ახლა ხდება. სასკოლო განთლების ახალი კონცეფციები, ჩვენი კლასიკოსების პედაგოგიური მრწამსის ახლებული გააზრებისა და ხელახლა წარმოჩენის ხერხები, ერთ-ერთი ასეთი მიმართულება იყო განმავითარებელი სწავლების თეორიისა და პრაქტიკის პრობლემა. ამ პრობლემის ექსპერიმენტული დამუშავება და შედეგების განზოგადება ჩვენს ინსტიტუტს მიანდეს. ამასთან დაკავშირებული კვლევები თბილისის პირველ ექსპერიმენტულ სკოლაში ტარდებოდა. ძირითადი აქცენტი ისტორიის სწავლებაზე გაკეთდა და მას სვიმონ გამსახურდია ხელმძღვანელობდა.

პედაგოგიკურ ფსიქოლოგიაში საყოველთაოდ არის გაზიარებული მოსაზრება, რომ მოსწავლის შემეცნებითი უნარების განვითარების ყველაზე ეფექტური საშუალება სასწავლო მასალის პრობლემის სახით მიწოდების მეთოდია, თუკი ამის საშუალებას სასწავლო მასალა იძლევა. აი, სწორედ პრობლემური სწავლების მეთოდიკის სრულყოფა და მასობრივ სწავლებაში მისი გამოყენების პრაქტიკის ეფექტიანობის პირობების განსაზღვრის ამოცანა დაისახა მიზნად სვიმონ გამსახურდიამ ექსპერიმენტატორ პედაგოგთან, ახალგაზრდა მასწავლებელ მანანა კობახიძესთან ერთად. ეს გაკვეთილების გამოცდილების განზოგადებისა და რესპუბლიკის პედაგოგიური საზოგადოებისთვის ინფორმაციის მიწოდების მიზნით, ხშირად გადაიცემოდა ტელევიზიით, საამისოდ საგანგებოდ დადგენილი გრაფიკის მიხედვით, რამაც დიდი ინტერესი გამოიწვია და ბევრი მიმდევარიც გამოუჩნდა.

ამ ექსპერიმენტის პროცესში გამოვლინდა სვიმონ გამსახურდიას ღრმა ცოდნა და ერუდიცია პედაგოგიური პრობლემების შესწავლისა და გამოყენების სფეროში, რაც გასაკვირი არ ყოფილა „ძველ საქართველოში განათლების ისტორიის" ფუნდამენტური მონოგრაფიის ავტორისაგან.

ჩემი მეგობარი სვიმონი სრულიად გამორჩეული პიროვნული თვისებებით იყო შემკული. ერთობ პრინციპული, სამეცნიერო დისკუსიებში უკომპრომისობით ცნობილი კაცი არც პირად ურთიერთობებში იყო ლიბერალური. იგი არასოდეს ამბობდა „არა"-ს, როდესაც „კი" უნდა თქმულიყო და პირიქით, მაინც ყველასათვის მისაღები და სასიამოვნო კოლეგა თუ თანამეინახე იყო. რატომ, იცით? იგი უზადო ნიჭირებას, ცოდნა-ერუდიციას, შეუვალ პრინციპულობას ასხივებდა, რაც შინაგანად ყველა ადამიანის პატივისცემას იწვევდა. მეგობრობა ხომ იცოდა და იცოდა, თავისებური, უღალატო, რასაც სიტყვებით კი არ ამჟღავნებდა, ამას უნდა მიმხვდარიყავი... ყველას არ აქვს საამისო უნარი, სამწუხაროა რაიც!

ერთი შეხედვით, ცოტა დისტანცირებული, ცოტა თითქოს გულცივი სხვათა მიმართ, უაღრესად ალალი, გულკეთილი, სენტიმენტალურიც კი იყო გარშემო მყოფების მიმართ. სიყვარულისა და ვინმეს მიმართ აღტაცების აშკარად გამოხატვა არ უყვარდა, ამას უნდა მიმხვდარიყავი და გეგრძნო. ლექსებსაც წერდა, მაგრამ გამოქვეყნება არც უცდია. არავის მინდა, ეწყინოს, მაგრამ უნდა ვთქვა მაინც: ბევრი მეგობარი მყავდა და მყავს, კიდევ უფრო ბევრი ნაცნობი, მათ შორის, პოეტიც, მაგრამ ცოლზე რომ ლექსებს წერდეს, ასეთი არავინ მინიხავს და არც გამიგონია. მხოლოდ სვიმონი იყო ასეთი.

სვიმონ გამსახურდია დიდხანს მუშაობდა სულხან-საბას სახელობის უნივერსიტეტში საქართველოს ისტორიის კათედრის გამგედ და დიდი ავტორიტეტიც ჰქონდა თანამშრომლებსა და სტუდენტებს შორის. ასეც იქნებოდა, ცხადია. ცხადია, რადგან ფუჭსიტყვაობა არ იცოდა, ცოდნით იყო გაჯერებული მისი ლექციები. ურთიერთობას უპრობლემოდ ამყარებდა სტუდენტებთან, რადგან პედაგოგისა და მოსწავლის ურთიერთობების უბადლო მცოდნე იყო, როგორც თეორიის ცოდნის ასპექტით, ისე პრაქტიკისაც დიდი გამოცდილება ჰქონდა და იმიტომ!

როგორც ყველა ნიჭიერ კაცს, იუმორის გრძნობა მოჭარბებულად ჰქონდა და სიტყვამახვილობაშიც კარგად იყენებდა. ერთი ამბავი მახსენდება მასთან დაკავშირებით:

სვიმონის ერთ-ერთი მეგობარი, (გვარს არ ვასახელებ!) ვასო ერქვა, განათლებული და სიტყვამჭევრი იყო და მეგობრულ სუფრებზე ხშირად სთხოვდნენ თამადობას. ერთხელაც, სვიმონის სადღეგრძელოს რომ ამბობდა, ბატონო სიმონო, ასე მიმართა. სვიმონს ძალიან სწყინდა, როცა ვინმე „სვიმონის“ ნაცვლად „სიმონს“ უწოდებდა და კარგა მკაცრად შეუსწორებდა ხოლმე. იმ ცხონებულმა ვასომ უნებურად თუ განგებ, „სიმონო“, უთხრა. ამდენი წელია, მიცნობ და რითი ვერ დაიმახსოვრე, მე სვიმონი ვარ და არა სიმონი, სკლეროზი ხომ არ დაგემართაო! - მკაცრად შენიშნა სვიმონმა. რა იყო, შე კაცო, რა გეწყინა, შენს სახელს ერთი ბგერა დავაკელი, ქვეყანა ხომ არ დაქცეულაო, ვითომ წყენით უპასუხა ვასომ. შენს სახელს რომ ერთი ასო მოვაკლო და „ასო“ გითხრა, გესიამოვნება, ნეტავი? — უთხრა სვიმონმა. მთელი სუფრა სიცილისგან ჩაბჟირდა, ვასოს კი, ალბათ, კარგა ხნით დაეკარგა სხვისი გაკრიტიკების სურვილი.

სვიმონ გამსახურდია, როცა ამ ქვეყნიდან გავიდა, ჩემთვის ახალგაზრდა იყო, თუმცა რაღაც საკრალური ასაკი ჰქონდა — 77 წელი. მან მნიშვნელოვანი მემკვიდრეობა დატოვა, როგორც ისტორიკოსმა, პედაგოგმა და მოქალაქემ.

მას აქ ღირსეული შვილები დარჩა, რომლებიც ბეჯითად გააგრძელებენ მის ტრადიციებს, ასეთივენი იქნებიან მისი შვილიშვილებიც, რომელთაგან ზოგიერთი ალი-კვალი ბაბუაა!

ასეც იქნება, რადგან ისეთი კაცები, როგორიც სვიმონი იყო, გარდაცვალების შემდეგაც განაგრძობენ სიცოცხლეს...

ზურაბ ცუცქირიძე



# ჯო ბაიდენი: მსურს, ესტაფეტა ახალ თაობას გადავცე

გასულ კვირას მსოფლიოს ყურადღების ცენტრში ამერიკის შეერთებული შტატები მოექცა. პლანეტის ერთ-ერთი მთავარი ზესახელმწიფო ყოველთვის წამყვანი პრესის დღის წესრიგშია, მაგრამ ამჯერად აშშ-ის ისტორიაში პირველად მოხდა წარმოუდგენელი მოვლენა — მოქმედმა პრეზიდენტმა ჯო ბაიდენმა ოფიციალურად განაცხადა უარი, მეორე ვადით იყაროს კენჭი საპრეზიდენტო არჩევნებში.

ამჯერად ამერიკულმა ტელეარხებმა ბაიდენის აუდიოჩანაწერი გაავრცელეს, სადაც იგი უარს ამბობს საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობაზე. საყურადღებოა, რომ ჯერ კიდევ ერთი დღით ადრე, იგი ჯიუტად აცხადებდა, რომ არ აპირებდა არჩევნებში მონაწილეობაზე უარის თქმას. იგივეს იმეორებდნენ მისი ადმინისტრაციის მაღალჩინოსნები, მათ შორის, ვიცე-პრეზიდენტი კამალა ჰარისი.

ინტრიგას აღვივებდა ის გარემოებაც, რომ თითქმის სამი დღე, უახლოესი გარემოცვის გარდა, არავინ იცოდა ბაიდენის ადგილსამყოფელი. თეთრი სახლის ადმინისტრაციის ოფიციალური ინფორმაციით, პრეზიდენტი კორონავირუსით დაავადდა და მისი იზოლირება გახდა საჭირო. აღნიშნული ვერსიის არ სჯეროდათ რესპუბლიკური პარტიის წარმომადგენლებს. ზოგიერთმა მათგანმა კონგრესში ისიც კი მოითხოვა, დემოკრატებს წარმოეგინათ მტკიცებულებები იმის შესახებ, რომ პრეზიდენტი ნამდვილად ცოცხალი იყო. მოგვიანებით დემოკრატების მიერ კონტროლირებადმა ტელეარხებმა გაავრცელეს კადრები, სადაც ჩანს, როგორ მიემგზავრება ჯო ბაიდენი დელავერის საკუთარი რეზიდენციიდან ვაშინგტონში, რა თქმა უნდა, ყოველგვარი კომენტარის გარეშე.

დიახ, ჯო ბაიდენმა საჯაროდ განაცხადა უარი, მეორე ვადით იყაროს კენჭი საპრეზიდენტო არჩევნებში, მაგრამ ვადის ამოწურვამდე თეთრ სახლში დარჩება და პრეზიდენტის მოვალეობას შეასრულებს. არჩევნებში მონაწილეობას მის ნაცვლად კამალა ჰარისი მიიღებს. ამ ინფორმაციის გავრცელების შემდეგ დემოკრატების საარჩევნო ყულაბა თითქმის 100 მლნ დოლარით შეივსო. თუმცა, პოლიტოლოგები ვარაუდობენ, რომ დემოკრატები თავიანთ კანდიდატს ოფიციალურად აგვისტოს შუა რიცხვებში ჩიკაგოში დაასახელებენ, სადაც პარტიის ყრილობა გაიმართება.

პოლიტოლოგებს დღემდე ვერ გაუგიათ, რატომ შეიცვალა ერთ დღეში აზრი ჯო ბაიდენმა. ივნისის ბოლოს ჟურნალი „თაიმი“ იუწყებოდა, რომ ბაიდენი უარს იმ შემთხვევაში იტყოდა, თუ მისი უახლოესი გარემოცვა, ანუ ოჯახის წევრები ამის ნებას დართავდნენ.

როგორც დაგეგმილი იყო, ჯო ბაიდენმა მოსახლეობას მიმართა. ძირითადად, იმ წარმატებებზე ისაუბრა, რომელსაც აშშ-მა მისი პრეზიდენტობის პერიოდში მიაღწია. თუმცა, რეალურად, ქვეყნის ეკონომიკურ და პოლიტიკურ დაღმასვლაზე ღიად საუბრობენ ამერიკელი დამოუკიდებელი ექსპერტები. ქვეყნის შიდა სახელმწიფო ვალი 2021 წლიდან დღემდე, 7 ტრილიონი დოლარით გაიზარდა და 35 ტრილიონს გადააჭარბა. ასეთია დღევანდელი რეალობა. ბაიდენის განცხადებით, იგი ერთადერთი პრეზიდენტია, რომლის მმართველობის პერიოდში აშშ-ს ომი არსად დაუწყია.

რეალურად, ბაიდენის არჩევნებიდან გასვლა ექსპერტ-პოლიტოლოგებმა „სასახლის კარზე გადატრიალებად“ შეაფასეს. ამ აზრს იზიარებენ 45-ე პრეზიდენტი დონალდ ტრამპი, ცნობილი მილიარდერი ილონ მასკი, გუბერნატორები და სხვა რესპუბლიკელი და დამოუკიდებელი ოფიციალური პირები. ამერიკულ პრესაში გავრცელდა ინფორმაცია, თითქოს ჯო ბაიდენი თანაპარტიელებმა კუთხეში მიიმწყვდიეს და დაემუქრნენ, თუ არჩევნებს არ ჩამოსცილდებოდა, 2022 წლის სამედიცინო დასკვნას გამოუქვეყნებდნენ, სადაც დიაგნოზად დემენციაა ჩაწერილი და როგორც არაქმედითუნარიანს, ისე გადააყენებდნენ თანამდებობიდან. იგი შეთავაზება-ულტიმატუმზე დათანხმდა, ოღონდ თავისი პირობებით — არჩევნებში მონაწილეობას ჰარისი მიიღებს, თავად კი ვადის ამოწურვამდე დარჩება თეთრ სახლში. რამდენად მართალია აშშ-ის ჟურნალისტების მონათხრობი, სავარაუდოდ, დემოკრატების ყრილობის შემდეგ გამოჩნდება.



მართალია, კამალა ჰარისის რეიტინგმა მოიმატა, მაგრამ მხოლოდ იმის გამო, რომ ბაიდენმა უარი განაცხადა საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობაზე, — აცხადებენ ანალიტიკოსები. პრეზიდენტობის ახალი კანდიდატით ბევრია უკმაყოფილო დემოკრატიულ პარტიაში. კამალა ჰარისი აშშ-ის ისტორიაში ყველაზე ცუდ ვიცე-პრეზიდენტად მიიჩნევა. კალიფორნიის შტატში პროკურორად მუშაობის პერიოდში ათასზე მეტი უდანაშაულო ადამიანი გაუშვა ციხეში. საკანონმდებლო ორგანოში არჩევის შემდეგ იქაურმა მოსახლეობამ ამოისუნთქა. ბაიდენმა ვიცე-პრეზიდენტად ემიგრანტული წარმომავლობისა და კანის ფერის გამო დაასახელა. ახლაც ჰარისი ცდილობს, ფერადკანიანი მოსახლეობისა და ლგბტ თემის წარმომადგენლების მიმხრობას, რომელთა ორგანიზაციებთან (მათ შორის, „შავების სიცოცხლე მნიშვნელოვანია“) მჭიდრო კავშირები აქვს. მოკლედ, კამალა ჰარისთან, რომელსაც დონალდ ტრამპმა „ცრუ“ და „ფლიდი“ უწოდა, თავად დემოკრატებსაც აქვთ პრეტენზიები. თუმცა ვნახოთ, აშშ-ში ხომ ყველაფერია მოსალოდნელი და შესაძლებელი.

თითქმის სამი კვირა გავიდა დონალდ ტრამპზე თავდასხმის შემდეგ. მართალია, მან მაღალი შეფასება მისცა უსაფრთხოების სამსახურის თანამშრომლებს და მადლობაც გადაუხადა, მაგრამ დარგის ექსპერტები სხვა აზრის არიან. აშშ-ის საიდუმლო სამსახურის უფროსმა კიმბერლი ჩიტლიმ საკანონმდევლო ორგანოში საკომიტეტო მოსმენაზე აღიარა მისი ორგანიზაციის ჩავარდნა და თანამდებობა დატოვა. თუმცა, ექსპერტებს მიაჩნიათ, რომ ჩიტლიმ ამ აღიარებით თავიდან აირიდა უფრო მკაცრი სასჯელი. ახლა გაირკვა, რომ სახურავზე, საიდანაც ტრამპს სნაიპერმა ესროლა, საიდუმლო სამსახურის თანამშრომელი არ იმყოფებოდა, რაც უსაფრთხოების წესების უხეში დარღვევაა. ასევე საინტერესოა, როგორ შეძლო ტერორისტმა იარაღის შეტანა ტერიტორიაზე, რომელიც მკაცრად უნდა გაკონტროლებულიყო. ექსპერტების დასკვნით, ტრამპზე შეტევა კარგად დაგეგმილი იყო და არა სპონტანური, ერთი მარტოხელა ტერორისტის მიერ განხორციელებული აქტი, მით უფრო, რომ ახლა ირკვევა, საიდუმლო სამსახურის ცალკეულმა მაღალჩინოსნებმა არ გაითვალისწინეს ადგილობრივ პოლიციელთა რჩევები.

ვითარება ახლო აღმოსავლეთში კვლავ უმძიმესია. ისრაელის არმია განაგრძობს ღაზას სექტორში სამხედრო ოპერაციას. ისრაელის პრემიერ-მინისტრი ბენიამინ ნეთანიაჰუ კვლავ აცხადებს, რომ ბრძოლები „ჰამასის“ საბოლოო განადგურებამდე გაგრძელდება. რეგიონში შექმნილი რთული ვითარებიდან გამომდინარე, ნეთანიაჰუ აშშ-ში მიიწვიეს. ვიზიტი გასულ კვირას განხორციელდა.

ჯო ბაიდენის საპრეზიდენტო არჩევნებიდან გასვლის შემდეგ, აშშ-ის პრესა იუწყებოდა, რომ ნეთანიაჰუს კამალა ჰარისი მიიღებდა. თუმცა, სტუმარი ჯო ბაიდენსაც შეხვდა. ნეთანიაჰუ საკანონმდებლო ორგანოშიც გამოვიდა სიტყვით ორივე პარტიის წარმომადგენლების წინაშე. ნეთანიაჰუმ წამოაყენა წინადადება, ახლო აღმოსავლეთში შეიქმნას ნატო-ს მსგავსი ორგანიზაცია. მისი სიტყვა მკაცრად გააკრიტიკეს კონგრესში, განსაკუთრებით, დემოკრატებმა. თუმცა, იქვე აღუთქვეს, რომ ისრაელის მხარდაჭერას კვლავაც განაგრძობენ.

საინტერესო იყო ნეთანიაჰუს დონალდ ტრამპთან შეხვედრა, რომელიც მარალაგის რეზიდენციაში გაიმართა. ტრამპი სტუმარს შეჰპირდა, რომ თეთრ სახლში დაბრუნების შემთხვევაში, ყველაფერს იღონებს რეგიონში მშვიდობის აღსადგენად. გამომშვიდობებისას ნეთანიაჰუს ჩამოსართმევად გაწვდილი ხელი ტრამპმა თითქოს ვერ დაინახა და სტუმარი აშკარად დაბნეული დატოვა...

ლიბანის სამხედრო დაჯგუფების, „ჰეზბოლას“ ისარაელზე შეტევის გამო ნეთანიაჰუმ ვიზიტი შეწყვიტა. კვირას გაიმართა სამხედრო საბჭოს სხდომა, სადაც გადაწყდა, რომ თავდასხმას უპასუხოდ არ დატოვებენ და შეზღუდული ქმედებებით უპასუხებენ. საბედნიეროდ, არ გამართლდა ექსპერტების შიში, რომ ისრაელი ფართომასშტაბიან ომს გამოუცხადებდა ლიბანს. თუმცა, დღეს მსოფლიოს პოლიტიკური სიტუაცია არაპროგნოზირებადია და ყველაფერია მოსალოდნელი.

განსაკუთრებით შემაშფოთებელია თურქეთის პრეზიდენტის, რეჯეფ ტაიფ ერდოღანის ბოლოდროინდელი განცხადება, რომ პალესტინელების მხარდასაჭერად არ გამორიცხავს ლიბანში საკუთარი ქვეყნის ჯარების შეყვანას.



**გია ბურდული**

„საერთო გაზეთის“ მხარდასაჭერი ფონდი ს/ნ 202375349. სს „საქართველოს ბანკი“. კოდი BAGAGE22. ა/ნ GE19BG0000000182763600.

საერთო გაზეთი
შპს საგამომცემლო ცენტრი „საერთო სიტყვა“
მთავარი რედაქტორი: გვანცა ხარჩილავა
რედაქტორი და გამომცემელი: თამარ ბერძენიშვილი
სარედაქციო კოლეგია:
თამარ შველიძე, გია ბურდული, მაია ჭელიძე, ზურაბ ოშხერელი, ნონა ქარქაშაძე, ლევან ჭიღლაძე (სამართალი), ლევან ბოჭორიშვილი (დამკაბადონებელი), ბელა გველესიანი (ლიტერატურული სტილი და კორექტურა); ბესიკ ცარციძე (გავრცელების მენეჯერი) 599 58 72 50.
http://www.saertomedia.com

მის:. თბილისი, სლავა მეტრეველის ქ. 18;
ტელ.: 593 44-04-01; (რედაქცია)
E-mail: saertogazeti@yahoo.com. http://www.saertomedia.com
რეგისტ. №202375349; უაკ (UDC) 070.23 (479.22) ს-158
გაზეთის გამოწერა: შპს „ელვა-ჯი“
+995 32 238 26 73; +995 32 238 26 74

ISBN 977-22333-9800-1
2 008311 231562

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. შესაძლოა, ავტორის პოზიცია არ ეთანხმებოდეს რედაქციის აზრს. ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი. გასაჩივრება შესაძლებელია მასალის გამოქვეყნებიდან ერთი კვირის ვადაში. შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდება.
® ამ ნიშნით აღნიშნულია სარეკლამო მასალები.
იბეჭდება შპს „ასავალ-დასავალის“ სტამბაში. აგლაძის 39. ტელ: 234-39-99